

F106
1883

ଶ୍ରୀକୃତିଶ୍ଵର ବିଦ୍ୟାଲୟାର ପରେବାଦ

ନଂ ୯ IX ଓ X ଶ୍ରୀକୃତିଶ୍ଵରାଳ୍ପଦ ଓ ପରେବାଦ

F 359

ଶ୍ରୀକୃତିଶ୍ଵର.

ଅ. ଶ୍ରୀକୃତିଶ୍ଵର ରା. ଶ୍ରୀକୃତିଶ୍ଵରାଳ୍ପଦ
1883

2947
80

արքայական պետութիւն

համար պատճեն Հ. 971 և 5.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Октября 1883 г.

22
64.
65.

11

օճախ
անձանագրի և լուսա
զօնք

სინიერელი გსროლელი.

(გაგრძელება) *).

III.

სტურსონს აქ ერთი დღით დარჩენამ ამაოდ არ
 ჩაუარა. დიდად კმაყოფილი იყო, რომ მარიამს გაუ-
 მეგობრდა და ვაჭარი მოხიბლა. თუმცა სტურსონს
 ჟიშიანი, ამპარტავანი და მრისხანე ზასიათი ჰქონდა,
 მაგრამ ისე არავის შეეძლო ყველა ესიამოვნებინა,
 როგორც მას; თავის წადილის მისახწევად საჭირო
 იყო სუკეველასთვის თავი შეეყვარებია, ამიტომაც
 მისსიონერს განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია,
 რადგან მას დიდი გავლენა ჰქონდა მარიამზედ. სტოკ-
 ფლეტს ყველანი დიდ პატივსა სცემდნენ, იველანდი
 და სხვა ვაჭრები თუმცა ჩუმ-ჩუმად დასკინოდნენ,
 მაგრამ ცხადად წინააღმდეგობა ეშინოდათ, იმიტომ
 რომ პატივცემული მოხუცი მართებლობისა და
 ხალხის საყვარელი იყო. სტურსონი ადვილად მიხე-

*) იხილე № № 7 და 8 «ქართული ბიბლიოთეკა»

და, თუ მისი ინტენსიური როგორ აუგას თვალები; ჟილი მოთმიწებით უგდებდა ყურს იმის უძოლოვა ნამ-ბობს ლაპლანდიელებზედ, იმათი მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ, იმათ გაქრისტიანებაზედ და რო-ცა იცელანდს და მისი ინტენსიური მოუკიდო-დათ, სტურსონი მაშინ მისი ინტენსიურის მხარეს დაიჭი-რდა ხოლმე; სხვა კაცი ამის ალაგას, უეჭველია, დიდი ყურადღებით მოისმერიდა ამ უცნობი მთაბა-რობის მიმდევი ხალხის შინაურს ცხოვრებაზედ და იმათ გონების გახსნაზედ, სტურსონისთვის კი არა თუ მოსაწყენი, უსიამოვნოც იყო ამის გაგება, მაგრამ, როდესაც ლაპლასტიკოვანებულებრივ აქაურს დაჭრებ-ზედ, იმათ სახლობაზედ, იმათ მდგომარეობაზედ ადა შეძლებაზედ, მაგრაული სმენად გადიქცეოდა. მტკუ-ბოდა, რომ იცელანდი სხვებზედ უფრო გამოჩენი-ლი იქნა, რადგან ის თავის მოძმე ფაჭრებს თავილით და სიამაყრის მოისხენებოდა, თანაც სიმდიდრით ძალიან თავი მოჰქმდა. სტურსონისე ტერხიანად შეუდგა გამოვითხვას, რომ ვაჭრის არქმევინა იშის გულის წარილი.

— მაგ ვაჭრებს აუკუნელას კარგად ვიცნობ, სოჭა იცელანდმა, — როგორ, მაგათვანმა ერთა დაუქ-მირეს ჩემთან სიარული, ტიტილით გადატედა თავის ქალს, — მეტრი მდიდრებიც არიან, მაგრამ ტარიე-ლი გამისტუმრებია. ბრც ისე ადვილია იმათი სტუ-ვილის ასრულება.



— რასაკვირველია, სიმღილე არ შეადგენს კუტის
ბეჭნიერებას, უთხრა სტოკულეტმა.

— რაც გახდეს, გახდეს, გეტყვით ჩემი გულის
ამბავს, წამოიძახა ვაჭარმა,— ღმერთმა შეძლება საკ-
მაოდ მომტა და მაგ ქალის მეტი ერთ გამაჩენა. თი-
თონ იცის, ვინც უნდა ამოირჩიოს, ოლონდ უკვარ-
დეს. თითონაც გაიხაროს და მეც მანუგეშოს! რაც
უნდა ცარიელი ჯიბე ჰქონდეს ჩემს სიძეს, მე მაინც
იმდენი მაქვს, რომ შევიძლებ გავუმსო ჯიბე. შე-
ხედეთ, ბატონი სტოკულეტო, აგრ თქვენი მლავი
მოდის, განა ქვეყანაზედ ლაპლანდიელზედ ჯიშტი
ვინმე გაგონილა! ხომ სოხოვეს, თან სკრიპტა მოე-
ტანა და იმას კი თოფი გადუკიდნა მხარზედ და
უგუოდ აქამდის დაეხეტებოდა სადმე კლდე-ლრეებში.

მლავი მინდოორზედ ნელ-ნელად მოდიოდა,
სახლთან ახლოს მარიამი გამოეკვება. სტუჩიონი შო-
რიდამ ათვალიერებდა, მლავი როგორ წამოწითლდა
და თან იღიმებოდა, როდესაც ახალ-გაზდა ქალმა
დაუწყო იმას ლაპარაკი. იველანდმა რაკი დაინახა,
რომ მლავმა სანალირო აბვიდამ გადმოაწყო მოკ-
ლული ფრინველები, ყველაფერი აპატია ამ კაცს და
სთქვა: — ევ გეშრიელი ფრინველებია, მიგაზედ ნა-
დირობა ძნელია, მლავმა იცის, რითიც მასიამოვ-
ნოს, ეგ კეთილი და ყოჩალი ვაჟ-კაცია.

— განა კაი მაროლელია? ჰკითხა სტუჩიონმა.

— სხვა ლაპრანდიელებიერით შშევნიერი მსრო-
ლელი არის, უპასუხა ვაჭარმა,— თოფებს თითონვე



აკეთებენ და სწორედ საოცრად ხმარობენ; ფრია-
ვლებს ფრენის დროსაც თოფს არ ააცილებენ.

სტურსონმა შეხედა მლავის მოკლე და უშნო
თოფს და ზიპლით გაიღიმა.

— მრთი ვსცადოთ, ბატონი სტურსონი, უთ-
ხრა იველანდმა,— გავიდეთ გარეთ და თქვენ მაზანი
დაუნიშნეთ. მერწმუნეთ, სწორედ გაოცდებით.

მსენი მინდორზედ გამოვიდნენ, აქ მლავი და
მარიამიც დაუხვდნენ.

— დიდი ხანია გელიო, მლავო, უთხრა ივე-
ლანდმა,— მუსიკით მერეც შევეძევით, ესლა დაა-
ნახე მსაჯულს, რომ სხვა ნიჭიცა გაქვს. ვერ დამი-
ჯერებია, რომ კაი მსროლელი ხარ. აბა, თავი იჩინე,
ხომ ყველას აჯობებ სროლაში?

სტურსონმა მლავს თოფი გამოართვა და მოჰ-
კვა ხარხარს: ერთ ხის ნაჭერში ჩარჭობილი იყო
მოკლე, უშნოდ გაკეთებული და გაფანგული ლულა,
ვეებერთელა ჩამახი რაღაც სხვანაირი მოყვანილო-
ბისა ჰქონდა და თითქო რამწამს ამ თოფიდგან გაის-
როდნენ, მაშინვე ეს თოფი ლუკმა ლუკმად დაშ-
ლებაო. სტურსონი სცდილობდა თოფი გაესროლა,
მერე მოუბრუნდა ამათ და უთხრა:— მეც კაი მსრო-
ლელი ვარ, მაგრამ შეუძლებელია ამისთანა უმსგავ-
სო და უშნო თოფიდამ გასროლა.

— ზინდათ დაუნაძლევდეთ სამს ტალერზედ, რომ
აი იმ ფრინველს, თევზი-ყლაპიას, ზლვას რომ და-
ტრიალებს, მლავი მოჰკლავს? სთქვა იველანდმა.



— Ջայնածլեցաւ, յուստոք սրբականին.

— Ածա, յեսրուց, Թլացու, գաօսակա զայսարմա,—

Ես յո Շեմահպեցեն, մմառ!

Թլացմա տոցու մարդաց ասթիա, մեարնչեց մոօլու,
Կուրուաց հալունա տացու დա յրտս წամի զաօսրուու.
Չը անցուալու հլաւամու հայարդա.

— Եկո զուտնարու, մեսաջուլու! Գաօսակա Տուրուուտ
զայսարմա დա սրբական Տուրուուտ զամուարույա սամո
աելուաց մովուուու, յըլցարց բալցերո.

Ոչքելանցու յրտս წյուտս Ֆոյխուածեց, զայսու տոյ
առա Շյուլու մասթիացլեցելու մոցըթուլու ցոյլու,
զալսաթրուալ-զալմուաթրուալա, մյուր տացուսու ցուլ-կյ-
տուութեա թութուլուաց հաստցալու დա ամջուծնա տացուս
չիծու Շեմահպեա, հագցան, օմուսու աթրու, յազնուր
լաձլանցուցլեցենուտցու ցոյլու Տափուրու առ ոսու. Ցո-
լուս օմուտու զատացա, հոռ Թլացու մովիսալեցենտ ծյ-
շեցիցեց եցլու դաշկու დա յուտերո:

— Տայսուցու մոցու Տայմե, Թլացու, եցալ
հյեմու գոյշնուամ, համցենու ցոնցուցես, წանցու թուցու-
սամալու. Ամուտու զատացու Տայմե. Ոչքելանցմա տացուսու
Տուրումրեց մեօարնուլաց մուստիցու Տաելուն, յըծրմանա
մոյրումբեցնատ յացա Շյուլու մասթիացլեցելուտցու, մու-
սու օմու լոցարու დա Տանտյելու տացուսու եցլուտ այն-
տու. Մովիցնեն ցոյնչու գակուցեան დա օմու ևմաս. Տու-
րումրեց մոյմահունեն: Եյսայրու աջցուութեացու Տա-
թուրու დա Չոեթու յիշունեն. Մրտս Տատս Շյուցց
գուց մեօարնուլու Շյուցատ, յըծրուուցու Վուլու-



ნენ ბოთლებს, დაიწყეს სადღერეგძელოები მაჩინის მსაჯულისა, სტუმართ-მოყვარე მასპინძლისა და იმის მშეენიერის ქალისა.

ვაჭარმა მარიამი ამღერა, მერე მლავს სოხო-ვეს.


— იმღერე რამე, შე უხიაკო, შესძახა ჩალ-ლეულმა ფონტმა,— იმღერე, თქვენებური რალც ზინგ-ზანგ რომ იცი! აი ის შენი მოგონილი, გან-სვენებულ ზოლმბოეს, იმ ცხონებულს რომ უკ-ვარდა, მერე მოუბრუნდა სტურსონს და უთხრა:

— მე ლაპლანდიელების სიმღერაზედ ვამბობ. ადამიანი გაგიქდება, რომ გაიგონოს იმათი ჩვეულებ-რივი სიმღერები, სწორედ ლორების ღრუტუნსა და გოჭების ჭყირილსა ჰგავს, მაგრამ მლავმა ეგ სიმ-ღერა ისე მოაწყო, რომ იმათი დაწყევლილი ენაც კი ტკბილი და ჟღეროვანი გამოდის.

— მერე მაგ სიმღერაში რა ვრძნობაა ვამოხა-ტული? ჰკითხა სტურსონმა.

— წუხილი სამშობლოს დატოვებისა, საყვარ-ლის უნუგეშობა და სხვა, უთხრა სიცილით ფონტ-მა,— ეგ სიმღერა მაშინ უფრო კარგია, როცა ორნი მღერობდნ; ქალო მარიამ, თქვენც ხომ იცით ეგ სიმღერა? მლავთან ერთად იმღერეთ და შეგვაქ-ციეთ!

ვაჭარმა ანიშნა, რომ ქალს ემღერა. მარიამი და მლავი ფორტეპიანის მიუახლოვდნენ და მოჰყ-ნენ სიმღერას. საჭუყები არავის ესმოდა, მაგრამ



სიმღერის კილო ისე ტკბილი იყო, ისეთი გულ-
საცემი მწუხარება გამოიხატებოდა იმ სიმღერაში,
რომ რამდენჯერმე გაამეორებინეს. სტურსონი გაო-
ცებული დარჩა მლავის დაკვრით და იმის მუსიკალუ-
რის ნიჭით. მსაჯული ეხლა მთლად თანაუგრძ-
ნობდა ახალ-გაზდა კაცს, მაგრამ უცებად, როდესაც
შეხედა მარიაშესა და იმას, შეამჩნია. რომ საბრალო
მასწავლებელმა სიმღერის დროს რამდენჯერმე
ალექსიანად გადახედა თავისთან მდგომს ქალს.
სტურსონს გული აემღვრია, მერე კი, ერთს წუთს
შემდეგ სასაცილოთაც არ ეყო თავისი ეჭვი,
ისე—რომ თითქმის ხმა-მაღლა დაიწყო სრ-
ცილი.

როცა მლავმა გააკავა სიმღერა, ქების შესხ-
მაზედ მორცხვად ყველას თავი დაუკრა, სტურსო-
ნიც სხვებს უკან არ ჩამოურჩა, დაუწყო ქება და
მერე დაუმატა:

— იმედი მაქვს, მეც მეწვევა, როცა მოვეწ-
ყობი. შენი დაკვრამოუხდება ჩვენს ლხინს. პოველ-
თვის სასიამოვნოა საზოგადოებაში შენისთანა კა-
ცის ნახვა, ან არა და უფრო შენი დაკვრის მოს-
მენა. სტურსონმა სთქვა თუ არა ესა, თითონევე
გაეცინა თავის მოსწრებულს იტყვებზედ.

ამაზედ მკრთალს მლავის სახეს გადაჰქრა სი-
წითლემ, სტოკულეტმა ხელი დაადო მხარზედ და
გშუიდად უთხრა:

— ხვალ მიცდივარ და რამდენიმე დღით მინდა

თან წაგიყვანო, ჩემი შეილო, იმედი მაქეს, რომ
ის დროც მალე დაგვიდგება, როცა ერთმანეროს
ალარ გავშორდებით.

— თქვენ ხომ არა ვნებავსთ ეგ მქადაგებლად
და მისსიონერად გახადოთ? ჰყითხა სტურსონმა.

— დიალ, უპასუხა სტუკფლეტმა,— მლავს მა-
გისი ნიჭი აქვს. აქ მაგისი ალაგი არ არის, დროა
წავიდეს თავის საწყალს მოძმეუბთან, ასწავლოს და
უქადაგოს იმათ დეთის სიტყვა; უბრალოდ არ უნდა
აიაროს ამასმა ცოდნამ, ამის ხალხისმიერ სიკარულ-
მა; მმართებლობა, იმედი მაქეს, დათანახმდება, ამი-
ტომაც, ბატონო სტურსონი, როგორც ხედავთ,
მლავი ვერ შეგაქცევს თავისი სიმღერით და დაკე-
რით ვერც თქვენ და ვერც თქვენს სტუმრებს.

— მაშ თქვენ ვნებავსთ წაგვართვათ ჩვენი ჩინე-
ბული დამკვრელი! შესძიხა სტურსონმა,— ეგ შეუძ-
ლებელია, პასტორო! რას იტყვის ეს ქალი, იმას
რომ მეგობარი და მასწავლებელი მოაშოროთ?

— მლავმა იცის, მაუკო მარიამმა, რომელიც
აქამდის ჩუმად შეცეკვოდა ახალ-გაზდა კაცის ნალვ-
ლიიანს სახეს,— მლავმა კარგა იცის, რომ ჩვენთვის
სამწუხარო იქნება მაგის მოშორება.

— აი, ბარაქალა! შესძიხა სტურსონმა,— ამ
სიტყვების შემდევ მლავი ველარ დაგვტოვებს. ჩვენც
თვალი გვიჭირავს მავაზედ, თუ ჭიუიანია, კარგა
ვაიგებს, რომ მაგას სხვა ცხოვრება მოელის და მი-
წაში არ ჩაჰულავს თავის ნიჭის. მე მგონია, კარგად



ჟერ გაფიგიათ მაგისი ხასიათი, განვერძო სტურ-
სონმა, რაკი დაინახა, რომ სტოკიულეტს არ ესია-
მოვნა იმის ლაპარაკი. — მე დიდი პატივის მცემელი
ვარ ბასულიერო წოდებისა და თანავუგრძნობ მის-
სიონერებს, მაგრამ არ იქნება ჩემი აზრი არ გა-
მოვსთქვა. მს ახალ-გაზდა კაცი სულ სხვა ასპარეზის-
თვის არის დანიშნული. მაგისი ცხოველი თვალები
გვიმტკიცებენ მხურვალე ბუნებას, მაგისი გული
ოცნებებით აღვსებულია და თავში ერევა ათას ნაირი
აზრები. მაგისთანა კაცი ძნელად დატოვება ქვეყნიე-
რებას და არ გამოდგება მღვდლად; ეგ უნდა გახ-
დეს არტისტი, ან არა და გამოდგებოდა რამდენიმე
საუკუნეს წინედ თავის ხალხის მამაც წინაშტამ-
ლად. ამაზედ მეტს ვეღარას ვიტყვი, ბატონო სტოკ-
იულეტო, მოიფიქრეთ კარვა.

Ամս Ցեմլցը և Տեղա Տաշնցից Հայոց լուծարակո; Ստորև առաջ ամ Եահո Կուտացնալու պահանջութակ, հոգութ տուտան Տուդա և գազութ Տանլութան. Ցեր շատարա Տանլու, Ցերց ազութ Թաթլութլութ Կլանչութ և ոյնութան Հանահա աս Եաթոյնչութ տաքութան, Վաղու Եաթուան, Պահեցնո, Իոմելութ Ցագութան.

ბოელანდიელმა პირფერობით დაუწყო ლიმილი
და დაბლად თავი დაუკრა, მერე პრანჭე-გრეხით
აჩიშნებდა, რომ ის ძირს ჩამოსულიყო.

— რა გინდა ჩემგან? ჰეთხა სტურლომა, რაკი
მიუახლოვდა.



— ჩუმალ, ბატონი, ჩუმად, უთხრა დაბლის
ხმით იანსენმა, თან აქეთ-იქით იცქირებოდა,—მინდა
ოჭვენთვის გამოსაღეցი ჩამეს გითხრათ, ზაგრამ უნდა
შევიტყო, რას მისცემთ, მაგ ამბისთვის ჰენრიკ იან-
სენს?

— მუქთად კი არ მეტყვი მაგ საიდუმლოს?
დაკინებით ჰქოთხა საუკრძონება.

— მე მუქთად აზას ჩაკვეთებ, მიუვო იანსენმა კბილების ღრეჭით და თავის ქნევით.— მე ურცხვი და მაწანწალა არ გახლავარ, მე ვარ სინიდისიანი კაცი. თქვენ რომ იცოდეთ, რაც მე ვიცი, სწორედ ალმეურია გენტებათ. მაგრამ იმისმა მოხუცმა მამამ თუ გაირ! დაუშატა იანსენმა დოინჯის შემოყრით, ფეხების ტყაპუნით და ხარხარით: ჰა, ჰა, ჰა, საწყალი სწორედ სისტემილით დედა-მიწაზი ჩაძერება.

— რა იცი, შე არ დასაცლელო? შევუირა
სტურსონმა.

რა უნდა ვიცოდე? მე არა ვიცი რა, უთხა
წერით იანსენშა და მიუბრუნდა თავის ბადეებს.—
არ დასაცალებელოთ? რას ვიშავებთ, ბატონი! მე
ჩემს საკუთარს სახლში ვდგეფარ, ვმეშაობ, ჭირნა-
ულსა ვწევ, რისთვის მღანქლავთ, რათ მეძახით
არ დასაცალებელოთ? მე თავისუფალი ვარ, დამა-
ცადეთ, კაცი არ ვიქნები, თუ არ ავასრულო, რაც
შენდა.

სტურსონი მიხვდა, რომ სიქმდეს ისეარ შეუდგა, როგორც ჩივი იქო. მა საკვირველი კაცი იმას ართობდა;

თუმცა იმისი არა სუეტოლა-რა, მანც უნდოდა შე-
ეტყო, რაზედ ლაპარაკობლაის ისე ვადაკვირთ.

— ნუ სჯავრობ, ჰენრიკ იანსენი, უთხრა მე-
გობრულად სტურსონმა, — მე შენკენ ფიქნები, მხა-
თა ვარ დაგეხმარო, რაშიაც გინდა. მიეხვდი, რაღა-
ცა გაქვს სათქმელი შენს მეზობელზედ, რავ ზოლ-
შბოებზედ.

Ոանսցենմա Ցուրուրու Տիհարուլուտ Ցուցենից տա-
ցուսո Վարդարա, ցլամո Եղաղցի, Ցումու Ցուուլցի,
Ալուցու Սաելու Կյեն, Ցյուր Եհոնինի Եմուտ Ցուչցա
Տահերս Հա Երութօն Սույնըսունու Բնին.

— ის საძაგელი! დაიწყო უკირილით იანსენმა,
ის ქურდი, მატანტალა! მოხუცმა იველანდმა როგორ
შეუტყოს, თავისი ხელითვე დაპრიჩობს, სულ ფეხ-
ჭვეშ გასრესავს, ზღვაში გადისვრის.

— რაშია საქმე, ჩემო კანგო ისჩენო, პეიონ
სტურისონმა და თავის ძლიას პრანდა მშვიდობიანიდ
ელაპარაკნა, — მითხარ, ნურას დამიჭალავ.

— მასწავლებლის თაღაგს მიშოდით? ჰერთა
იანერსმა და ხარბად თვალი თვალში გაუყარა.

— Մայլաս ցանուցիք, ևս յո զուհա, ու
Ցանութեա Տաղածական համբ թշուցո; Ետքո հալս!

სტურალის სახეზევე შეეტყო, როგორ გაუკვირდა,
რაც ინსენზი ყუჩში უწეური ჰდა, მაგრამ ჯაურობას თუ რ
და ძლია და მოცა ჰენრი იანსენზა გაათავა ლა-
პარაკი, სრულებით ვულა-ვჩილავ და დინჯალ ჰყავთა:

မိတ်ကဲမ ရှာဖွေမိတ်စာရွက်၊ ဆံလုပ်တွင်?



— ჰეშმარიტად მართალს ვაშბობ, ბატონო, შესძახა იანსენმა.

შე ტუტუპო, რატომ იველანდისთვის აქამდის
არ ვითქმაშის?

— ՈՅՏ ՀԱՅ ՎԵՐԿՄՈԾՈ? ՏԵՋՅԱ ՀԵՏԼՈՆԻՆ Ը Ը-
ՑՈՂՈՒԹ ՈՒՆՏԵՑՄԱ. ՎԻՇՏՈ ՈՎԵԼԱՆԸ ՄԸՆԴԱՀՈ, ԱԺԿԱՀ-
ՅԱՆԻ ԿԱՎՈԱ, ԻՎԵՐ ԱՄԱԿԱԾ ԸԱԳՎՈՎՔԵՐՈՒՆ; ՄԵ ԿՈ ՀԱՅԻ
ՄԵԿՆԱՔԵՅՔԱ, ՎԸՆԹՈՆՆԱԾԱՎ ԱՆ ՄՈՒԺԻՆԻԱ? ԻԵԹ ԸԼԵՇՈ
ՏԵԼՈՆԱՎ ԱՆ ՀԱՅԺԻՆԱՑ ՈՄՈՒՆԵՎՈՒՆ.

— რაც მითხარ, ეგ შეუძლებელია, მიპქარავ,
შესძას სტურსონმა,—დაიცა, ნუ მიჩინხარ, ეხლან-
დელს დროში არავის დაეფიცება. მაშ ამბობ, რომ
ხშირად გინახავს ისინი ერთად? სალამ-სალამოობით
და ლამეც. კი იმ კლდეზედ, სადაც გამართულია
სკამი?

— დიალ, დაალ, უთხრა იანსენმა, ისინი იქ
ხშირად სხედან, წუხელისაც იქ იყვნენ და ამაღამაც
იქ იქნებიან.

— პილევ რა გაიგონე? ჰეთხა სტურსონშა,—საღ
იყავ დამალული?

იანსენი ლაპარაკის დროს მზაკვერობით შესცემული როდა სტურსონის უძრავს სახეს.

— მაღლობელი ვარ, ჰენრიკ იანსენი, კიდევ ვაც გეუბნები, რომ გპირდები მეგობრობას, უთხრა დაბლის ხმით სტურსონმა.— მაგრამ უნდა იცოდე დასაძრავი აქ არა არის რა, რომ მარიამი ხან-დან მლავის სანახავად ადის იმ კლდეზედ, ეგ გულ-კეთილობით მოსდის, რადგან ებრალება ის კაცი აბი, ეხლა კარგა ყური დამივდე, მაგაზედ ხმა, კრინტი არავისთან არ ამოიღო და მაშინ კმაყოფილი იქნები ჩემი; თუ ვინიცობაა, დაიწყებ, ყბედობას, ცუდად წავა შენი საქმეს, არც ალაგს მიიღებ და, თუ მოვინდომე, ჩაგაჩუმებ კიდევ.

მაჯულმა ისე დამუქრებით სოჭვა ეს სიტყვები და ერთი ისეთი მრისხანელ გადახედა ამ პარაწა კაცსა, რომ იანსენმა თავ-ზარ დაცუმულივით წაიბუტბუტა:

— მარგი, კარგი, ბატონი, ჩემო მწყალობელო, უეჭველია, კმაყოფილი დარჩებით, ან რუნდა ვიყბედო? მე მუნჯათ გადავიქცევი, მაგრა თვალებს კი არ ავიბამ; მაში დმერთს რისივის მოუკია ისინი ჩვენთვის. მერე კიდევ სტურსონს მცბიერად გადახედა და დაიძახა:— ეშმაკს კი უთრევეია ის გასაწყვეტი მლავი! იმ ამპარტავან პრისტ იველან-დისთვის კი ახօა, რაც მოუვა. ეხლა თავის სიმღიდორე უნდა გაუყოს იმ მოთრეულს და საძაგელს მატანტალას, რომელსაც არა გააჩნია-რა, არც სახლკარი, არც სახნავ-სათვესი მიწები, არც ნაეები და არც ბადეები.



იანსენი ამაყად წელში გასწორდა და ჩამოიფრია-
ტა ქული; ამ დროს სტურსონი ასულიყო კედეც
აღმართზედ და მალეც მიუახლოვდა ვაჭრის სახლს,
საუა კარგა ხანი იყო, ელოდნენ და დაეძებდნენ
იმას.

სტურსონმა ბოლიში მოითხოვა, რომ ამდენ
ხანს სეირნობდა; მერე, ვითომ არაფერია, ლიმი-
ლით გადინედა ბალჩაში, საცა აუვავებულ დიდ-ხის
ძირის ისხდნენ მარიამი და მლავი, მათ პირ-და-
პირ მისიონერი და პასტორი ლრმა ლაპარაკში
გამშული იყვნენ. სტურსონს ერთს წუთს მოეჩედნა,
რომ შეუპოვარ ყმაწვილ-კაცს ეჭირა მარიამის ხელი
და ისინი ისე ერთმანერთს თვალებით ელაპარაკე-
ბოდნენ, თან კი ვითომ ბებრების ბასს ყურს უგ-
დებდნენ.

მსაჯული მაშინვე მოუჯდა ლამაზს ქალს, მხია-
რულად და აღტაცებით დაუწი ლაპარაკი, თან
მალ-მალ მოუბრუნდებოდა მლავს, ეხუმრებოდა
იმას, რომ მისიონერი უპირებს წაუვანას და სიტყ-
უს უკდებდა, რომ თითონაც პსურს მიიმჩროს ის
თავისიკენ.

— როდესაც ჩაიგიბარებ საქმეებს, ამბობდა მსა-
ჯული, — ჩემთვის მწერალი იქნება საჭირო, რო-
მელსაც ჩემს იქ არ ყოფნაში შეეძლოს ჩემი თანამ-
დებობის ასრულება, თანაც აქაური ქვეყნის მცოდნე
იყოს, ხალხთანაც დაახლოვებით იდგეს და მეც ნდო-
ბა მქონდეს. ზამოცდილი ვარ, ამისთანა კაცი ძნე-



ლად იშოვება, ამიტომაც ვიცი იმათი დაფასება, არ
დავიშურებ კაი ჯამაგირს და სხვაურივაც, უკეთე-
ლია, ექმნება შემოსავალი. ზოგტი მეუბნებოდა,
რომ თუ მაზრის მსაჯული მმკაცრი არ არის და მწე-
რალი ხერხიანად მოჰკიდებს ხელს, უთუოდ წელი-
წაღმი ათას ტალერზედ მეტსაც იშოვისო. მა რა ჩემი
საქმეა? მე იმ აზრისა ვარ: შენც ირგეო და სხვასაც
არგუნეო. მგონი, რომ მსაჯულის მწერლობა სჯობ-
დეს შეკლის მასწავლებლობას და ჩემი აზრით,
თვით მისი იონერობასაც. ჩეენ მაგაზედ მოვიფიქრებთ
განა, ზოლმბოევ? შენი ხელთ-ნაწერი მომწონს და
შენ თითონაც მომწონხარ; ვერავინ ვერ გაბედავს
ცუდი სიტყვის თქმას იმაზედ, ვინც ჩემს მფარველო-
ბას ქვეშ იქნება.

სმ ლაპარაკში დრო გაუიღდა; უბოლოეულ
დღესაც ბოლო მოეღო. შოხტი და პასტორი,
დიდად კმაყოფილნი სტუმართ მოყვარე მასპინძლი-
სა, შეუდგნენ თავიანთს გზას იმ დაპირებით კი, რომ
მალე ეწვევიან გულ-კეთილს მსაჯულს იმის ახალს
ბინაზელ.

ამათ სტურსონი ძალიან მოეწონათ, იველანდ-
თან ლაპარაკში ერთმანერთს არ აცლიდნენ, ისე
აქებდნენ და ზეცას აჰყანდათ ეს მსაჯული. ივე-
ლანდი სიხარულით ყურს უგდებდა და იმათ წასვ-
ლის შემდეგ, კიდევ დიდხანს, თან ღვინოს სვამდა
და თან ელაპარაკებოდა თავის ძეირფასს სტურმარს.
შრისტ იველანდს ძნელად მოეკიდებოდა ღვინო,



სეთი კაი მსმელი იყო, მაგრამ სტურსონმა გადაა-
ჭარბა, ეს ისევ მხნედ და ფხიზლად იყო, როდესაც
ვაჭარს აერის სიტყვები. მეელანდი მოჰყეა უთავ-
ბოლოდ და ალალ-მართლად ლაპარაკს. მრთი თუ-
ჯერ მაინც უთხრა სტურსონს, რომ როგორიც
გულით უნდოდა, ისეთი მეზობელი იშვია, რომ
რაც უნდა ითხოვოს, არას დაუჭროს, წინ დაუხვდა-
ვად ფულები შეაძლია და სულ თავის დიდ შეძ-
ლებაზე ელაპარაკებოდა. სტურსონი დიდი კურადღე-
ბით ყურს უვდებდა და სწამდა იმის სიმართლე.

სუკველანი წავიდ-წამოვიდნენ, მარიამიც შე-
ვიდა თავის ოთახში.

მთელი საღამო სტურსონი თვალს არ აშო-
რებდა მლავს, მაგრამ შემჩნევით კი ვერა შეამჩნია-
რა ფერც იმას და ვერც მარიამს, რომ იმათ ერთმა-
ნერთისთვის ნახვის პირობა მოეცათ. მლავი თავ-
შეაბლად მოშორებით იდგა, თითონ პირველად
ხრავის დაელაპარაკებოდა ხილმე, ეტყობოდა, ახ-
სოვდა თავისი ვინაობა. ნაღველი და ფიქრები გაუ-
შორებლივ გამოიხატებოდა იმის ახალ-გაზდა სა-
ხელებში, ასევე მათ მიერთოდა მათი მარტო და მათი

მარგა ლამე გასულიყო. სტურსონმა რის ყო-
ფით ჩააგონა დაჭარს, რომ ძირის დროა.

მსახურებს ყველას დაეძინათ, ეტყობოდათ, შეწევული იყვნენ სახლის პატრონის ლილ ხანს ფეხ-ზედ ყოფნას, ამას სანთელიც უნდა გაექრო. და კა-რიც დაეკუთნა. აქეთ მხარეს არც ჭურდებისა და არც

ავაზაკების შიში არ იყო. მეთევზები და მუშა ხალ-
ხი კარებს ლიას უშევებდნენ ხოლმე იველანდის
სახლიც მარტო ურდულით იყო დასაკეტი. ვაჭარმა
რის ყოფით, კანკალით ურდული გაუყარა და მო-
ცინარი სტურსონის შემწეობით, როგორც იყო,
მიახწია თავის ოთახამდის.

მსაჯულმა რა კი დააბინავა ვაჭარი, ნელ-ნელა
ხელის ცეცებით ჩამოვიდა კიბეზედ, შევიდა სა-
დილის საჭმელს ოთახში, გააღო ფანჯარა და გა-
დახტა ეზოში.

გრილი ზღვის ქარი პირ-და-პირ სახეში ეცა,
მთვარე მკრთლად ანათებდა გარემოს, სტურსონი
შედგა სახლის ჩრდილში მოსაფიქრებლად, თუ რა
ჰქნას, ან სად წავიდეს.

ძალიან შესაძლოა, რომ იმ ბოროტს მახინჯს
მოვეტყუებინო, წაიბუტბუტა იმან, — ნამდვილად სტუ-
ის, რა დასაჯერია, რომ ახალ-გაზდა ქალმა დაივიწყოს
თვეისიღირსება, თავისი მდგომარეობა, თავისი ნამუ-
სი და შეიყვაროს ლაპლანდიელი. მართალი რომ
იყოს? დედა-კაცის გული მიუხდომელი საიდუმლოა,
პრიოსტი ხომ გვიამბობს იმ მშეენიერ ხელმწიფის
ცოლზედ, რომელმაც ახალ-გაზდა ქმარი გასცვალა
ვიღაც საძაგელს ჯუჯაზედ? თუმცა ეს ჯუჯა სცემდა,
ჰქიბენდა, ხელმწიფის ცოლი მაინც იმის ფეხ-ქვეშ ევ-
დო და ტირილით თურმე ეხვეწებოდა, შემიყვარეო!

მსაჯული ნელ-ნელა მოშორდა სახლს და
ხეებს და ბუჩქნარებს შორის, ჩრდილ-ჩრდილ მიუახ-

ლოფები ციცაბებსა. აქ შედგა და გადახედა სახლის ფანჯრებს; არაერთ ჭაჭანებდა, ირგვლივ სიჩუმე იყო; ზღვიდამ სუბუქად ამოსულიყო ბურუსი და თეთრი ზეწარივით მოჰვენოდა სახლის წინ მინდორს.— სხვა რო არა იყოს რა, ჰაერში სიარული მარგებს, სოჭა სტურსონმა,— გებინოს მოსცენებით, ტურუა ყმა-წეილო, შენ ცილი გწამეს, ხვალ შენ წინ მოვინანებ და გაკოცებ შიგ მაგ ქორფა ტუჩებში.

მეჩე საჩქაროდ შეუდგა ახლად გაცნობილ გზას, კლდის წვერზედ რის ყოფით ავიდა. ჩრდილოეთში იცის ხოლმე ბურუსი ერთბაშად მოეფინება და ერთბაშადვე გადავა. მხლა ბურუსი ერთ წამს მოედო ზღვას, დედა-მიწას და კლდეზედაც ჩამოეშვა. მვემოთ ზღვას შუილი გაჰქონდა; ტალ-ლეპი ხმაურობით კლდეს ეცემოდნენ; სტურსონი მიუახლოვდა კლდის ერთ-ნაპირას, სადაც უფსკრული იწყობოდა, იმან გულ-ხელი დაკრიფა და დაუწყო აჩე-მარეს ყურის გუება; მაგრამ ქვემოდამ, თუ არ ჩაღაც ზეირთების დროინდა, ფოთლების შრიალი და ნაკადულის ჩქრიალი, რომელიც მოისმოდა იმ ბარიდამ, საცა მლავის სახლი იდგა, — სხვა არსა-დამ არ იყო ხმაურობა.

სტურსონი ყოველ მხრიდამ ბურუსმა დაბურა, მაგრამ სისხლი უდუღდა, თავი ლვინითა და აღელვებით ცეცხლსავით ანთებული ჰქონდა; ოცნებები მოსცენებას არ აძლევდნენ მას: «მარიამს ხომ ცოლად გაიხდის, იველანდის ფულსაც ხელში ჩაიგდებს.»

მერე მოჰყვა ფიქრს, თუ როგორ მოიხმაროს ის ფული და ან რა გზა გაეხსნება მომავალში. ამ ბნელს, წყვდიადს ღამეში თავისი სიკოცხლე მხიარულად და ბეჭნიერად მიაჩნდა.

ბოლოს ჩაჯდა იმ კლდის ნაპრალში, რომელიც იანსენმა ანიშნა. ქლდის ნაპრალი იყო სწორედ სკამის უკან და იქიდამ სჩანდა მთლად კლდის წვერი სტურსონი ჰუიქრობდა შინ დაბრუნებას და სტუელიდა იმ საძაგელს, რომელმაც აქ მოიყვანა, მეტე იფიქრა, კიდევ ცოტა ხანს დაერჩებით და თან თითონვე დასცინოდა თავის ტუტუცობას; ამასობაში ძილმა დასძლოა და ღრმად ჩაეძინა ხმელ საწოლში. მავრამ ხან-გრძლივი არ იყო იმისი ძილი, რაღაც საოცარმა ხმამ ვააღვიძა. ჯერ ბურანში შემოეტა ტკბილი და მწუხარე ხმა, რომელიც ხან თითქოს მიურუცდებოდა და ხან მაღლა და ცხოვლად მოისმოდა.

სტურსონმა თვალები აახილა და რამდენსამე ხანს ფიქრზედ ვერ მოსულიყო, კიდევ სიზმარშია, თუ ცხადათა ხედავს. მთვარე შშევენიერად ანათებდა აქაურს უდაბნოებს, ციცაბებს და ზღვას. ვერცხლივით თეთრს ზეირთებზედ შავად მოდებული იყო გამოშვერილი კლდეების ჩრდილი. იველანდის სახლი ცხოვლად სჩანდა. ზანთიადი იყო. მოშიშველებულს სენიენის მოებს კიდეც ცეცხლივით ფერი დასდებოდათ.

მაგრამ სტურსონს ეხლა თვალში არა მოსდიო-



და-რა; ის უყურებდა მარტო იმ კაცს, რომელიც
წြုნარှდ, სკამის წინ, წინ და უკან დადიოდა.
სახეზე იცნო, რომ ეს မြဲလာသူ. მაგრამ ეს რამ
გამოსცုალა! იმას ამაყად თავი მაღლა ეჭირა, იმის
პირს ლიმილი မოსდიოდა, ხელში თავის პატარა
სკრიპტ ჰქონდა, საიდაမ္ပါ ტკბილი და იდუမალი ხმა
မოისმოდა.

სფურးონိ ამ სანახავმა გააკეთეა, თავის ჩა-
ფარიდამ ჩျမად და გაოცებით თვალရერებდა ამ
სიბნელის და წყვდიადის ხელოვნურად გამომხატველს,
იმის საოცარ მიხრა-მოხრას, აღტაცებულ შეხებუ-
ლობას. მხოლოდ მაშინ მოაგონდა ဖွံ့ဖြိုး
ბები, რაც გეეგო ჯადო-ქრებზედ, კულიანებზედ,
რომელიც ამ უზაპნოებში და კლდეებში სცხოვ-
რობდნენ.

სფურးონმა არ იცოდა რა ეწნა, ჩွေးခွဲოდა ამ
დამკვრელს, თუ მဘုံး კიအော်. မြဲလာသ თან-და-
თან აღელვება ეტ့ကဲ့ပေါ်, უဥုံရှု გრძნ့ကဲ့ပေါ် უკ-
რაော်, ხან ვော်ရော် ხმა မოისმოდა, ხან აღტაცე-
ბისა და შေမြှော်လျ სწြာრေး ათრ့თကဲ့ပေါ်.

ამ დროს მსაჯულმა უცბად დაინახა ადამიანის
ჩိრდილი, რომელიც ამოდიოდა ამ კლდეზედ. မြဲလာ-
მა და-დო მაშინ၌ თავის სკრიპტ და გော်မျှော კი-
ბისაკენ, იქ မოჰკიდა თავის ხელი სხვა პაწაწါး
ხელს.

სფურးონმა ცოტად წინ წုမြော်ရှာ. ამას აღარა
გော်გော်-რა, სისხლი თავში აუာრდა. მေ სწြာრေး

მარიამი იუ. ამაზედ მხოლოდ საშინელი წყველა
წაიბურდურა.

— ზაიგონე, ჩემი დედოფალო, ისმინე განა,
შერიმონის ხეეწია! ვეჯრებით მოჰყეა ლაპარაკს ოლა-
ვი, — ძილი ხომ არ დაგიუთხე? მაპატიი, მე ბევრი
რომ მაქვს სათქმელი.

— შენ სულაც არ შეგიშუხებიფარ, უპასუხა
ქალმა, — არც მექინა. შენზედ ეფიქრობდი, ვაკოდი,
რომ სკრიპტას დაუკრავდი და შეც ეგ მინდოდა.

ისინი ერთად ჩამოსხდნენ სკამზედ; ოლავს მა-
რიამის ხელი ეჭირა და ტანში-მოხრილი ისე ჩუ-
მად ელაპარაკებოდა რაღასაც, რომ სტურსონს
დიდ-ხანს ვერა გაეცოა. რამდენჯერმე მოეჩვენა,
ეითომ იმის სახელს ახსენებდნენ, ამასთანავე ვედ-
რება და ოხვრა გაიგონა, მერე მეორე მხრიდამ ნუგე-
ში და ტკბილი ხმით დარწმუნდა. სტურსონი გა-
ფაცაცებული თვალებს აჭყეტდა, გამრაზებული
ყურს უგდებდა ყოველს იმათს სიტყვას, თან მუშატს
უღერდა და ხელით პირს იფარავდა, რომ ხმა მალ-
ლა არა წამოსცდებოდა-რა.

ბოლოს ოლავი წამოხტა, წაიშინა თავში და
უიშედო ხმით წამოიძახა:

— ზანდგომილის ბეჭედი მაძევს, საკარელო
მარიამ, სულველა ხედავს ჩემს შუბლზედ იმ ბეჭედს
და გაკითხვა არა აქვსთ! რას უშავებ იმათ? რათ მე-
კიდებიან ისე სასტიკად? ზანა საკმაო არ არის, რომ
მე იმ უბედურ ხალხთაგანი ვარ, რომელიც ფეხ-

შეეშ გააქვსო და სჩავრავენ! არა, ამაოა ჩემი ცდა, რომ მოვინიჭო იმათი პატივის-ცემა. მე იმათ ვეზიზ-ლები და ყველა იმათგანს, რაც უნდა ტუტუცი და უმეტარი იყოს, ჰვონია, რომ ნება აქვს მომექცეს ისე, როგორც უვარების ჩვარს და ყველაფრით, რითიც კი შეუძლიანთ, შეურაცხოვა მომაყენონ.

— მე კი დაგავიწყდი, მლავ, უთხრა მარიამმა ველრეპით და კანკალით და გადაეხვია, — განა ჩემი სიყვარული სამაგიეროს არ გავიწევს?

— შენ, მარიამ? შენა ხარ ჩემი სუნნელი ყვავილი, უცბად გადმოვარდნილი უდაბნო კლდეზედ! მოწადინებით შესძახა მლავმა და ქალს ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა, განა შესაძლოა, გამოვსთქვა ჩემი გრძნობა! მარტო შენ არა ვძულდი, მარტო შენ არ მარილებდი პირს და შენს მშვიდობიანს და მოსიყვარულებულებიაც ჩამახდედ. მაგრამ ყველა ეს რითი ვათავდება, ჩემო მარიამ? სად უნდა გავიქცე, რომ ალარ დავინახო?

— მე შენ არსად არ გავიშვებ, მლავო, უთხრა ახალ-გაზდა ქალმა და ხელი მხარზედ დაადო.

— მაშ თუ აქ დავტჩე, მარიამ, რა მეშვეელება? ღმერთო, შენს მადლს! რამდენი მწუხარება, რამდენი დამცირება უნდა ავიტანო? სად მოვიპოვო იმდენი ლანე, იმდენი მოთმინება? სტოკფლეტი ტყუილს კი არ ამბობს, რომ, უეჭველია, მომავალში შერცხვენა მომელის და აუცილებლად დავილუპები, თუ მე ჩემს თავს ეხლავე არ ვუშველე, არ მოვაშო-

რე თავი იმას, რაც ჩემს საბრალო სიკოცხლეს ამ-
ხიარულებს და ანუვეშებს.

— შენ განა მისიონერს გამოუტყდი? ჰყოთხა-
ჩუმად ქალმა.

— დიალ, კუთხარ, მარიამ, უპასუხს იმან,—
რა ვქნა, ძალიან ვიტანჯებოდი, ჩემი გულის დარ-
ღები გადაუშალე, ვუამბე, რომ მიყვარხარ და შე-
ნითა ეცოცხლებ.

— მერე რა სთქვა იმან მაგაზედ?

— რასაც მოველოდი; სტოკულეტი კეთილი-
კაცია, ჩეენ ვუყვარვართ, მაგრამ ქვეასა და კლდეს
ხომ პურად ვერ აქცევს? მეტი გზა არ დამჩენია,
უნდა გავიძლე, მოგშორდე, მოვინანოო ჩემი სიგიფე-
მარიამ, ჩემო ძეირთასო მარიამ, შესძახა ალელვე-
ბულის ხმით მლავმა,—განა უკანასკნელად მეტოს
შენი ხმა და ამის მეტად ვერცა გნახავ?

— იმას ჰსურს, ჩენი განშორება განა, მისი-
ონერად უნდა გაგხადოს, ჩემო მლავო?

— არა! შესძახა გაშმაგებულმა მლავმა,—
მე არ შემიძლიან მისიონერი გავხდე. არა მწამის
ის ღმერთი, რომელიც ესე სასტიკად მსჯის. სად
არის იმის სამართალი, იმის სიყვარული? ჩემი სი-
კოცხლე სულ ტანჯვაში გამიტარებია, როგორ
უქადაგო სხვას იმის სიტყვები, როცა ის ჩემზედ გან-
რისხდებულია?

— ნუ სცოდავ ეგრე, შესძახა მარიამმა და
გადაეხვი:,—მლავო, ჩემო კარვო, განა არა ვჯერა,



რომ მიუვარხარ? მე შენ ჩემს დღეშიაც არ მოგზორ-დები.

— შენა! უთხრა გამწარებით მლავმა,— შენც სხეულით პირს ამარიდებ. ის გარყევნილი კაცი, რომელმაც გუშინ თქვენს სახლში ფეხი შემოსდგა, მკელივით გითვალ-თვალებს და არ მოისცენებს, სანამ ხელში არ ჩაგრიდებს.

— არას დროს, ნუ მეტყვე მაგას, შიშით შეძახა მარიამმა,— მე მძულს ის კაცი!

— შენ არ დაგვეკითხებიან, წამოსთქვა უიმე-დო მლავმა, — იმ კაცსაც და მამა-შენსაც თვალებ-ზედ შევატყე, რომ შენი ბედი გადაუწყვეტიათ კი-დეცა, შენს მაგიერად ვშეშობ, მარიამ! მე უსინიდიო და ხარბი კაცია; იმიტომ გამოგზავნეს, როგორც ამ-ბობენ, აქეთ მხარესო, რომ სამხრეთში პატიოსანი კაცი აღარ ეკარებოდა თურმე. მე უთუოდ წაგათ-რევს თავის სახლში და მე ლამ-ლამობით ვიდგომი-ლები შენს ფანჯრებთან, ვაეიგონებ იმის ურცხვს სიცილს, გულის ძერით მოვისმენ შენს ტირილს.

— არა, მლავო! დმერთმა დამიფაროს! არა, არას დროს!

— მაში კარგი, შესძახა გონების დაფანტკეით მლავმა,— შენ არავის არ დაგიომობ! სანამ სული მიდგია, მე შენი დამცველი ვიქნები.

— შენა! ზიცქლად შეჰყვირა სტურსონმა, რომელმაც თავი ვეღარ დაიჭავა და გამოვარდა თა-ვის ნაპრალიდამ,— რა შეგიძლიან, შე უშავესო, ვე საძაგელო პირუტყვო!

და სტურსონმა თავისი რეპრინტის მძიმე ხელებით მოუჭირა ყელში მლავს, რომელიც სცდილობდა თავის დახწევას და თუმცა ძალას ღონიერი იყო, მაგრამ გაშმავებულს სტურსონს ეხლა ვერავინ ვერ მოეჩეოდა. ამათი საშინელი ბრძოლა ერთს წუთს გათავდა, მთვარე მკრთლად ანათებდა ბრძოლის ველს. სტურსონმა ერთი კიდევ გადახედა გალურჯებულს მსხვერპლს, რომელსაც თვალები დაჭუეტილი დარჩენილა და შეატყო, რომ ის ასას წინააღმდეგობას ველაზ გაუწევდა. მერე ერთი ხელის მოქნევით ვადიროლა კლდიდვან ბნელს უფსკრულში.

შემოისა წყლის შხაპუნი, როცა შეგ მძიმე გვამი ჩავარდა. ჰატარა ხანს კიდევ გაისმოდა უიმედო ბრძოლა ტალღებთან და რამდენიმე მწუხარე ამოახვრა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. სტურსონს მუხლებმა დაუწყო კანკალი, რის ყოფით მოახერხა და გარდახედა ზღვას, მაგრამ იქიდამ აღარა მოისმოდა-რა.

— იწექ მავ ზღვაში, შენი ალაგი მანდ არის! შაპუტბუჭა სტურსონმა და მწარედ გადიხარხარა. სახე საშინლად გადაბრუნებული ჰქონდა, შუბლიდამ ოფლი გადიწმინდა და გადახედა მთვარეს, ეს იყო მოწამე ამის დანაშაულობის. მერე მიუახლოვდა სკამს, სოცა გულ-შელონებული მარიამ უძრავიდ ეგდ ა. იქიდამ სიჩქაროდ მოიტაცა საწყალი შეოლის მასწავლებლის სკრიპტა, თავის



ქართველით და გადისროლა ჰდაში. მხლა კი მოიცალა
ახალ-გაზდა ქალისათვის. როგორც იყო წამოაყენა,
საფეხქლებზედ ხელი წაუსვა, გაცემულს ტუჩებში
დაუწყო კოცა, სხვა-და-სხვა ალერსიანს სიტყვებს ჩას-
ძახოდა და თავის მუხანათი ხელებით ეხვროდა. ბო-
ლოს მარიამმა თვალები აახილა, შიშით აქეთ-იქით
გადიხედა და მლავს დაუძინა.

— Այս աղար միուս, պատեհա և պայցը լուրջիուս եմուտ, թաց-
համ գամ թշուալցեցնու եթուրկունքնա.

— မာရဲ စာဇ အနေး? စာဇ ဂုဏ္ဍာဏျုပြုမ? ဒီကျတော်
ပျော်မာ ပျော်ပျော်တ.

— მე არა დამიშვებია რა, უპასუხა სტურ-
სონმა,—და გეფიცებით, მარიამ, დღეის იქით იმას
არაფრინისა არ უნდა ეშანოდეს, გთხოვთ, დამშეიღ-
დეთ.

— შინ უნდა წავიდე, წამოიძახა ახალ-გაზდა
ქალმა და წამოიწია ასაღვომად.

— ჩემი წასვლის დროც არის, სთქვა სტურ-
სონმა, — მალე გათენდება. მაგრამ ერთი ჯერ ყური
დაშაგდეთ, მარიამ, თქვენმა კეთილშობილმა გულმა
მოგიყვანათ აქ, ვეღარ შეიმაგრეთ თავი მხეცის
ხეეწინაზედ, რომელიც ბავშურის თავ-მოყვარეობით,
როგორც შეეფერება იმის ჯურა ხალხს, ივიწ-
ყებს თავის მდგომარეობას და თავის თავი რამედ
მიაჩინა, თქვენმა გულ-კეთილობამ მიგაბწევინათ მან-
დამდინ, უაგავიწყებინათ, რომ გაუჯროთხილებ ლო-

ბით თქვენს პატიოსანს სახელსაც დაჰყარგავთ და
მამა-თქვენსაც თავ-ზარს დასუემთ.

— მამა-ჩემსა! წაიბუტტბუტა გულ-გადაბრუნე-
ბულმა ქალმა.

— ნუ გეშინიანთ, ის არასოდეს არ გააგებს,
უთხრა სტურსონმა,—ჩემს სიცოცხლეს და მეგობრო-
ბას ვეფიცებით, რომ მამა-თქვენი თავის დღეში
არას შეიტყობს. მხლა, მარიამ, მომეცით თქვენი
ხელი, წავიდეთ, მაგაზედ ნულარის ვილაპარაკებთ.
ოლავი ჭკუას მოიგროვებს, ის მართალს ამბობს,
რომ უნდა სრულებით მოგშორდესთ, იმედიც მაქვს,
აასრულებს თავის განძრახვას და არ ეცდება თქვენს
ნახვას, თუნდ სანამ ჩემი წადილი არ ამისრულდე-
ბა, დაუმატა სტურსონმა დაბლის ხმით.

ამან მარიამს ხელი წამოავლო და ლონე მიხ-
დილმა ქალმა წინააღმდეგობა ველარ შესალო და
ვერც ხმა გასცა იმის უკანასკნელს სიტუვებზედ ქარგა
გათენებული იყო, როცა ესენი სახლში დაბრუნდნ ენ.

— დამე მშეიდობისა, ქალო მარიამ, ლომი-
ლით წაუჩირჩულა სტურსონმა,—მერწმუნეთ, მე
თქვენი ერთგული ვარ, ცოტა-ოდნად მეუც მომი-
ვონეთ თქვენს სიზმრებში.

მარიამი საჩქაროდ შევიდა თავის ოთახში. სტურ-
სონმა დაკეტა კაზი, მერე ფანჯარა, რომელიც ლიკ
დარჩენოდა და ავიჯა თავის ოთახში. ჩაწეა თუ არა
ძვეშაგებში, ერთს წუთის შემდეგ ლრმად ჩაეძინა.

IV.

სტურსონი მეორე დღეს წასასელელად გაემზადა. ვერაეინ ეყრ მიხვდებოდა, თუ მას ღამე როგორ გაუტარებია. საუზმის ღროს საშინლად ვამხიარულდა, მოჰკვა ხუმრობებს და ბევრს აცინებდა მცელანდს. ვაჭარიც თავის მჯრით კაი გუნებაზედ იყო. საჩამ ნავს ამზადებდნენ და ბარეს აწყობდნენ, ახალმა მეგობრებმა ერთი კალევ გადაჰკრეს ერთმანერთის საღლევრძელო.

მარიამი არა ჩნდა; მოახლეო იმის უქეიფობა მოახსენა: «გააცივაო, თავი სტკივა და ამიტომაც ქვეშავებიდამ ვერ წამოდგაო..» იცელანდმა თავისებურად ცხვირი მოიფხანა, ვერაგულად გადახედა მსაჯულს და შესძახა:

— ჰა, ჰა! გარწმუნებთ, მეორედ რომ მობრძანდებით, სრულებით კარგად-მყოფი დაგიხვდებათ. მალების ფინები კარგა ვიც. მაგრამ ვინ ციის, იქნება ღამე დიდ ხანს დასეირნობდა და გაცივდა.

ამაზედ სტურსონმა თვალები შეაჩერა; ვაჭარი კი დიდი მნიშვნელობით იღიმებოდა და უთხრა:

— რა ვუყოთ? ახალ-გაზღობა თავისას არ დაიშლის. ხომ მალე მეწვევით, რაღაც მაქვს სათქმელი.

ნავი მისცურავდა ზღვის გრძელს გარდასაღინარში, ლენვიგის მხარეს. აქედამ სტურსონმა დაინახა

ზღვის შტოჭედ გადმოწყვლილი ნაცნობი მაღალი კლდე, მაშინვე პირი მიიბრუნა ზღვისკენ და წაიბუტიბუტა:

— ტუტუცი, ოვისი ბრალი იყო, რომ დაიღუპა. რა როგორ მიხარიან, ჯერ იმ სათო სტოკულეტს არ შეუტყვია იმის გადაღუპვა. ბევრი ძებნა კი მოუნდება თავისი საყვარელი შაგირდისა.

ამ სიტყვების შემდევ დამშვიდდა, ნაეში გადაწევა, ციგარა მოსწია და მთელი გზა წარა-მარად, მხიარულად ელაპარაკებოდა მენავეებს. ლენვიგის ნაეთ-სადგურზე ამას მიეგებნენ იქაური პატივსაცემი მოხელე კაცები. ფოხტმა ოვის სახლში მიიწვია და დიდი მასპინძლობა გაუწია; იქიდგან სტურსონი თავის ბინამდის ცხენით გაისტუმრეს, ბარგს კი ნაეით პირ-და-პირ სახლში მიუტანდნენ; ამან იქვე შეიტყო და დიდად გაიხარა, რომ წინედ ვამოვზავნილი ბარგი მისცლია კიდევ.

ორს საათს შემდევ კლდიან გზაზედ სიარულით დაქანცულმა სტურსონმა დაინახა მალენგერის ზღვის ტოტი და იმის დაღმართზედ ვამწეანებულ ნაპირზედ თავისი ახალი ბინა. ამ სახლის უკან მოსჩანდა თვალ-გაუწვდენელი, ხშირი ტყე; ეს ტყე აყულროვებდა სახლს და შეშასაც ბლომად ხმარობდნენ იქიდვან. შესასაც მეთევზეების და სხვა იქაურიხალხის ქოხები იდგა, ნაეთ-სადგურიდამ მოსჩანდა ნავების ანძები, ბუხრებიდამ კომლი ამოდიოდა, ეტყობილა, რომ ადგილი კარგა დასახლებული



ამ სანახავება სტურსონი გააოცა; მერე, როცა
მიუახლოვდა ზღვის ნაპირს, ხომ უფრო გამხიარულ-
და. სახლი გარშემორტყმული იყო აყვავებული ბალით,
კეება ბოსტანით და გამწვანებული მინდვრები. ცოტა
ჯაფა კიარ მოუნდებოდა ამის ვამწყობს! რა ძნელი
დასაჯერებელია, რომ ამისთანა მშეენიერად შემკული
კუთხე რვა თვე ლრმად ჩაფლულია ხოლმე თოვლში.

სტურსონი ჩამდენიმე დღე მოუნდა სახლის
გამართვას, ლენვიგიდამ დაიბარა ხელოსნები და
უშები, კედლებზე შპალერის ქადალდი გაკვრე-
ვინა, სარკეები და სხვა-და-სხვა სურათები ოქროს ჩარ-
ჩოებით ჩამოაკიდეინა და სხვა მორთულობით გააქსო
სახლი; მეზობლები აღტაცებით ამბობდნენ, როგ
იმათი მსაჯულის სახლი სიმდიდრით და მშევნივ-
რობით ხელმწიფოს სასახლეს არ ჩამოუტეჩებათ.

სტურსონის საქმეები ამით არ გათავდა; იმის-
თანა უშველებელი უდაბნოს მაზრის მსაჯული
გულ-ხელ-დაკრეფილი კი არ უნდა იჯდეს და მოე-
ლოდეს შინ საქმეებს, არამედ უნდა მუდამ დაი-
რებოდეს ყოველ კუთხეებში, არ დასდიოს არც წანს
და არც ავდარს. სტურსონის მაზრა კარგა მანძილ-
ზედ იყო გაჭიმული. მარღად შეუდგა ის თავის საქ-
მეებს, ორ კვირაზედ შემოიარა ყველა სოფლები და
ის კუნძულები, რომელნიც იმის მაზრას შეადგენ-
დნენ და ყველგან ხმა დაუარდა, როგორც მცოდნე,

მოსაქმე კაცისა და რომელიც აღვილად ვერ შოტ-
უუჯება. მსახურებს კაი ჯამავირს აძლევდა, მაგრამ
მწრაფლად მოსთხოვდა კიდეც თავის ბძანების ას-
რულებას.

მდიდარ ვაჭრებსაც და მემამულეებსაც ძალიან
მოეწონათ მსაჯული; ისინი ისე მოპეზრებულიყვნენ
ერთმანერთისაგან, რომ ამისთანა კაცი იმათვის ძვირ-
ფას განძს შეადგვნდა. იმათ შეყრილობაში მოჰყვე-
ბოდა ხუმრობას, უამბობდა სხვა და სხვა რამეებს და
ხან-და-ხან სიტყვას ჩამოაგდებდა თავის სახელოვანს
ნათესავებზედ. იმათ ადრევე გაგონილი ჰქონდათ
ამის დიდ-კაცებთან მოყვრობა და უფრო პატრია-
სცემდნენ.

სტურსონს ხშირად მოუხდებოდა იველანდის
მამულის ახლო გავლა, როდესაც თავის საქმეებზედ
დადიოდა, მაგრამ ერთხელაც არ შეიარა მასთან.
მისსიონერი ჯერ კიდევ იჭ ეგულვებოდა და ერი-
დებოდა იმის ნახვას, თუმცა თითონვე რცხვენოდა
თავისი გაუბედაობა; მანამდის ხომ მარიამიც ცოტად
მაინც დამშეიდებოდა და ვაჭარი, უეჭველია, იმის
დაგვიანებას მიაწერდა სამსახურისთვის თავ-განწი-
რულობას.

მსაჯული, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა,
დაუწყობდა ახალ ნაცნობებს გამოკითხვას იველან-
დის შექლებაზედ; იმათი პასუხები ყოველთვის აღელ-
ვებდნენ სტურსონს, რომელიც უფრო რწმუნდებო-
და იმ აზრზედ, რომ ცოდვა არის და თითქმის სირც-



147353
3022010006

ხეილიც იმისთანა სიმღიდრე დასტოულს ვაუზდელ
და ჭუჭყიან ვაჭრის ხელში, როდესაც თითონ, მხნძე
და საქმის მცოდნე კაცს, იმის მოხმარება უფრო
ეკადრება. ღამლამობით, როდესაც დიდ-ხანს არ ეძი-
ნებოდა, სულ ის ეზმანებოდა, თუ მარიამს როგორ
შეიჩავას, იმის მდგომარეობა როვორ ვამოიცვლება,
თუ რა პატივი და ძალა მიეცემა იმას მასუკან სა-
ზოგადოებაში; ეს ფიქრები მაშინაც ამნიარულებდნენ
როდესაც მარტოდ მარტო, უბოლოეო და მოსაწ-
ყენ გზაზედ მოვზაურობდა. ბოლოს ვადასწყვიტა,
რომ დროა ეწეიოს თავის მეგობარს. მრთს მშევნიერს
დილას შეჯდა თავის პატარა, ცქვიტს ცხენზედ, ოთხ
საათში ვადაიარა მოები და მივიდა მცელანდთან.
ვაჭარს ძალიან ვაეხარდა და სტურსონის ბრადიშის
მოხდაზედ სთქვა:

— შევიტყო თქვენი ქება, მსაჯულო, სწორედ
მაგალითი უნდა აიღოს ჩევნმა ახალ-გაზდობამ — ჯერ
საქმე და მერე მევობრობაო. ჩემს სიცოცხლეში
ყოველთვის მაგ წესის მიმყოლი ვარ და აქამდინ
არც ერთხელ არ მიჩანაა. ვისაც კი დავეკითხე თქ-
ვენზედ, ყველანი გაქებდნენ, მავრამ ეტყობათ თქვე-
ნი, ცოტა არ იყოს, ეჭინიანთ; უამისობა არ შეიძ-
ლება. რა რიგად მოხარული ვარ თქვენი ნახვისა.
მარიამი კი, დარწმუნებული ვარ, ალტაცებაში მოვა.

— სად არის? ი ყოთხა სტურსონმა.

— მარიაში აღარ იცნობა, ისე გამოიცვალა,
გახდა, ფერი დაჰყარგა, სიცილით უთხრა ვაჭარმა,—

არ ვიცი, რაც თქვენ წასულხართ, სულ ჩაფიქრებული და ნაღვლიანია, არც მადა აქვს, სულ ოხრავს და ხანდისხან ტირის კიდევ.

— ამ სიტყვების დროს ვაჭარი თვალს ანიშნებდა სტურსონს და ხმა მაღლა ხარხარებდა.

— უნდა ვეცადოთ, კარგა ვახდეს, — გავამხიარულოთ, პასუხად უთხრა სტურსონმა.

— მცავეთ, ბატონი, ეცადეთ, შესძახა იველანდმა, — ეგ კარგი იქნება. დიალ, დიალ, ამ ხანბით ჩვენ სულ მარტო ვიყავით. მას აქვთ, რაც თქვენ წასულხართ, შკოლის მასწავლებელიც სადღაულ გაჰქინა.

— ხომ არა დაემართა-რა?

— აბა რა დაემართება იმ კაცს, ვისაც ქვეყანაზედ არა გააჩნია-რა გარდა ძველი სკრიპტისა, თოვფისა და ორიოდ წიგნისა? სკრიპტი და თოვფი თან წაულია, ვინ იცის ეხლა სად მთის წვერზედ ზის და უკრავს თავის სიმღერებს. რომელ დ ვნანობ, რომ ამ დროს ჩაიღუპა, ნადირობის და ვინ მოგვიტანს ბლომად ფრინველებს.

— მღვდელი სადღაა? ჰკიონხა სტურსონმა.

— მღვდელი მთელი კვირა თავის მლავს დაეძებდა და იმის მეტი სალაპარაკო არა ჰქონდა-რა. როცა შეიტყო, რომ მდინარე ალტენთან ლაპლანდიელები ჩამოსულიანო, მაშინვე კაცი გაგზავნა შესატყობის, მლავი იმათთან არის თუ არა; ბოლოს ვეღარ



მოითმინა და თითონაც მთებში გაწია, საცა, უკუ-
ველია, იპოვის იმას.

— ვინ იცის, წაიბუტბუტა სტურსონმა.

— თუ დაიკარგება, არც ის იქნება დიდი შე-
საწუხარი, შესძახა ვაჭარმა.— აი, მარიამიც მოდის.
ჩევენს სახლთან ახლოს, ხომ მოვეხერებათ, კლვე
და კლდეზედ ქვის სკამი არის გამართული; რაც
თქვენ წასულხართ, მარიამი ხშირ-ხშირად ადის
ხოლმე და დიდი ხნობით რჩება იქ ჩაფიქრებული.
თქვენ, მცონია, ძალიან კარგად გეცნობებათ ის
სკამი.

ვაჭარი თავის ნათქვამზედ თითონვე ვულიანად
მოჰყვა სიცილს და სტურსონს მაგრად ხელი მოუ-
ჭირა; ეტყობოდა, ძალიან უხაროდა, რომ მიუხედა
მსაჯულს იმის ეშმაკობას.

ამ დროს მარიამი შემოვიდა. სტურსონი სწო-
რედ გაოცდა, დაინახა თუ არა, რა ნაირად ის გა-
ფითრებულიყო და ავად მყოფად გამოიყურებოდა.
ძალი მსაჯულის დანახვაზედ წამოწითლდა, ჯერ
რაღაც უნდა ეკითხნა, მაგრამ ველარ გაბედა.

სტურსონი დიდ-ხანს და დიდი თანაგრძნობით
ელაპარაკებოდა ქალს. ისეთი სასიამოვნო და ნაზი
ხშით, ისეთი ალექსიინად და პატრიციელით მოუყვა
საუბარს, რომ ძნელად დაიჯერებოდა მისი ამპარ-
ტავისა და ანჩხლობა. მარიამი მაღლავბელი დარჩა,
რომ იმან იმღამენდელს შემთხვევაზედ ხმა არ ამოიღო.
მერე უნდოდა რამე ეკითხნა მლავზედ, მაგრამ

ვერ გაბედა; განა თითონ უფრო კარგა არ იცოდა,
 თუ მლავი ჩისთვის გაიქცა, ან რატომ არ წაჲყა
 სტოკილეტს? ზანა იმან თითონცე არ გამოუცხადა
 თავისი განზრახვა? მაგრამ სტურსონი მოჰკილებდა
 თუ არა იმას ხელს, მარიამს მოაგონდებოდა მაშინცე
 მლავის სიტყვები და აუარდებოდა კანკალი. როცა
 მამა და სტუმარი ერთმანერთს რაღაც მნიშვნელო-
 ბით გადახედავდნენ, საბრალო ქალი გრძნობდა
 ელდას და ნალვლით სასოწარკვეთილებას მიეცემოდა.

მეორე ჯილით სტურსონმა გამოუცხადა ვა-
 ჭარს თავისი სურვილი მარიამის ცოლად შერთვისა;
 ვაჭარიც, რასაკვირველია, სიხარულით დაეთანახმა.
 ამას რაც ისე ეზმანებოდა — ეხლა აუსრულდა, საჩ-
 ქაროდ დაუბახა მარიამს:

— ძლიერ არ გრძოვე წამალი, უთხრა ვაჭარმა
 თავის ქალს, როდესაც იმან ოთახში ფეხი შე-
 მოსდგა. ხომ ალა მოიწყენ. ლარსს სტურსონს შენი
 შერთვა პსურს, იმის ცოლი ვახდები და დაჯეგბი იმ
 ზოლმბოეს სახლში, რომელ ისე მოგწონდა.

— მამაჯან, ეგ არ შეიძლება! შესძახა მარიამმა;
 კანკალმა აიტანა საწყალი ქალი, იმან გამოაცალა
 თავისი ხელი მამას, რომელსაც ის ძალად უნდა
 მიეცა სტურსონისთვის.

— როგორ თუ არ შეიძლება! წამოიძახა ვა-
 ჭარმა, — ვისა აქვს თავი შენი პრანკვისა; გეურვა,

မარიამ, ნუ იბრიცები; თითქး არ ვაဖოდე რှာဖა
გို့လია.

— შენ არაფერი არ იცი, မამაჯან, სრულებით
არა იცი-ဘა, წარმოსთქვა မარიამი და თავი ჩაღუნა.

— არა, მაში ვინა გვინိივარ? სიცილით უთხრა
იყელანდმა, — შენ გვინია, მე არაფერის არა ვხედავ
და არც მესმის? მაში იცოდე, მე ფანჯარასთან ვი-
დექ, როცა შენ და მსაჯული ამას წინეთ, დილით
ერთად დაბრუნდით. ბედი შენი, რომ ეგ კაცი აშორ-
ჩიე და არა სხვა, თორემ გაგირიგებდი საქმეს. ძარგი,
ტუტუცო, გეყოფა, დაუმატა ვაჭარმა, როცა მარიამს
ალ-მური აედინა და ხელები სახეზედ მიიფარა,—
დიდი ცოდვა არ არი და მეც მადლობელი ვარ,
რომ ვიშოვე იმისთანა სიძე, როგორიც ჩემს გულს
უნდოდა. ბედნიერი იყავ, ჩემო შეიလო, ღმერთმა
დაგლოცოს!

სტურსონი მიუახლოვდა მარიამს, ჰმა ამოუ-
ლებლივ გადაეხვია, დაუწყო კოცნა ხელებისა, თმე-
ბისა, მერე ხან თვალებში ჩაჰკოცნა, ხან ტუჩებში,
ალერსიანად და მოწიწებით შესცეკვილდა იმის მოწ-
ყენილს სახეს.

იკელანდი ალტაცებით ხან ქალს ეხვეოდა, ხან
სასიძოს და არც კი ამჩნევდა, რომ მარიამი ძლივს-
ლა იდგა ფეხზედ. მაშინვე მოაგრივა მოსამსახურეები
და დიდი ამბით გამოუცხადა მარიამის დანიშენა
მაჯულ სტურსონზედ; ეს ამბავი ერთს წუთს მოედო
მეზობლებში. პატარა ხანს შემდეგ აივი სახლი;

უკელას უნდოდა დაწერილებით შეეტყო საქმის გარემოება, ერთვანერთს არ აცლიდნენ, ულოცავდნენ მათ, ისე რომ ვაჭარი ძლიერ ასწრობდა მაღლობის გადახდას, სტუმრებს უხვად უსხავდა ლეინოს და უკედანი ბლობად სეამდნენ ახალ-დანიშნულების საღლევრძელოს.

ამ აყალ-მაყალში ჩამდენიმე საათი გავიდა. სტურსონმა არ დააკალა მარიამს გონებაზედ მოსელა: შერე კი ქალმა შეატყო, რომ უარის თმა გვიანდა; ეხლა ის სტურსონის ხელში იყო, იმან იცოდა ამის საიდუმლო, შეეძლო მამისთვის გაემჟღავნებინა და მერე რა ეშველებოდა! თანაც, განა არა ხელავდა, რომ მამის მხურვალე სურვილი იყო ამ საქმის დაბოლოება და იმის თავ-მოყვარეობას მოსწონდა ის აზრი, რომ სიძის გამო დაუმოყვრდებოდა ბევრ გამოჩენილ ოჯახებს.

სტურსონი ვითომ და არ ამჩნევდა მარიამის შემფოთებას, ისე ალექსიანად და ყურადღებით ეკიდებოდა იმას, რომ ბოლოს, საღამოზედ, ქალი თავის თავს აყვედრიდა, თუ რათა სძაგს ასე ეს კაცი, სცდილობდა როგორმე მოერიოს ამ გრძნობას და თანაუგრძნოს იმის დაწყობილობას მომავლისთვის.

სტურსონი მოუკეა, რომ ის სულაც არ ჰეიქ-რობს მთლად თავისი სიცოცხლე ამ უდაბნოში გაატაროს, იმას საკუთარი მამული აქვა სამხრეთში, საცოლოს ეკითხებოდა, უყვარს თუ არა მოგზაურობა, ჰესურს თუ არა იმას ნახვა საურანგეთისა,

ზერმანისა და იტალიასა. თავ გამოდებით იყონებდა თავის გამოჩენილ ნათესავებს, რომელთაც აღვილად შეუძლიანთ უშოງონ ამას საუკეთესო ადგილი. იველანდი გაფარიცებული ყურს უვდებდა და თავისი ქალი მიაჩნდა კიდეც რომელიმე წარჩინებული კაცის ცოლად. სალამოზედ იველანდთან მოეროვდნენ ყველა იმის ნაცნობები და იმან ვახშამით გადის: და მარიამისა და სტურსონის დანიშვნა. შხვად სემდენ ლვინოს და ვისაც კი უნდოდა, შეეძლო ამ ლხინში მონაწილეობა მიეღო.

მარიამობის-თვე მიწურვაში იყო და დღეებით თან და თან პატარდებოდა. პინდისას სტურსონი შეხურებული ლვინითა და აღელვებული გამოვიდა სახლიდამ ცოტა ჰაერის ჩასაყლაპად, ჰსურდა მარტოკ მარტო დარჩენა, რომ მოესაზრნა, მოეფიქრნა და დამტკარიყო იმ აზრით, თუ თავისი წადილი როგორ მალე აისრულა და მარიამიც და იმის ფულიც როგორ ხელში ჩაიგდო; თან კი ზიზლით მოიგონებდა იმ საზოგადოებას, საცა ასე უცბად შესტოპა, იმ კაცებს, რომელნიც ეს არის ეხლა დასტოვა და თითონ ის ქალიც, რომელსაც აქამდის ეტროიალებოდა, ეხლა თვალში აღარაფრიად მოხდიოდა. სიბრაზით იყონებდა, თუ მოელი დღე თავს როგორ იმდაბლებდა იმ ქალის წინ და ფიცულობდა, რომ ქორწილის შემდეგ მოაგონებს იმას მაგ ეინებს.

შიქრებში გართული სტურსონი უნებლივ სახლიდამ კარგა შორს წაეიდა. ქლდეს რომ შეუხვია იქ დაუხვდა იანსენი, რომელიც როგორც წინეთ,

ბადეებს უგდებდა წყალში. იანსენმა მოჰკრა თვალი თუ არა სტურსონს, დაიწყო ხტუნვა, ხარხარი და ბელებით ანიშნებდა, მომიახლოედო.

— რა გინდა? ჰყითხა სტურსონმა და უნებლივ გაეცინა იმის პირის სახის დავრეხაზე. — თუ გინდა, შენ თითონ მოდი.

— მე თქვენთან სალაპარაკო მაქვს, პატივცე- მულო ბატონო მსაჯულო, შეჰყვირა ბოელანდიელმა.

— რატომ სხვებივით იცელანდთან არ შეექცევი, ჰყითხა სტურსონმა და თან უახლოედებოდა იან- სენს, — რატომ ჩემი სადღევრიძელო არ დალიე?

— იმიტომ რომ არ მინდოდა, უთხრა იანსენმა და ამაყად წელში გაიმართა, — მე თითონ სახლიცა მაქვს და კარიცა, რა სახალისოა იცელანდის კარების წინ დგომა, ვინ იცის ვინ მოთრეულებთან და იმათ- თან ერთად ნასუფრალის აკრეფა?

სტურსონს გაეცინა ამ პატარა ბოელანდიელის ამაყობაზე და უთხრა:

— მაშ შენ გგონია, ჩემო კარგო, რომ შენი ალაგი პასტორის, ფონტის და მაზრის მსაჯულის გვერდით არის?

— ვითომ და რატომ არა? ჰყითხა ბოელან- დიელმა, — მე უნდა ისიც მეთხოვნა თქვენთვის, ან დღეს, ან სხვა დროს დამპატიით თქვენსა. როცა პასუხის მაგივრად სტურსონმა ზიპლით გადახედა, ამან ბოროტად გაიღიმა და უთხრა: — მეორი, უარს არ მეტყველ, პატივცემულო მსაჯულო. თქვენ ხომ



მოგეხსნებათ, რომ შემიძლიან, თუ მინდოდეს, ეგ მოვითხოვო.

— შენ სულ ტუტუფი ხარ, იანსენო, უთხრა ს აურსონმა,— რათ მექახდი?

— იმიტომ რომ გავიგო, სთქვა პირ-ქუშად ბოელანდიელმა,— ფოხტს მოელაპარაკეთ თუ არა ჩემს საქმეზედ?

— რა საქმეზედ?

— როგორ თუ რა საქმეზედ? მიუვო იანსენმა,— კაი დამახსოვრება კი გცოდნიათ, ბატონო! მე ვამბობ, ალაგი მომცენ იმ არდასაცალებლისა, რომელიც დაიღუპა და, უეჭველია, თავის დღეში ვერავინ ვერ იპოვის იმას. მს სრულყვები წამოიძახა ლრეჭით და სტვენით.

— მე რა ხელი მაქვს შენთვის ალაგის მოცემაზედ, შენ თითონვე სთხოვე ფოხტს. მე საშენო ალაგი არ არის, იანსენო, რა შენი საქმეა შკოლის მას-წავლებლობა? სჯობია შენს მიწას და შენს ბადეებს მოუარო და მე თავი დამანებო.

— ერთი დამაცადეთ! შეცუდირ ა ბოელანდიელმა, რაკი ნახა, რომ სტურსონი გაბრუნდა წასასელელად.— ქარგად იფიქრეთ, რასაც ვეუბნებით. მე მინდა გავხდე შკოლის მასწავლებელი, აქამდის ხმას არ ვიღებდი და ეხლაც ჩუმად ვიქმნები, თუ ოქვენს დაპირებას აასრულებთ.

— ვითომ რა გინდა სთქვა მაგითი? შეცყვირა
სტურსონმა.

— ი) მინდა ესთქვა, მიუკო იანენტმა, რომ
თუ მოეინდომე, ბევრი რამ მაქვა სათქმელი! მე-
რე თითით ანიშნა მაღალი კლდე განათებული ჩა-
მავალი მას სხივებით და სთქვა: — უყურეთ! რასა
ჩედავთ? სისხლი ხომ არ მოსჩანს?

იანსენმა სრინწიანის ხმით დაიწყო სიცილი და
თვალები დააშტერა სტურსონის მყრთალს და მკედა-
რიებით გაუყითლებულს სახეს. მაგრამ საშინლად
აკანკალდა და გაიქცა, როლესაც მსაჯულმა ხმა
ამოუღებლივ მჩინეად გადახედა; ბოლოს კი შე-
და, დამშვიდდა და უკანვე დაბრუნდა, რადგან
სტურსონი მხიარულად უციალდა და უძახდა:

— ძიღვეაც გეტუვი, უთხრა მსაჯულმა,
რომ შენგან ტუტუცობაა ეგრე ანირებით თხოვნა
იმ ალაგისა, რომლის თანამდებობას ვერ აასრულებ.
უფრო ცუდი არ არის, რომ მეორე თვეს პანლური
გურან და გამოგაცდონ?

— მე მინდა შეკოლის მასწავლებლად გავხდე,
შეუპრეცრად განიმეორა იანსენმა, — მე მინდა ჭოხტა
და პასტორს გვერდით ვუჯდე.

— ძარგი, ვეცდები გაგირივო, უთხრა სტურ-
სონმა. — მაგრამ იმ კლდეცდ რას ლაპარაკობდი?
სად იყო სისხლი?

— არსად არ იქო, არსად, უთხრა ბრეცით
იანსენმა, — ის არ დასაცალებელი ლლავი მომეჩვე-
ნა, ეშმაკებსაც კი უთრევეიათ! მომესიზმრა, ვითომ
იმ კლდიდამ ჩამოვარდა და ეხლაც რლვაში გდია.

— მავისთან სიზმრები უშიშია, ჰენრიკ იან-



სენო, მაგანედ კაცმა სიფრთხილით უნდა ილაპირაკოს, უთხრა სასტიკად მაჟულმა.— შეეღამ იცი, რომ შენ იმას ემტერებოდი; შეიძლება, შენ დავაბრალო.

ამ სიტყვების შემდევ სტურსონმა საჩქაროდ გასწია იველანდის სახლის კენ და რამდენიმე წუთს შემდევ ეხუმრებოდა მარიამს და მთელი საზოგადოება გაამხარულა. ზანთიადი იყო, როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.

V

სტურსონი მხოლოდ სამი დღი; შემდედ დაპრუნდა თავის სახლში და ხელ-ახლად შეუდგა სახლის გაწყობას. არას ზოგავდა. კედლებსაც კი ანგრევდა, თუ საჭიროება მოითხოვდა; დიდის თავ-გამოდებით ამზადებდა საკოლოს ოთახებს.

სტურსონის დანიშნა ყველამ აქეთ მხარეს სწრაფულად შეიტყო. საოცარ რამეებს ლაპარაკობ-დნენ იმის სახლის მდიდრულად მორთვაზედ, მაგრამ მსაჯულს სულაც არ ეშურებოდა მშეენიჭრად გა-მართული ოთახების ვისთვისმე ჩეენება და თავის ოთახის იქით არავინ მიჰყენდა.

ბოლოს სახლიც დაამზადა. სტურსონი ადრევე სტკებებოდა იმ აზრით, თუ მარიამს როგორ გაუკ-ვირდებოდა ამისთანა შდიდრული სახლი. მუმცა საჭ-მეები და დავიდარაბა არაკლდა, მაგრამ მან ცან-და-ხან

შეჯდებოდა ცხენზედ და დახედავდა იველანდს, რომელსაც დღე-და-დღე უფრო მოსწონდა თავის სასიძო და იმაში ახალ-ახალ ღირსებაებს ჰპოულობდა.

ვაჭრის სახლი საცხოვრის მკერაეებით. ზოგი ჰკერავდა, ზოგი ცქრიდა; ოთახში ვეება სკიფრები რკინით შეკედილები იდგა სულ სავსე ტილოებით, კაბებით და სწა-და-სწა მორთულობით — ერთის სიტყვით, მარიამის მშითევი მჩადდებოდა. სტურსონი სთხოვდა, რომ რაც სახლის მორთულობას შეეხება, ნურაფერზედ ნუ იფიქრებოთ, მარიამის მეტი თვალში არა მოგდის.

მსაჯულს შეეძლო, რამდენიც უნდოდა, ასე უშიშრად ლაპარაკი, რადგან იცოდა სასიმამროს თავ-მოუკარება, ის თავის ქალს სხვის სახლში ცარიელს არ გაისტუმრებდა.

მარიამის სამშითეოდ არა თუ იმის დედას, გებიასაც კი შეეწის საცვალი, სუფრა-სალფუთები, ტილოები და ყურთუკები შოემშადებინათ. იმითონ სტურსონსაც გაუკვირდა, ამოდენა დამშადებული მშითევი რომ ნახა და მაშინ ხომ უფრო გაიხარა, როცა იველანდმა გამოუცხადა — წელიწადში ორი ათას ტალერს მოკცემო. — დანარჩენს კი შევუნახავ ჩემს შეილი-შეილებსო, — დაუმატა ვაჭარმა ... მერე ჩემი სიკედილის შემდეგ მთელი ჩემი ქონება თქვენი იქნება, უფრო მეტი დატრჩებათ, ვინემ გგონიათ.

ამ ლაპარაკის შემდეგ აღტაცებული იმედებით სტურსონი დაბრუნდა შინ, მაგრამ დიდ-ხანს ვერ



გასძლო უიმათოდ და მაღე გასწია კუდევ თავის
დანიშნულთან. ცხენი ძლივს ადიოდა ქვით მოდებულ
აღმართზედ და წამ-და-უწუმ ბორბიკებდა, სტურსონს
გაეხარდა, როცა მაღლობს მიახწია და გამწვანებულს
ვაკეს შეუდგა. მს მინდორი მოფენილი იქო ხშირი
და რბილი ხავსით, როგორც მწვანე ხავერდით, აქ
უხვად იდგა ეოლოები და ქვეშ-და-ქვეშ შუა ამოე-
უოთ თავები სხვა-და-სხვა წითელ და ლურჯ ყვავი-
ლებს. მზის აქეთ-იქით ხრამი იყო და იქიდამ მო-
ისმოდა წყლის შუილი, მარჯვნივ მოსჩანდა ზღვა,
შიგ უთვალავის კუნძულებით, მარცხნივ თვალ-
გაუწველენელი ბარდო—ელფის ლელეები და პირ-და-
პირ კი გადაჭიმული იყო უდაბური, მიუვალი ლაპ-
ლანდიის მოები აწოწილი და მოშიშვლებულის თა-
ვებით, რომლებზედაც ყოველთვის თოვლი იდგა.

სტურსონი უცბად შედგა და აჩვენა მსახურს,
რომელიც თან ახლდა, გზასთან ახლო ხრამი, საი-
დამაც ამოდიოდა კომლი.

— მანდ ვინ იქნებიან?

— ლაპლანდიელები თუ გახლავან, ბატონო,
უპასუხა მსახურმა, — უთუოდ სავაჭროდ ჩამოვიდოდნენ,
ხომ მოგეხსენებათ, ზეგ ჩვენს მხარეს იქნება დიდი
ბაზრობა. წელიწადში ერთხელ იქნებოდა ამისთანა დი-
დი ბაზრობა და სტურსონი თავის უმთავრეს შემოსა-
ვალს აქედამ მოელოდა. მარიამი ამ დროს უნდა
ამას სწვევოდა და ამიტომაც სტურსონი აპირებდა
დიდი წვეულობის განართვას.

მსაჯული მიუახლოვდა ხრამს; მსახური უნებ-

ლივ და ბრეცით თან გაჰყეა. იმას ვერ გაეგო, თუ
ბატონს რად მოსურვებია უქმეველად ახლოდ დაი-
ნახოს ის ტურტლიანი მახინჯები, რომელნიც ამ
ბიჭს ა-ე სძაგდა. სტურსონს კარგა ესმოდა, თუ
იმის მსახური როგორ ბუტ-ბუტით სწყევლიდა და
ლანძლავდა ლაპლანდიელებს. მაგრავ ყურს არ
ათხოვებდა. მსენი შევიღნენ ხშირ ბუჩქარებში და
სტურსონს ძალიან გაუკვირდა, რომ ვიღებაც აქვე
ახლოს ახსენა ამის სახელი. მრთს წუთს შემდეგ
თვალ-წინ წარმოუდგაო გაშლილი მინდორი, საკა
იდგა სამი მაღალი კარავი და იქვე მოვროვილი იყო
ვეება ირმის ჯოგი, ცეცხლს გარშემო უდგნენ ექ-
სიოდ კაცი და ორიოდ დედა-კაცი თავიანთი ყმაწ-
ვილებით. მრთი ბებერი დედა-კაცი გაწეწილი ჭალა-
რა თმებით რაღაც საჭმელს ხარშავდა ცეცხლზედ,
ამიტომაც იქ საშინელი სუნი იღვა. იმათში, წიგ-
ნით ხელში, იჯდა მისსიონერი სტოკფლეტი და
გაცხარებული რაღასაც უქადაგებდა.

სტოკფლეტს ძალიან გაუკვირდა ამისი ანა
მოულოდნელი შეხვედრა და უამბო სტურსონს,
რომ მილავ ზოლმბოეს საძებნელად მოვიდა,
მაგრამ ძებნამ ამაռდ ჩაუარა და ეხლა სწორედ დარ-
წმუნდა, რომ იმას უეჭველად რამე აუტყდა.

— Տյ. հյիմո շնչելով մեջածրութ սածլռած արու
մոցրոցունու, ցանցը ման, — յև չորց օմու
ժմեծ ցյուղենու, պռլլեծ դա Շբուլլեծ տացուանդո
Շհռամուտ օմատ Շբուլլուն, ծյեցրու յու լցուա, շոյրու-



სია და ოჯახის მშეიღობიანობის დამცუელი. მსენი უველანი კაი გულისა და მშეიღნი არიან, დაუმატა მღვდელმა, ნახა თუ არა, რომ სტურსონი ავგუსტად უყურებს ვარშემოხვეულს ხალხს.

— მსენი სულ ნამდვილს ქრისტიანები და სანდო მეგობრები არიან და, რაც უფრო იშვიათია, შრომა უყვართ, ბევრს არას გამოეკიდებიან და თავიანთს სიტყვაზედ მტკიცეთა დგანან.

სტურსონი ყურადღებით ისმენდა უველაფერს და თუმცა ეზიზლებოდა იმათი გაპტყელებული სახეების და ჩასისხლული თვალების ნახვა, მაგრამ ხელავდა, რომ იმათ თავისუფალს ცხოვრებას თავის ებური ლაპათი აქვს. მსაჯული კარგა ატყობდა, თუ რა ნაირად მორიდებით და გონიერ პასუხებს იძლეოდნენ; მერე ისეთის ყურადღებით დააცემერდნენ ამას, რომ ერთ წუთს სტურსონი შეშინდა, რადგან მლავის ძმები გარშემო ეხვინენ და იმათ ხელში იყო.

პატარა ხანს უკან თითონვე იცინოდა თავის თავზედ და იმათ დიდის ყურადღებით დაუწყო გამოკითხვა, თუ როგორ სცხოვრობენ, რას აკეთებენ და ან რა უნდა ივაჭრონ მომავალ ბაზრობას; მერე შიუახლოვდა ბებერს, (ანუ მეჯადოეს, როგორც გულში უძახდა) რომელიც ქვაბთან იდგა და საჭმელს ხარშავდა. მს ჩამომხმარი დედა-კაცი უველაშეიღებზედ ჯან-მრთელი და ტანოვანი იყო. თუმცა პირის სახე დალმეჭილი და ნაყვავილევი ჰქონდა, მაგრამ მაინც ისეთი საზიზღარი მახინჯიარ იყო, როგორც



სხვა ბებრები არიან ამავე უბედური ხალხისა. მშაპ თეთრ თმას უხდებოდა ჭკვიანი და ცხოველი თვალები. მშან ალერსიანად მიიღო სტუმარი და ორიოდ სიტყვა უთხრა თავიანთებურად, სტოკფლეტმა გადაუთარებნა სტურსონს შემდეგი:

— მშეიღობა იყოს შენი ნახვა, უცხო ქვეწელო, ზენრი იურბის შეიღობი მოხარული არიან შენი ნახვისა... ღმერთმა დაგლოცოს, თუ საკეთი-ლოთ მოხულხარ ჩვენთან და თუ ავი განძრახვა გაქვს — ღმერთმა შეგინდოს. დაჯექ ჩვენთან, უარს ნუ გვეტყვი ჩვენ პურ-მარილზე. მრთი ჩვენგანი გვაკლია, რომელიც ძალიან გვიყვარს, დაჯექ იმის ალა-გას, გვეგონება, რომ ის დაბრუნდა და იმის მაგივ-რათ შენ დაგლოცავთ.

— საწყალ მოხუცს სულ თავისი მილავი ელან-დება, სთქვა ნაღვლიანად სტოკფლეტმა; — იმის ცდა ყოველთვის ის იყო, რომ შეიღო თავისთან შეენახა და ვერ გაეგო, თუ როგორ შეიძლება იმ თავი-სუფალი ცხოვრების დატოვება, რომელსაც თითო-ნაც და იმის ხალხიც ყველა საუნჯეს ამჯობინებს.

— ტყუილად არ დაუჯერა თავის დედას, გა-ჯავრებით სთქვა მსაჯულმა და ფიცხლავ დაჯდა საკუთრივ იმისთვის გაშლილ ხალიჩაზე. — ჩემი აზრით, ის ამ ცხოვრებისთვის უფრო გამოსაღევი იყო.

ამის პასუხათ მისიონერმა ერთი ისე გადიხედა სტურსონს, რომ იმან ვერ შეუძლო ამ ცქერას და



Յորո Ցոօթնական, և գարշպա Տոնքա որչլով. Մցըլ-
յան Ցուցրուցի և Եմուլտոնանուն Սուցքավա, Ցեռ-
լուս Եհամուն Բրդունի Մցուլուտ ցայիշահեծուս
Քյարու, ամ Քյուլուն Ցորաս Օվրելցեծունու որմուն Հոցո
Լեռցւա Տալուես, Այլելուն Կոմլու լուրջատ ալու-
ւա Կամու, ամաս Ծայմարուտ Կարցեծուն Քին Ցինցունի
Կարտ-Ցուցանց ալամունցի. Ու Կցըլացյուրու Տալուան
Տասումունու ուղա լինցը ու Եցալուսուն.

ამ ღროს მოხუცმა დედა-კაცმა მიართვა მსა-
ჯულს ხის ჯამი სავსე საჭმლით. სტურსონმა ჯერ
ეჭვით გადახედა მოწითანო ნოკიერ საჭმელს, მაგ-
რამ დაინახა თუ არა, რომ იმის მსახური, რომე-
ლიც ისე ზიზღით ლაპარაკობდა ლაპლანდიელებზე,
ძალიან გემზიელად შეექცევა, თითონაც მარდათ
მოჰყიდა ხელი თითბრის კოვზს და გაბედა გემოს
ნახვა.

საჭმელი ძალიან გემრიელი გამოდვა; მასპინ-
ძლებს გაეხარდათ, რომ სტურსონმა მოუწონა და
კიდევაც ხელმეორედ დასხმევინა, მერე ზედ. ირმის
რჩე დალია და მოხუცს მაღლობა უთხრა; ბოლოს
მიუბრუნდა მლავის უფროს ძმა, რომელიც ოჯა-
ხის პატრიონათ ითვლებოდა შემდეგი სიტყვებით:

— მე მსურს სიკეთე რამე გიყო; შენ, მეონია,
გონიერი და გამჭრიახი კაცი ხარ, გადმოსახლდი
ჩვენ მხარეს. მე მოგცემ სახნავ-სათეს მიწებს, სახლ-
კარს და ყველაფრით ხელს გავიმართამ.

ლაპლანდიელმა თავისი პატარა ცხოველი თვალები შეაჩერა იმას გაშტრებით და გადაწყვეტით უარი უთხრა:

— მაშ არ გინდა? ჰკითხა სტურსონმა,— გითომ რატომ? მე რომ ჩემ მსახურს შევაძლიო, სიხარულით ფეხზედ აღარ დადგება.

— მაშ კიდევაც იმას მიეცი, დაბლის ხმით უპასუხა ლაპლანდიელმა.

— ური დამივდე, მოუთმენლად დაიწყო მსაჯულმა,— კიდევაც ვამბობ, რომ მე მინდა სიკეთე გიყო შენც და შენ სახლობასაც. დედა შენმა დამლოცა, დავალებული ვარ და მინდა გადავიხადო. რა ნაირად გამეხარდება, თუ იმას სიბერის დროს ლუკმა პურს და ბიჩას გაუჩენ. ძიღევაც გავიმეორებ, მე შენი სიკეთე მსურს, ფიცხლავ დაუმატა სტურსონმა,— ამიტომაც ვირჩევ დათანხმდი.

— ჩემთვის საჭირო არ არი შენი სახლი-კარი, უთხრა ლაპლანდიელმა ისე ამაყად, რომ სტურსონი გაკირვებული დარჩა,— ჩვენთვის თავისუფლება ძვირფასია და მე ისე მინდა ვიცხოვრო და ისეც მოკედე, როგორც უცელა ჩვენი წინაპარნი. საწყალი ჩვენი ძმა **ოლავი!** იმას რა ხეირი დაემართა, ეხლა რა თავისუფლად იცხოვებდა თავის თავი რომ არ დაემონებინა. ბატონო, მადლობელი ვარ, დიდად გმადლობთ. ზენრი იურბას შეილებისთვის საჭირო არ არი მოწყალება.

სტურსონს ძალიან ეწყინა ლაპლანდიელისაგან



ასე ამაყად უარის თქმა, სტოკულეტმ, შეამჩინა თუ
არა, საჩქაროდ დაიწყო ლაპარაკი:

— ნუ გწყინთ, ბატონი, ყველა ლპლანდიელი უარს გეტყვით, თუ კი გააჩნია იმას, ლუქმა პური; მარტო ძალიან გაჭირებული დაანებებს თავს თავისუფლად სიარულს და ბინას მოიკიდებს საღმე. გერნი ითხების სახლობა მდიდარია, აი, ხედავთ, აქ შეიძახი რქიანი საქონელი მოულალავთ ბაზარში გასასყიდათ. ის ჯოგი, რომელიც ბარდო-ელვის ლელებზედ დაუდით, მაგაზედ ნაკლები არ იქნება.

— რა უკოთ, უპასუხა მსაჯულმა და ზიზღით
გაიღიმა, — მე ხომ ძალას არ ვატან, რომ ისე იც-
ხოვრონ, როგორც მე მინდა. მხოლოდ მოხარული
ვარ, რომ მე თვითონ ნამდვილად შევიტყვე და
დავრწმუნდი, რასაც ამბობდნენ მაგათ თავ-მოწონე-
ბაზედ და სულელურს სიამპარტაციონაზე. მე მინდოოდა
მაგ თჯახის წინ ბრალი ამე-არა იმ უჩებურ, დანა-
შაულობაზე. მხლა ჩემს სცინიდის აღარ მოეკითხება-რა.

რა განაშეულობა ზე? ჰკითხა მისიონერმა.

— მე რომ იველანდის სახლში ფეხი არ შე-
მეტგა, სოქვა სტურსონმა და თვალები დაშტერა
სტოკფლეტს, — ახალ-გაზდა კაცი, რომელსაც ეხლა
დასტირით, ცოცხალი იქმნებოდა.

—რასა, ბძინებო, ბატონი? სტურსონი? ზაკვირ-
ვებით წამოიძახა სტურლეტმა.

— ნელა, პატივცემულო მღვდელო, განაგრძო-
ს ტურსონმა, — თქვენ ხომ მოგეხვენებათ, რომ
მარიაში ჩემი საკოლეგა, მაშ გამოცხადებით ვიღა-
ვ: ჩაკოთ, თქვენ კარგათ შეტყობილი ჰქონდათ,
რომ მცლავი სიყვარულმა აიტაცა და გონება სრუ-

ლიდ დაკარგა, ისიც მოგეხსენებათ, რომ მარიამის გულ-ჩეილობაშ იქამდის მიახწია, რომ ლამ-ლამოჭით გამოდიოდა იმის სანახვათ, ხომ ხედავთ, მე უფე-ლაფერი მცუდნია, თქვენ ისიც გინდოდათ, რომ ღლავი გაგეგზავნათ ძისიონერად, მითომ და შრო-მით და თავ-გაწირულობით დაევიწყა თავისი ხისუ-ლელე. მაგრამ იმან იჩია თავის თავის მოკვლა.

— მერე თქვენ რა იცით? ჰკითხა პასტორმა.

— ეგ რა უცნაური კითხვაა. მაგაზედ ცხადი რალაა. ღვითონ მარიამიც, მგონია, დარწმუნებულია; ნალვლობს, ვერა ლონის-ძიებით ვერ გამიმხიირულე-ბია. თქვენ დავიჯერებთ, პატივცემულო სტოკფლე-ტო, მოელაპარაკეთ, უთხარით, რომ ჩვენი ორივე ბეჭნიერება დამყარებულია იმაზე, რომ შემი ვაროს და დაივიწყოს ის საბრალო, რომელიც ვერ ვამი-გია, თუ როგორ შეიყვარა. ბოლოს მაგ სიკარულის თვითონვე სიჩუქვილით მოიგონებს. რიგიანათ აუხ-სენით, რომ იმაზეა დამოკიდებული იჩილი და ჩემი პატიოსანი სახელის დაცვა და თვით თქვენი მოსვენებული ცხოვრება.

— როვორ თუ ჩემი მოსვენებით იოფნა, ბა-ტონო სტურსონო? ბაკვირვებით ჰკითხა სტოკფ-ლეტმა.

— სწორედ აგრეა, უპასუხა მსაჯულმა, — რო-ცა შეიტყობენ რომ იცოდით მარიამის და ღლავის ერთობა და იმის მამას დაუმალეთ, დამიჯერეთ, მა-შინ შვრეთი პატივი და ნდობა ალარ გექნებათ.



ქიდევაც გეუბნებათ, მომინდვია თქვენთვის მოარ-
ჯულოთ მარიამი, თავი დაანებოს იმ სულელურს
ფიქრებს და გარწმუნებთ მაგითი საუკეროდ დამავა-
ლებთ.

სთქვა თუ არა ეს სიტყვები, პასუხს არც კი
მოუკადა, თავი დაუკრა თავის მოსაუბრეს, სჩეკა-
როდ შეჯდა ცხენზედ და იკელანდის სახლისკენ
გასწია.

მარიამი ჩვეულებრივ გაფითრებული და მორ-
ცხვად დაუხვდა. მის აღეჯვებულს გულს ვერ ამშვი-
დებდა ვერც სტურსონის საჩუქრები და ვერც იმისი
ალექსი.

VI.

მეორე დილას ყველანი აპირებდნენ გამგზავ-
რებას იქთ, საცა ბაზრობა უნდა ყოფილიყო,
სტურსონმა თავის საცოლეს დიდი ცვლილება შეამ-
ჩნია და ჩუმჩუმად უხაროდა.

ჯერ წინა ლამესვე ნახა, რომ მოახლეობ მარიაში
რაღაც ბარათი გადასცა, ქალი წაკითხვის უმაღვე
აღელვდა და მაშინვე გასწია იმ ვაკესკენ, საცა
ოლავის სახლი იღვა. სტურსონი მიუხედა იქით
წასელის მიზეზს და იმედოვნებდა, რომ ამას იქით
საქმე უფრო კარგათ წავა.

Ոցելանձո մտցելո գլու և սյուլ դապա-զապի օպու,
ծածկանքո սացափրութ ճացըծ ամէալցըծլա, և սյուլ

სხვადა-სხვა საქონლით აკეტდა: ცულიდამ და ქვაბე-
ზიდამ დაწყობილი—მახათები და პაწაწა ლურმძნები
რა არის-იმასაც ბლომად გზავნიდა. ამ ბაზრობილგან
დიდ სარგებლობას მოელოდა, სტურსონიც იმის
ცეკვით სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა, რადგან
ხედავდა რომ ეს ბებერი იმისათვის სწევდა ჭირნა-
ხულს და თვითონ თუნდ ხელიც არგააძრას ფუ-
ლის მოსაგებათ, ბოლოს შაინც ყველაფერი იმას
ერგებოდა.

ამ სასიამოენო ფიქრებით გართული სტურ-
სონი ფეხ-და-ფეხ გაჰყვა მარიამს მლავის სახლის-
კენ; ამ დროს უცბათ წააწყდა თავს ჰენრიკ იანსენს,
ვროვა ქვების უკან ბალახზე გაწოლილს, რომელიც
ეიღაცასაც უთვალთვალებდა; გაიგო თუ არა იმან
ფეხის ხმა მაშინვე წამოხტა, მაგრამ როდესაც დაი-
ნახა სტურსონი, დამშვიდდა და მეგობრულად თავი
დაუკრა.

— ახალი ამბავი რა იცი, ჰენრიკ იანსენი?
ჰკითხა მსაჯულმა — შეი როგორლაც სხვა ნაირად
რცინი, უეჭველია, შესანიშნავს საიდუმლოს რასმე
შეიტყობდი.

ბოელანდიელმა ბრაზიანიად გადახედა და შეს-
ძხა:

— დიახ, მსაჯულო, კაი დროს მოხველ, იცი
იმ მღაბლობში ვინა ჩი?



— მლავი ხომ არ არი? ჰკითხა სტურსონმა, განა დაბრუნდა?

იანსენი ჯერ მოჰყვა ხარხარს, მერე შეჰკითა-და შიშით გადახედა თავის მესაუბრეს.

შენ კი არ ვეთქმის ევა, ბატონო, უთხრა იმან, განა არ მოგეხსენება, რომ ის საძაგელი ვეღარ დაბრუნდება. მკვდრის სახელის ხსენება, ამბობენ, საშიშოაო, მეტადრე იმისგან, ვისაც უკანასკნელად იმასთან ულაპარაკება.

— მაშ შენ უნდა გეშინოდეს, ტუტუცო, არ მოგელანდოს, უთხრა სიცილით სტურსონმა.

ბოელანდიელმა გაჯავრებით შეხედა იმას, მაგ-რამ მსაჯული ისე გულ-გრილად და ზიტლით უყუ-რებდა, რომ იანსენმა პირი მიაბრუნა და ჯავრით პირის სახე უფრო დაეგრიხა, ამაზედ სტურსონმა და-იწყო სიცილი.

— ვოხტს? მოელაპარაკეთ ჩუმჩე? ჰკითხა ბო-ლოს იანსენმა.

— დიახ, ჩემო კარგო, მაგრამ სანუგეშოს ვე-რას გეტყენი. ვოლტი, ამბობს, რომ შენ ლოთი, უცოდინარი და ტუტუცი ხარ და ვერ შეიძლებ იმ სეინიდისიანი და მლავის სამავიერობას.

— მაშ ის მაგას ამბობს? შეჰყვირა ფიცათ იანსენმა,—მე უეჭველად მინდა ეკ ალავი და შენ უნდა მიშოვო. ზეგ ბაზარში მოვალ და უკელასთან მოკაგონებ შენ დაპირებას.

— მობრძანდი, სიცილით უთხრა სტურსონმა,—

ლირსეულათაც დაგიხვდები. მერე სულ 1 ხეა ხმით განაგრძო:— ყური დამიგდე: ჰენრიკ ბანენო, ნუ დაივიწყებ იმას, რაც აღრეც გითხარ, მე ვარ მაზრის მსაჯული და შენ კი ვიღაც საბრალო კაცი, აველა-სათვის საზიზღარი. თუ გაბედავ და ტუტუპურ რამეს მომიგონებ, იცოდე, რომ არც დაგიჯერებენ და არც მე შევარჩენ. მხლა კი დამეკარგე, თვალით აღარ მეჩვენო.

ამ სიტყვების შემდეგ სტურსონმა, იქთი პან-ლური ამოჰერა ბოელანდიელს, რომ ის, რამდენიმე ნაბიჯზედ გადავარდა, მერე წამოდგა თუ არა ფეხზედ სირბილით გაექანა თავის სახლისკენ.

— მეღა მაკლდა! სოქვა სტურსონმა,— ეს მატ-ლიც რომ მე მემუქრება, შენ კი მოგერევი, ძმაო!

სტურსონი საჩქაროდ მიეუბა ქვებს, რადგან ამ დროს მლავის სახლის კრი გაიღო და იქიდამ მარიამი და სტოკფლეტი გამოვიდნენ, იმათ გაიარეს მლავის ბალი, რომელიც ბალახით ამსებულიყო, რადგან მომვლელი აღარა ჰყენდა და წყაროსთან შედგნენ; მისი სიონერი გადაეხვია მარიამს, დალოცა და ორიოდ სიტყვა უთხრა. მალი დიდის ყურადღებით უსმენდა. ბოლოს ერთმანერთს გამოეთხოვნენ. მარიამი საჩქაროდ შინისკენ წავიდა; სტურსონმა შეატყო, რომ ჭალი თითქო დამშევიდდა, ამიტომაც გულითადი მადლობა შეუთვალა სტოკფლეტს. მოელი სალამო მარიამი, თუმცა ცოტას ლაპარაკობდა, ძალიან



დამშეიღებული იყო, საქართველოს აღმერსიანად და მოწინებით აძლევდა პასუხებს.

დილით შეუდგნენ გზას; სტურისონმა საცოლე
შესვა თავის ნაჩექარ მშვენიერს და ცქვიტს ცხენჭყდ
და გასწიეს. მსაჯული თითქოს მარტო ეხლა ხედავ-
და თავის საცოლოს სილამაზეს, სიხარულით შეს-
ცქეროდა იმის ღიმილს, იმის მარჯვედ ცხენის ტა-
რებას. იველანდი თავის ბებერ ცხენზე იჯდა, ამ
ახალ-გაზდებას ძლივ-ძლიობით მისდევდა; და შეპხა-
როდა იმათ.

မარიამი မოჰკუდა კენებას, სტურსონი მოეწია
მხოლოდ მთის წვერზედ, საიდამაც წინა დღეს თი-
თონ დასცეროდა ზღვას, მთებს და ლელეებს ამან
შეამჩნია, რომ მარიამი დიდის ყურადღებით იცირე-
ბა სწორედ იმ პატარა ტყისკენ, საცა წინა დღით
გერნი იუბის შეიღების კარვები იდგა და მიხვდა,
რომ სტოკფლეტს უველავერი უამბნია. მხლა აქ
სიჩუმე სუფევდა, ძაღლის ყეფაც კა არ მოისმოდა,
კომლი არ საიდამ არა სჩნდა, სტურსონსაც ხომ ეს
უნდოდა.

შალმა გააჭენა, სტურსონიც გაჰყეა აღტაცებული იმისი ალექსით და ლიმილით, როდესაც მიუახლოვდნენ ნაკადულს, რომელიც კლდიჯამ გადმოსჩახახებდა, ბრჭყვინავდა შზეზედ და ხრამში მიეშურე-

ბოლა, სტურსტამა თველი მოჰკრა რაღასაც ბუჩქებ-
ში, მაგრამ ის ისე მაღვე გაპქრა, რომ ამან ეერ მო-
აქტრო გაერჩია პირუტყვი თუ ადამიანი იყო, მარიამ-
მაც ნახა ვიღაციც ჩრდილი და ვერც იმან გაარჩია
რამე.

— დათვი რომ ყოფილი იო, სთქვა სტურსონმა
უეჭველია, ორ ფეხზედ დაზგებოლა და არც გაიგ-
ციონდა. მგ უთუოდ ლაპლანდიელი იქმნებოდა.
ბაზრობის გამო აქეთ მარებ; ბევრნი მოგროვილან.

— თუ ეგ ლაპლანდიელი იქო, შესძახა ივე-
ლანდმა, რომელიც ამათ მოუახლოვდა,—დაგენაძ-
ლებით, რომ ცუდი განზრახვა ექნება, იმიტომ და-
იმალა; მე მაგათ კარგათ ვიცნობ.

სტურსონმა გაიცინა და სთქვა:

— თქვენ ძალიან სასტიკად სჯით მაგ ს.წყალ
ხალხს. მე ეხლა დაყრწმუნდდი, მაგათ ბევრი კარგი
ღირებები აქვთ. ამ დღეებში შემთხვევით ვეწვიე
ერთს მთადაბარს მოსიარულე სახლობას. შველამ
ალექსით და ტემილად მიმიღო და თავიანთ მდგო-
მარეობაზედ ძალიან გონიერულად მელაპარაკებოდ-
ნენ. რასაკირველია, სტოკფლეტს ყველაფერში არ
ვეთანხმები, მაგრამ ჩვენ ქრისტიანებს უნდა გვახ-
სოვდეს, რომ ესენიც ადამიანები არიან, მოწყალის
თვალით უყუროთ და არ დავივიწყოთ. რომ ჩვეუ-
ლებრივ ტანტალს დიდი გავლენა აქვს მაგათ ხა-
სიათედ.

Ուզելանցո յթին առմղջեցա, թագրած երսխևոնք ու ոչեահուա, հոգ մահուամիս մալուան յևօամոցնա ամուս սուրպացեցու դա տաշուս սայմուս լոմոլուտ դա մազլունութ եցլո համուարուցա. Երսխևոնք մոշումյենլուա մոյելունու տայ սայուլց յեց հա Շտածցվուլցեաս մուսկունքն ու ուստի գամահուարու սաելու դա մալուան ցանեարա, հուցա վալու պամբցը լուրո ալուսցենու դա ցայցունքն ու ուստի Տոնջաւա պայլացցին.

მარიამი ან იყო დაჩვეული ამისთანა სიმღიდ-
ნეს, ძალიან იამა, რომ სტურსონმა მორთა ასე
მდიდრულად სახლი საკუთრივ იმისთვის და გრძნობდა
დიდი მაღლობას; ამიტომაც, როცა სტურსონმა სიტყვა
ჩამოაგდო ქარწილედ, მარიამა უარი აღარ უთხრა
და დათანახმდა მამის გადაწყვეტილობაზედ რომ ბაზ-
რობის შემდეგ, წმიდა მახელობას, გადაწყვნას ამათ
ჯვარს. იკელანდი აღტაცებით სინჯავდა სახლის
ყველა კუნჭულებს და ოუმცა აკვედრიდა სიძეს ამო-
დენა ფულის დახარჯვას, მაგრამ გულში კი იამებო-
და და უხაროდა, რომ ქალი ამისთანა ბედში ჩა-
აჯდო.

როდესაც დანიშნულები მარტო დაჩიჩინ, სტურ-
სონმა ხელი მოჰკიდა მარიამს, ვაალო კარი და გაი-
ყვანა პირ-და-პირ ბალში, საიდამაც მოჩანდა. სო-
ცარი და ოვალ-გაუწვდენელი ზღვა, მთები და ზღვის
ნაპირები საცე ხალხით, რომელთაც ქრიამული გაჰ-
ქონდათ.

— ჯერ ჩემთვის არ გითქვამის, ჩემო ძვროფა-
სო მარიამ, უთხრა სტურსონმა,— კმაყოფილი ხარ
და გიხარიან თუ არა, რომ მალე დაგვლოცვენ და
შეგვართებენ საუკუნოდ. ვიმედოვნო თუ არა,
რომ ცოტათი მანც გიყვარებარ, როდესაც ჩემი გუ-
ლი მთლიად აღგზნებულია შენი სიყვარულით.

— მე კმაყოფილი და დამშვიდებული ვარ, უპასუხა
მარიამამ თრთოლით,— ლვის შემწეობით ვეცდები
გავაძედნიერო.

— შენი წადილი საქებია, მარიამ, უთხრა ლი-
მილით სტურსონმა,— მაგრამ, ჩემო სულო, მე მეტს
მოგთხოვ, მინდა რომ შემიყვარო, თანამიგრძნო,
ერთს იღებით სრულიად ჩემი იყო.

მალმა თავისი ლურჯი თვალები დალონებით
და გაუბედავათ, მაგრამ ნდობათ შეაცქირა იმას.

— იმედი მაქს, ამას იქით, რაოგორიც გსურს
იყო ისეთი ვაქნები, მაგრამ შენცა გთხოვ, მოწყო-
ლეთ მაყურო, მე ახალ-ვაზდა ვარ, გამოუცდელი,
ცხოვრებისა არა ვამეგება-რა, მეშინიან ზოგჯერ
ტუტუპობა და უმეცრობა არ ვამოვიჩინო. მომე-
ტეცი კარგად. შენ ვინდა, რომ შეგიყვარო, მაშ
და არწმუნდო, ვეცდები და იმედიცა მაქს შეგიყვარებ,
როცა დაახლოვებით გაგიცნობ და მაშინ შენ პა-
ტივის ცემასაც ვისწავლი.

— რა ყმაწვილი ხარ! ზესლიანი ღიმილით წა-
მოიძახა სტურსონმა,— ვანა ნამდევლი სიყვარული
პატივის ცემიდგან არ წარმოსდგება? მაგრამ განაგ-



რძეო, მარიამ, სოქფი რაც გინდა, რასაც შოელი,
რომ შევიძლო შენი გულის დამონება.

— მე მხოლოდ მინდა შენი დახმარებით და
შემწეობით სიკეთე ვუყო სხვებს,— წამოიძახა შეკრ-
თომით ქალმა.— შენ სამსახურის გამო შევიძლიან
უპატრონო უკელა დაჩარგულს და ლარიბს ხალხს,
ზოლშბოემ ბევრი სიკეთე დათესა, მაგრამ ყველა
თავისა სურვილის ასრულება ვერ მოუხდა, რადგან
ლარიბი იყო, შენ კი, ჩემი ძვირფასო ლარსო,
მდიდარი იქნები, მამა ჩემის სიმდიდრე შენ გექნება
და შეიძლებ ბევრნი გააბეჭნერო.

— შენ მგონი, იმას აშბობ, მიუგო სტურსონ-
მა,— რომ იმედი გაქვს მეც ჩემი წინა მოადგილეს
გზას დავადგე და ჩემი დრო სულ მოვახმარო ლაპ-
ლანდიელების გონების გახსნას, იმათ ცხოვრების
გაუმჯობესობას, ერთის სიტყვით ჩემი სიცოცხლე
იმათ შეეწირო?

— მე არი ჩემი ნატერა, უპასუხა მარიამაშ.

სტურსონმა ხმა მაღლივ დაიწო ხარხარი და
შესძახა:

— ამ მარჯვენას მოეიჭრი, თუ ეგ იმ წმინდა
მამაო სტოკფლეტმა არ წაგიჩურჩულა. ქარგად ვიცი
იმის კილო, მივხვდი, რომ იმის სიტყვებს იმეორებ;
დამიჯერე, საყვარელო მარიამ, იმას არა გაეგება-რა
ცხოვრებისა, ის არის ოცნებას მიიყოლი კაცი. ნუ
გამიჯავრდები, პირს ნუ მიიბრუნებ, განაგრძო
იმან,— ვარწმუნებ არას დროს არ დაგიშლი შენი



კი გულის განზრახვის მიყოლას, პირიქით ხელსაც
მოგიმართავ ყველა კეთილ საქმეებში, მაგრამ იმის
პირობას კი ვერ მოგცემ, რომ ჩემი სიცოცხლე მო-
ლად შევწირო ჭუჭყიან ლაპლანდიელებს და კვენებს.
სჯობს ეხლავე დარწმუნდე, თავის შეწირვა კაც
არატერში არ ჩაუვა. აბა, ამ თუ წელიწადს სტოკ-
ფლეტმა აქაურ უდაბნოში რა გააკეთა? თუნდ ზოლმ-
ბოემ? ვინ იცის იმათ სხვა ასპარეზზედ ასჯერ მე-
ტიც სარგებლობა მოეტანათ! ბევრი მავისთანა კა-
ცების შრომაშ ფუჭეთ ჩააძრა; როცა გამოიცდები,
შენ თვითონვე დამეთანხმები. მხლა კი მომენდე,
ჩემო სულო, დამიჯერე. აი, თუნდა შენ, სხვა სა-
ზოგადოებაში უფრო ბედნიერი იქნები, რაჯგან
სულ სხვა ცხოვრებისთვის ხარ დაბადებული, რა
შენ მოგიწონებენ და შენც იმათ მოიწონებ.

სტურსონის სიცილმა და ხუმრობაებმა მარიამი
სულაც არ გაამხიარულა, იმას ძალიან ეწყინა ამ-
ნაირი ლაპარაკი და გრძნობდა, რომ საქრიმინი აღრ
მიუხვდა იმის აზრს და ვერც თავის დღეში მოუკუ-
დება. ამიტომაც თავი დაანება ამაზედ ლაპარაკს,
სტურსონსაც გაეხარდა და მოუყვა სხვა რამეებს.
მერე გასართობად საცოლე წაიყვანა მამის მიხა-
ვებებლად. რომელიც ბაზრიდამ ბრუნდებოდა. ივე-
ლანდს მოპყვნენ ბევრნი ვაჭრები თავიანთ ცოლე-
ბით და ქალებით. თუმცა ეს ქალები მარიამის მე-
გობრებათ ითვლებოდნენ, მაგრამ ნახეს თუ არა
სტურსონის მშეენიერად გამართული სახლი, ძალიან



შეშურდათ და მოუყვენენ მარიამს თქმას, რომ ის დიდად ბედნიერია და ღმერთს უნდა მადლობა ჰესწიროს, რადგან ამისთანა საქრმო იშვიათია. მარიამი უურს უგდებდა და თან გული ეთუთქებოდა.

საღამოზედ მოგროვდნენ სტურსონთან სხვა და სხვა მხრიდამ ბევრი სტუმრები, უველანი კმაყოფილი დარჩენენ და დიდხანს ახსოვდათ მაჩრის მსაჯულის დახვედრა და მასპინძლობა.

მართლაც სტურსონმა უველა ლონის ძება იხმარა სტუმრების გასართობად, ბებრებს ემასლაათებოდა, ახალ-გაზდებს თამაშობაში ჰყენებოდა, მაგრამ როდესაც სტუმრები თავ-თავიანთ ბინაზედ წავიდნენ და რა მარტო დარჩა, თავისუფლათ ამოისუნთქვა და ძალიან გაიხარა.

ამ სტუმრების უშნო და ტლანქი ჩეჭმების ლურსმანებმა სულ გაუფუჭა სასტუმრო ოთახი, ამათი ურიგო ხუმრობები და ხმა გაღლივ ხარხარი ჯერ კიდევ მოექმოდა. როდესაც ოთახში მარტო დარჩა ზიზდით იგონებდა იმათ და სიხარულით ფიქრობდა, რომ ამათაც და ამათ ქვეყანასაც მაღლე გამოჯალმება.

«აქ ხომ ფულის საშორებად მოვიდა და კიდეც ხომ ვიშოვე, თუმცა არ მოველოდი ასე მაღლე. მაშრალას დაერჩები აქ «ხვალვე» ასე ფიქრობდა სტურსონი, «მივწერ ქალაქ პრისტიანში და სტოგლულმში და ვეცდები იქ კაი გამოჩენილი ალაგი მიშოვონ. მომიგა თუ არა პასუხი ფიცხლავ შეუდგები ვზის,

თუნდ მხოლოდ იმიტომ, რომ აღარა ენახო ლაპ-ლანდიელები, ბოელანდიელები და იმათი მისიონერი, ესენი ისე მეზიზლებიან, რომ სათქმელათაც საზარელია. საკვირველია, აქამდის ვერ დავივიწყე იმ საძაგლის გაფიორდებული პირის სახე და მჩეცური შეხედულობა, როცა კლდიდან ფისროდი.»

სტურსონი აღელვებული ოთახში წინ და უკან დადიოდა, ბოლოს შედგა და წაიბუტბუტა:—დამაცა, მარიამ, დამაცა, ჩემო კარგო! ჰასუხს გამცემ ამინდენა შეწუხებისათვის და აყალ-მაყალისათვის. ტუტუ-ცობილამ ხელს აგალებინებ და ჩემს მორჩილ მონაც გაგიხდი.

ამ დროს უცბად შევოესმა ამას ისეთი ხმა, რომელმაც თავს-ზარი დასცა. იმ დაყწევლილი ლაშის შემდეგ ხშირად მოესმოდა ეს ხმა. მნიშვნელონდა ის მოვარიანი ლაშე, ის კლდე, საცა უცბად გაეღვიძა და იმ იღუმალი დაპკრელის ალტაცებული სახე. შიშით აქეთ-იქით იცირა, ყური დაუგდო, მაგრამ ირგვლივ სამარის სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ალექსიანი და საბრალო ხმა მოისმოდა და ამ მკვლელს მოსვენებას არ აძლევდა. იმან არ იცოდა, ვერ გაეგო, თუ რა ემართებოდა—სიზმარში იყო, თუ ცხადია. ბოლოს თავს ძალა დაატანა, მიუიდა ფანჯარასთან და-გააღო. ზარშემო ბნელოდა და სიჩუმე იყო, მარტო ქარის ბზუილი და ტალღების შხაპუნი მოისმოდა. დამას გრილმა ჰაერმა სტურსონი გონებაზედ მოიყვანა, ის ულონდოდ დაეშვა ლოგინზედ.



ଲା ପ୍ରଦିଲ୍ଲବଦ୍ଧା ତାଙ୍କିସ ତାଙ୍କି ଡାକ୍‌ଖର୍ବନ୍ଦ, କିମ୍ବା
ଫାଲୁଲୁହିଶାଗାନ ମାରିଲୁହେବି ଡାକ୍‌ଖର୍ବନ୍ଦି କ୍ଷେତ୍ର-
ଲା, ଅମିତିନମାତ୍ର ମୋହଳାନ୍ତା ଓ ଏ ଡାକ୍‌ଖର୍ବନ୍ଦିଲୀଙ୍କ
ବିଭା.

VIII

მეორე დილას, მასის ამოსვლის უმაღვე, მრავალი ხალხი მოგროვდა ბაზარში. იყელანდიც დილა აღრიანად წამოდგა და სანამ დედა-მიწას და ზღვას, მზის სხიუები მოაშორებდა დილის ნისლს და ბურუსა, ამან დალია კიდევ ყავა და საუზშეს მიირთმევდა.

— დღეს ბევრი აყალ-მაყალი მომელის, სოქვა
მცელანდმა, — მაგრამ იმედი მაჭვს საქმეს კარგად წა-
ვიყვან. ჩემი ანგარიშით, დღეს ირმის ფასი დაიწევს
და იაფად ვიყიდი ზამთრის ხორავს, რაც შეეხება
მსაჯულს, ის ამ ორ დღეში კარგად გაიტენის ჯიბეებს.
ჩვენში კი დარჩეს, მარიამ, არ გამცე, უთხრა მერე
ჩურჩულით ქალს, — შენი საქრმო დღევანდელი ნა-
ნაშოვარი ფულით აპირებს საქორწილო ნიშანის
ყიდვას. შენ თითონ ამოირჩიე მარგალიტი გინდა,

თუ სხვა სამკაული. ვშიშობ, ქალო, შენი გულის-
თვის არ დაიგცეს და არ დანელდეს ეგ კაცი, მაგ-
რამ მაგას რას ვამბობ, მცელანდს სამყოფი აქვს
თავისთვისაც და თქვენთვისაც.

— ჩემთვის საჭირო არ არს იმის საჩუქრები,
მამაჯან, უთხრა მარიამამ და თავი გაიქნია.

— როგორ! სიცილით მიუვო მცელანდმა,—
ფულის მოგროვება ვინდა? ქეთილი. მაგრამ სტურ-
სონს მე კარგად ვიცნობ, საშინელი თავ-მოყვარე
კაცია, ის მოინდომებს ყველაზედ მორთული იყო
ხოლმე, როდესაც შეგირთავს.

— ზანა უქველად უნდა შემირთოს? მიუვო
ქალმა სიჩქარით და მამას პირ-და-პირ თვალებში
შეხედა.

— ზანა უნდა შემირთოს! მაგას რას აშბობ?
ზაკვირვებით შეჰყვირა მცელანდმა და მერე სიცი-
ლით დაუმატა: — შენ, მგონია, რაღასაც ბოდავ,
მიიხედ-მოიხედე, სადა ვართ, ვის სახლში!

— ჩქარა წამიყვანე აქედამ, მამაჯან, სიტუა-
გადაეხვია, — შენ ეერ მოგშორდები, მინდა შენთან
ვიცხოვრო.

— შენ გაგიჟებულხარ, მგონია. სასტიკად დაუ-
ყეირა მცელანდმა და იმის ხელები მოიშორა კის-
რიდამ; მერე ნახა თუ არა, რომ ქალმა კანკალი
დაიწყო, უფრო დამშეიდებით განაგრძო: — რას ყმა-
წვილობ მარიამ, სტურსონმა მოიწადინა შენი შერ-



14M3639H
30250000935

თუ და მე დარწმუნებული ვარ, რომ შენგან
იქტებოდა წაქეზებული.

— მე ძალიან ვშიშობ, მამაჯან, ბუტბუტიდთ
უთხრა ახალ-გაზღა ქალმა,— და, დაიცალოს გაზაფუ-
სულამდის, წუხელის ცუდი სიჩმარი მესიზმრა; ნუ
მიმცემ სტურსონს. იმას ხომ ჯერ კარგად არ ვიყნობ!
დამატა ცოტა, მივიხედ-მოვიხედო, ახლათ გავიც-
ნო.

— ჩას მიედ-მოედები! შევ-კირა იცელანდმა
სტოლზედ მუშარის დარტყმით,—გეყოფა მაგდენი სი-
სულელე; ოუ გინდოდა ქორწილის გადადება, აქამ-
დის რაღას ელოდი, აი თუნდ გუშან, ის რაღა
იყოს როგორც კი გითხრა, მაშინვე ლიმილით და-
თანხმდი. მე შენი ეინებისა არა გამეგება-რა!

მარიამაშ თავი ჩალენა და წმი არ ამოილო.
ვაჭარმა განაგრძო:

— მხლა გვიანლა არის, ჩემს სიტყვას არა
დროს არ გადაუდგები. არავის არ ვათქმევინებ, რომ
იშელანდი თავის დაპირებას არ ასრულებს. მოდი
გონებაზედ, მარიამ! მეგრე ნუ იღმიჯები; აგრ სტურ-
სონიც მოდის, რას იფიქრებს, მაგ ყოფით როგ
გნახოს? მთავრონე, როგორ უყვარსარ, როგორ ზრუ-
ნავს შენთვის, ყველას სიშურით თვალები უბნელდე-
ბა.

სტურსონი შემოვიდა ოთახში და მაშინვე თავ
ეის საცლლეს დაატკირდა.

— მარიამს ლამე გასტეხია, არა სძინებია, სოდეა იველანდმა, — აშიცომაც დაღალულია და თავი სტკივა.

— რამ დაგიბუთხო ძილი? ჰკიოთხა მოწადინებით სტურსონმა.

— არაუერმა, უთხრა ქალმა, — მარტო ცუდი სიზმრები ვნახე.

— მეც ცუდი სიზმრები ვნახე, ჩეენ ორივეს გვარგება დილის ჰაერი. მე კი საქმეები მაქვს; უნდა ცოტა ხნით მოგშორდე, შენ კი, ძვირფასო მარიამ, გაერთე. დაუძახე შენს მეგობრებს, უჩეენე შენი სახლი, ერთად ბაზრისკენ ვაისეირნეთ და მე გავათავებ თუ არა საქმეებს, მაშინვე მოვალ შენთან.

იველანდი და სტურსონი თავ-თავიანთ საქმეებზედ წავრდნენ, მარიამი მარტო დარჩა, მავრამ მაღიერ შემოეხვივნენ მორთულნი და მხიარულნი ახალ-გაზლა ქალები; ისინი აზ აცლიდნენ ერთმანერთს ლაპარაკს, იცინოდნენ, ჰკიოთხავდნენ, თუ საქრმო დღეს რას უპირებს ჩუქებას; ბოლოს მოჰყვნენ ბაზრის ამბებს, და ისიც თან წაიყვანეს და წავიდნენ. ცოტა ხანს შემდეგ ახალ-გაზლა ქალები გაერივნენ ჯვუფად მოგროვილს ხალხში,

შეტეი ნაშილი ამ მოვროვილ ხალხისა, რომელნიც ყეიროდნენ და აყალ-მაყალიგაჭქონდათ მთებიდამ ჩამოსულნი ლაპლანდიელები იყვნენ თავიათი ცოლშვილით. ვაჭრების დუქნებს გარშემოხვევოდნენ იმათი მოხუცე, მახინჯი კაცი — და დედა-



კაცები, მოყვითანო გატალაზიანებული სახეებით; ისინი დაიწყებდნენ თუ არა სიცილს, ყველას აჩვენებდნენ თავიანთ ჩაშავებულს კბილებს. იმათ რაც კი შესაძლო იყო, ყველა ჩამოვტანათ გასასყიდათ: დიდ-ძალი რქიანი საქონელი მოქლალათ, ამასთანავე ბევრი ტყავები, ირმის რქები, სხვა-და-სხვა ფრინველები ჯოხებზედ ჩამოცმული, ძალიან მდიდრულად ნაკერი ქალების ფერად-ფერადი ჩასამელები, ირმის ტყავის რბილი და მოხერხებული ფეხთ-საცმელები, სხვა-და-სხვა ბეწვეული და ტომ-რებით ფრინველების მშვენიერი ფრთები. ამ მოტანილს ავსა და კარგს სცვლილნენ ტყვია წამალზედ, ქვაბებზედ, ფქვილზედ, მსხვილ ტილოებზედ კარვებისა-თვის და ვერცხლის ფულზედ, რომელთაც ჩვეულებრივ ჩაჰულავდნენ ხოლმე მიწაში.

ამ ნაირს აღებ-მიცემას, როგორც წინედ ვთქვით, ვაჭრებისთვის დიდი სარგებლობა მოპოვნდა. ლაპლანიელები თუმცა ევაჭრებოდნენ, აკალ-მაყლობ-დნენ და მყიდველს დავას უწევდნენ, მაგრამ ბოლოს ყველაფერში დაემორჩილებოდნენ. ამი-თა მეთევზებთა და ახლად ვადმოსახლე-ბულთა შორის ხშირად ვაიმართებოდა საშინელი ჩხუბი, წყველა-გინება და როცა დედაკაცებიც ჩაე-რევოლნენ, ისეთი აკალ-მაყალი შესდგებოდა, რომ კაცი იმათ ახლოს ვერ მიეკარებოდა.

ხან-და-ხან ამ ტყაპუჭიან მეთევზებთა და სხვა და სხვა აქ მოგროვილ ჭუჭუიან მცხოვრებთა შორის კოხტათ ჩაცმული მთიულები გამოჩნდებოდნენ.

თუმცა ამათი რიცხვი ბევრი არ იყო, მაგრამ

სხვებისგან განიჩეოდნენ ფაქტობით და ზრდილობით. მქაურები ჩვეულებრივ ზიზლით უყურებდნენ ამ კაპშია ახალ-გაზდა ქალებს და ვაჟებს, მაგრამ იმათ შორის ბევრი მოიპოვებოდნენ მიმზიდველი და სასიამოვნო სახით. მაინცა-და-მაინც მდიდარი ვაჭრის ქალები ზიზლით შესცემოდნენ ლაპლან-დიელებს და ოვით დასანიშნავი ვაჭრის შვილებიც ისე არ დაიმდაბლებდნენ თავს, რომ ყურადღება მიექციათ იმ პატაწა ლაპლან-დიელების, ქალებისთვის, რომელნიც თავისებურად ლაზათიანად მორთულნი ძალიან შვენოდნენ და ზოგს იმათვან დიდი მზითევიც ჰქონდათ.

ამათ გასასყიდათ ჩამოჰქონდათ ხელოვნურად გაკეთებული პატარა გიდელები, ბეწვის საყელოები და წამოსასხამები სხვა-და-სხვა ფერი წმინდა და ელვარე ბუმბლით შემკული.

როდესაც მარიამი მამის დუქანს მიუახლოედა, იცელანდმა დაუძახა და უთხრა:

— რაუ, მარიამ, სისულელემ გადაგიარა თუ არა, ეხლა მგონია მხიარულად ხარ; თუმცა საჭმე გათავებულია, შენ გაყიდული საჭონელი ხარ, გაინც დღეს დილას მცხვენოდა იმ ყოფით მეჩვენებინე სტურსონისათვის. გაზარში ხომ არა მოიწონე-რა? რაც ვინდოდეს იყიდე, მე, ან არა და, თან საჩქაროდ დაუმატა, — სტურსონი მისცემს რაც ელი-რება.



მარიამებ ხმა არ ამოიღო, მაგრამ იმის მეტე-
ზარო ქალებმა უაშეს იველანდს, რომ ერთი ლაპ-
ლანდიელი მშენიერს და სწორებ გასაოცარს წამო-
სასხამია ჰყიდის, რომელიც ბუმბულისგან არის გა-
კეთებული.

— წარმოიდგინეთ, ამბობდნენ ქალები,—თეორ
ალგზედ მშევნიერი მუქი ლურჯი და წითელი ჩაქ-
სულებია, ზედ გამოყვანილი სახეები საოცრად
ამშევნებდნენ, სარჩულათაც წმინდა ბეწვი უძევს,
ერთის სიტყვით დიდი ლაზათით არის შევკული,
ამასთანავე კარგა ძეირად აფასებს; ლაპლანდიელმა
ოთხმოცი ტალერი მოგვეთხოვა.

Ուզելանձմա տյաղցեծո ձափսուրա, տպմբա քարցալ
ըլուռա, հռամ ծախմթլուսացան ջակուտեծուլո և շինելո
մշուրու, մաշինամ ամ նաօրագ ձայսացեա Շցշիթոցհռոնիատ
մոահինցա.

— ხომ არ გაგიქებულია ის კაცი! შევკუთხა
იცელანდმა,—მიჩვენეთ სად არის? პი, მსაჯულიც
მოდის, ლაპლანდიელს, უეჭველია, ის მოურივდება,
შაგრამ იქ რაღაც ამბავია? მგონი, ცემა-ტყეპაა. ვის
გაუმართავს აყალ-მაყალი? მრთი შეხედეთ და ვიღა-
საც ისვრიან მაღლია! ჩემმა მზემ, მაგარი ქალა ჰქო-
ნია, რომ უძლებს მავ ნაირად ბურთივით სრო-
ლიას.

ბაზარში საშინელი ხმაურობა ასტყდა, ისე როგორის ხმა ვერავინ გაიგო, ქალებმა შიშით დუჭანში თავი შეიფარები, იველანდი ძალიან ბრაზობდა,

რაღან ბეჭრმა მყიდველებმა საჭიროები ხელიდამ დააგდეს და საცეკვლად გაიგცნენ.

— მთვრალმა ბოელანდიელმა ასტეხა ეგ აყალ-მაყალი, სთქვა ერთ-ერთმა მყიდველმა, რომელიც ისევ დუქანში დაბრუნდა, — ბოელანდიელი მსაჯულს გზაზედ გადაუდგა, მუქარით მუშტი მოულერა და სთხოვა, შკოლის მასწავლებელის ხლაფი მიშოვეო, თორემ მე ვიცი რასაც გიზამო.

ამაზედ ცველამ დამწყო ხარხარი.

— საკმაოდ მიიტყება ის ოუზუცი, განაგრძო მოამბეგ, — ჯერ მსაჯულს უნდოდა როგორმე ჩაე-ჩუმებინა და რომ ცერა გაწყო-რა, მაშინ მიეხევინენ ექვსიოდ ყოჩალი კაცი და ისე მისტყებეს, რომ ეხლა მკედარივთ ქუჩაში გდია. მსაჯულმა პოლიციელები დაიბარა და იმათ უნდა ციხეში ჩასვან.

— რა ჰქვიან მავ კაც? ჰკითხა იცელანდმა.

— მგონი ჰენრიკ იანსენი, უპასუხა სტურსონმა, რომელიც ამ დროს მოუახლოვდა დუქანს, — არ ვიცი რას გადამეკიდა, მთვრალი თუ იყო, მაგრამ მაინც მეცოდება საწყალი ძალიან მისტყებეს.

— ახია იმაზედ, დაიცვირა იცელანდმა, — მე მახსოვეს ეგ ცეტი ფანტურა, მეორედ ალარ გაბე-დავს.

— ზეცოვა მაგაზედ ლაპარაკი, მიუგო მსა-ჯულმა, — ჩემი მარიამი გაცრუცილია, აყალ-მაყალმა თუ შეაშინა. მხლა სადილობამდის მოცულილი გარ, ჩემო სულო, ერთად გავატაროთ დრო. მითხარ,



დღეს რა ნახე ბაზარში, რა მოგეწონა? ძალიან გა-
მეხარდება, თუ კი შევძლებ შენს სიამოვნებას.

ახალ-გაზლა ქალმა პასუხად თავი გაიქნია, მაგრამ, მის მეგობრებმა ვერ მოითმინეს და აღტაცებით აუწერეს უცნაური წამოსასხამი.

— აბა, სად არის? ჰელიონის სტურისონმა.

— Յուղաց մասնաւ լավաշնորպելո չկուժու, յութե-
հես յալութիւն, մոռագ սակածու մալամա ացյա, տացո
ւա պալ-պարո Շեքվայլու այց հաղաց մեսքունո հիբր-
իու, Սաքվայլու քու ու սպունս.

— ძებნათ არა ლირს, დაიწყო უკელანდშა, — ის
შეუპოვარი და საძაველი თურმე მაგ უბრალო ჩასმეს
ოთხმოც ტალერად აფასებს.

— თუნდ ასი მომთხოვოს, შესძახა სტურალინ-
მა — თუ მაგისთანა ძრირე რამე მოსწონს მარიამს,
რასაკვირველია ვაჩუქებ. წავიდეთ, ჩემო სულო, აქე-
დამ, — მამა შენსაკ უშლით ვაჭრობას. ის ლაპლან-
დიელი ვიპოვოთ და ნაქები მშეენიერი წამოსასხამი
ენახოთ.

Ոցելանձմա გայզորացքնութ մերցծո աօթօս, մցշո-
ծնցծո վալցծո կո ღոմոլութ շպարցթճնցն ցշլ-ցեց
սայիրմուս.

— მარიამ, რა ბედნიერი ხარ, როვორ უკარ-
ხარ შენ საქიმოს, უჩურჩულებდნენ ამხანაგები.

სტურსონმა რამდენჯერმე მთელი ბაზარი აიარ-
ჩაიარა, ყველას ეკითხებოდა იმ ლაპლანდიელზედ,
რომელიც ბუმბლისგან გაკეთებულ წამოსასხაში

ჰყიდდა; მაგრამ ვერა გზით ვერ მიაგნო; პევრს ახ-
სოდა, რომ ნახეს, ის კი არ იცოდნენ თუ საღ
ჩაიღუპა. ამ ძებნაში კარგა დრო გავიდა. ვაჭრებიც
და მყიდველებიც წავიდ-წამოვიდნენ პურის საჭმე-
ლად და დასასვენებლად. შველა კუთხიდამ მოისმოდა
მხიარულად ლაპარაკი, სიცილი და ლაპლანდიელების
სიმღერები; ბაზარში მთლად მოდებული იყო საჭმ-
ლის სუნი, რაღვან ზოგნი იქვე ხარშავდნენ.

სტურსონი ზოგმა ვაჭრებმა შეაყენეს და მოუ-
ყვნენ თავიანთ საქმეებზედ ლაპარაკს; როდესაც
მობრუნდა, ნახა რომ მარიამი წასულიყო კიდევ
ბაზრის ბოლოს და იქ მარტო იდვა.

— აქ რას აკეთებ, მარიამ? ჰკიოხა სტურ-
სონმა,— სად არიან შენი მეგობრები! ღრმა შინ
წავიდეთ. მაგრამ შენ საიდლაც იყურები! ზანაგრძო
იმან და გაკვირვებით უცქირა მარიამს, რომელიც
შესცემოდა ხშირი ტყით მოფენილს ტყეობას, საი-
დამაც გამომდინარეობდა ჩქარი და აქაფებული მდინ-
არე მაღლე-ეფი. ხეობის შესავალში, მაღალი ციცაბი,
გარშემო, ეყარა ბლომად კლდის ნამტვრები დ
დიდრონი ქვები, რომელნიც აქვე ჭაობებში ხშირ
და მაღალს ბალახ და ბალახ შეუა იშალებოდნენ.

— აი ისიც! უცხად დაიყვირა მარიამა, ხე-
ლიდამ გამოუსხლტდა სტურსონს, ერთი არც კი
მიიხედა იმის გაკვირვებით დაძახებაზედ და საჩქაროდ,
გაიგცა ჭაობიან მინდორზედ.



— ხომ არ იგავჩეც ბულხარ, მარიამ! მისძახა
ხაქმომ,— დაიცა, რა დაფენართა? მანდ ხომ ჭაო-
ბია, დაზრუნდი. რა მოხდა? ღმერთსა ვფიცავ, რომ
დაცეცებდით ეგ ის ლაპლანდიელია.

სტურსონმა მხოლოდ ეხლა დაინარა, რომ
ერთს კულტის წვერზედ, საიდამც ნავადული ვადმო-
სწერებოდა, იჯდა კაცი, რომელიც წამოდგა თუ არა
ფეხზედ სტურსონი მიხედა, რომ ვისაც აქამდის
დაეშებდა, სწორედ ის იყო. მუდი მწვანე ტოტათი
მორთული შივ თვალებში ჩამოთხხატული ჰქონდა,
სახეც სრულებით არ უჩნდა, მაგრამ იმის ახალ-გაზდა
წვრილს წელს უხდებოდა ვერცხლის მდიდრული ქა-
მარი. ჯობზედ ეკრდა ჭრელი წამოსახამი, რომელიც
მჩენედ ბრძუვინავდა.

სტურსონმა ნახა, როგორ მარიამი იმას მიუახ-
ლოვდა, ლაპლანდიელი ჯერ ფეხქვეშ ჩაუარდა,
მერე წამოხტა და ქალს დახურა ძვირფასი წამო-
სახამი. სტურსონი უცქერდა და თან ძლიერ-ძლიო-
ბით უახლოვდებოდა, იმათ რადგან უცნობი ადგი-
ლი იყო და შიშობდა ჭაობში ჩაფელას.

— რას ჩადის ის ვიღაც მოთრეული? ზაჯავ-
რებით წამოიძახა სტურსონმა, როცა რის ყოფით
მიახწია ცკლდის ძირას. მერე საშინლად დაიწყევდა
და შედგა თავ-ზარ დაცემული. იმის მარიამი ეხვეო-
და ლაპლანდიელს, რომელსაც გადევდო ჭუდიც და
ფალას-ფულასებიც. მჭეო აღარ იყო, ეს მლავია.



— ମାତ୍ର ଶ୍ରେଣୀ କାହିଁ! ତାମ୍ଭେଟେବ୍ରାତ ଶ୍ରେଷ୍ଠୁଙ୍କିଳା
ସ୍ତ୍ରୀହସନ୍ଧମା,— ମାତ୍ର ତାମ୍ଭେଟେବ୍ରାତ ମନ୍ଦିରରୁ!

— ମେହାର, ଶ୍ରେ କୁପିଳ ମୁକ୍ତିଲ୍ଲେଖ, ଉତ୍ସବଶକ୍ତି ଅନ୍ତରେ
ଗୁରୁତ୍ବରୁ ପ୍ରାଚୀମା,— ଯେହି ମନ୍ଦିରକୁଣ୍ଡା ହିସ୍ତିରେ ନାହିଁରୁଥା; ଶ୍ରେ
ନିଃତାନ୍ତି ମେହାର ଶାନ୍ତିପ୍ରାପନ ଗାନ୍ଧାରୀରୁ.

— ମାତ୍ର କିଲ୍ଲେପାତ ଘେଶିନ୍ଦାରେ ହେମି! ଡାକ୍ତାରୀଙ୍କ
ଏକେଇମି, କେମାଉରୁଥାରେ ମେଲିବି, ମନ୍ଦିରଜାନ! ଶ୍ରେ ଏହି ଦାତାକୁ-
ଲ୍ଲେବ୍ୟୁଲ୍ଲା, ଫାନ୍ଦେଖ୍ରେ ମନ୍ଦିର ତାମ୍ଭେଟେ ମାରିବାମି! ମନ୍ଦିରରେ
ରାଜ୍ଞୀ! ମନ୍ଦିରରେ ମାରାବୁ! ମେହା ଯେତାମାର ପଶିତା ଯେହି
ନାମିକେବା ଲାଗୁଲିଦାମ.

୧୩ ଦର୍ଶକୁ ସ୍ତ୍ରୀହସନ୍ଧମା ଜୀବିତରେତ୍ତମି ଅମାନିଷତ ଦାମ-
ଦାହି ଲା ଦାୟମିକନା ମୁଦ୍ରାରେ,

— ବେଳେ ରାଜ୍ଞୀ, ରାଜ୍ଞୀ ଗିନତା! ଦୋଷୁକ୍ରାନ୍ତିରୀ ସ୍ତ୍ରୀହ-
ସନ୍ଧମା, ତାନ କେବଳାକିତ ଲାଭେଲ୍ଲୁଗ୍ରେବିତ କାନ୍ତିକାଲ୍ପନ୍ତିକା—
ଯୁଗିଲ୍ଲା ମନ୍ଦିରରେ, ନାହିଁ ଲାଭେଲ୍ଲୁଗ୍ରେବିତ, ତାମାରିକିମୁଣ୍ଡଳୀ
ଦାର୍ଢେବିନାକାରୀ. ମାରିବାମି! ତୁ ଦେଖିରିତି ଦେଖିବିଲି, ହାମି ମାନ-
ଦେଲାମି ମାମି, ଶ୍ରେଣୀ ମନ୍ଦିରିବି; ହାମି, ଶାନ୍ତିମି ଦର୍ଶକୁ ଲାଭ
କରିବିଲି ଶ୍ରେଣୀକାରୀ.

— ଏହାର ଦର୍ଶକୁ, ଉତ୍ସବଶକ୍ତି ମାରିବାମି ଲାଭ ଶିଥିତ
କିମ୍ବା ମନ୍ଦିରରୁ,— ଯେହାରୀ ମନ୍ଦିରକାରୀ, ଶ୍ରେ କୁପିଳ ମୁକ୍ତିଲ୍ଲେଖ
ମେଜାରେବେଦି ମେହିକିଲ୍ଲେଖି.

ସ୍ତ୍ରୀହସନ୍ଧମା ନାହିଁରୁ ଗାନ୍ଧାରୀ ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କ, ଗାନ୍ଧାରୀ
ରାଜ୍ଞୀ ଲା ଶାହୀକାରିତାର ଅନ୍ତରେ କୁଳଦେଖ୍ରେଲ. ପିମାନ ଗାନ୍ଧାରୀ
ମାରିବାମିଲି କୁଳିକାରୀ, ଦାନିକାରୀ ରାଜ୍ଞୀର କାଲି ନାହିଁରୁ
ମାପଦି ଲା ନାହିଁକାରୀ, ଏହି ନାହିଁ ମୁଦ୍ରାରେ କୁଳଦେଖ୍ରେଲ
ମନ୍ଦିରରେ ଲା ଉତ୍ସବଶକ୍ତିକାରୀ ମନ୍ଦିରରେ କୁଳଦେଖ୍ରେଲ
ମନ୍ଦିରରେ ଲା ରାଜ୍ଞୀକାରୀ ଗାନ୍ଧାରୀ ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କ, ମନ୍ଦିରରେ ଲା ମାନ-

ბაჩის ხმა და ერთბაშად სტურსონი კლდილაშ ჩამო-
 ვარდა. მლავს დამბაჩა ჯერ ძირს არ დაეშვა, რომ
 ქვემოთ მინდობრზედ იველანდი და სხვა კაცები გა-
 მოჩნდნენ, მაგრამ იმათ ვერ მოასწრეს გაერჩიათ,
 თუ ვინ იყო მკელელი, ის ისე მსწრაფლად შევარდა
 ტყეში.

რამდენიმე წერთს შემდეგ ყველანი შემოეხვივნენ
 ვასისხლიანებულს მსაჯულს და მალე დარწმუნდნენ
 რომ ის სიკვდილს არ გადაურჩება, რადგან მძიმედ,
 იყო დაჭრილი.

იველანდი მივარდა სტურსონს და ცდილობდა
 როგორმე აეყენებინა.

— ვინ მოახდინა ამისთანა საქმე? ჟეიროდა
 უიმედოთ მოხუცი ვაჭარი,— თუ ლერთი გწამს,
 მსაჯულო, ხმა ამოილე! სთქვი ვინ იყო? რომელიმე
 ლაპლანდიელის საქმეა, განაგრძო იმან კანკალით,—
 მარტო იმათგან ნასროლს ტყეიას შეუძლიან ასე
 ანაზღეულად კაცის მოკვლა. მარიამი სადღაა, მა-
 რიამი!

— ამ ხმაზედ სტურსონმა აანილა თვალები და
 სცდილობდა წამომდგარიყო.

— დაიჭირეთ, ის იქ არის... კვნესით წამოიძახა
 სტურსონმა და სული განუტევა.

ზემოდ კლდეზედ, ბუჩქებს და ბუჩქებს შუა, იმ
 ხეობამდის, სადაც მღინარე მიეშურებოდა, სისხლის
 კვალი მოჩანდა, დიდრონს ქვებს და ქვებს შუა ეგდო.



სტურსონის დამპაჩა. შოთუოდ ავაზაკი დაჭრილი ძეგმვები ბოლა. მაშინვე რამდენიმე კაცი გაგზავნეს მკვლელის დასაჭერად, მაგრამ ვერ დასწევეოდნენ. მეორე დღეს ტყეში მოშორებით იპოვეს მარიამის კაბის ნაკურწები, რომელიც ხეების ტოტებს მოსდებოდნენ და ცოტა მოშორებით დაგლეჯილი ძეირფასი ბუმბლის წამოსასხამი.

მკვლელი ვერა გზით ვერ იპოვეს. ჰენრიკ იანსენს ჩვენება ჩამოართვეს, მაგრამ იმან უფრო აურ-დაურია საჭმე. მსაჯულსაც და ვაჭრის ქალსაც ცუდათ იხსენებდა. იველანდი ჰეირდებოლა დიდს ფულს იმას, ეინც შეუტყობდა ქალის თავ-გარდა-სავალს, ბევრს აეჭყიტა თვალები იმის ფულებზედ და თითონ იველანდიც მოწადინე იყო ცოტათი მაინც მოეშორებინა ამოდენა მოგროვილი ფული, მაგრამ ვერავინ ვერავინ შეუტყობდა.

უმეტესხი დარწმუნებული იყვნენ, რომ ის ყოჩალი ლაპლანდიელი, რომელმაც თავის აშაცს მტერს შიგ გულში ესროლა ტყვია-მლაფი იქმნებოდა და ვინ იცის თავისი მარიამით სად უდაბნოში, რამდენი მთების იქით, სცხოვრობს; იქნება მარიამი ისე ბედნიერია, რომ თვალში არ მოსდის არც სიმდიდრე და არც ის, თუ ხალხი რას იტყვის იმაზედ.

ରାମଦେଵାତ୍ମକ ରାମଦେବନିମ୍ବୁ ଫଳିତ ଶ୍ରୀମଦ୍‌ଭଗବତ୍ ପ୍ରେଲାନଦି
ମହାକବି, ମାତ୍ରିନାତ୍ମକ ଏହା ଗାମନାହିଁଦା ମହିନା ମେମୁଗୁଣଦିନେ
ଖାଲିଦା ଏଥାତ୍ ପାତାଙ୍କରି ଇଶ୍ଵରାନନ୍ଦାଘରନ୍ତେ ସମ୍ମାନିତ
ସମ୍ପଦପ୍ରକଳ୍ପନା—କୁଳ ସକ୍ଷେପିତା ଲୋକମାତ୍ର କୃପା,

(ରାମକଣ୍ଠଙ୍କା).

შეცლოდათა კომედია.

მოთხოვთა ამერიკის ცხოვრებიდან

ჰენრი სენკენბირა.

(ნათარგმნი ლორთვიფანიძის რაღმისადაც.)

ხუთი-ექვსი წლის წინეთ მარიპოზოს ერთს კუთხეში გამოსკდა ნავთის ნაკადული. პუარებელმა მოგებამ, რომელსაც იძლეოდა ეს ნავთი, ნევალაში და სხვა შტატებშიაც მაშინვე გამოიწვია ამ კუთხეში «ფულის მომხვეჭის» მსურველნი ამ ახლად აღმოჩენილის სიმღიდრის შემუშავებით. მოზიდეს უთვალევი მაშინები, პომპები, კიბეები, ბოჩკები და ქვაბები; აღაშენეს პატარ-პატარა სახლები მუშებისათვის, აკურთხეს «სტრუკ-ფილის» არე-მარე და სიცოცხლე გაჩალდა... იქ, სადაც ამასწინეთ ლამ-ლამობით მხოლოდ ტურების ჩხავილი თუ გაისმოდა, ახლა იდგა რამდენიმე ათეული სახლი და ირეოდა რამდენიმე ასი ადამიანი...

ზადის ორი წელიწადი. სტრუკ-ფილია ამა-



ყად უწოდებს თავის - თავს ქალაქს. და მართლაც, ეს ახლა სწორედ რომ ნამდვილი ქალაქიც იყო. იქ დაესახლა, კაცობრიობისათვის სამსახურის გასაწევად. თერძი, ხარაზი, დურგალი, მჭედელი, ყასაბი და ექიმი-ფრანკი, რომელიც რამდენიმე ხნის წინეთ პარიჟში დალაქად იყო... სხვებრ, ექიმი იყო შეცწიერი და უკნებდელი და ეს ამერიკაში ხუმრობა ნუ კი გვიანია! ჩვენი ექიმი, როგორც ეს ხშირად მოხდება ხოლმე პატარა ქალაქებში, ერთსა და იმავე დროს ექიმიც იყო, აფთექარიც და ფოჩტმეისტერიც. მაშასადამე, იმას ჰქონდა სამ-ნაირი პრაქტიკა და მუშტრებიც სამივეს მხრიდგან მიუდიოდა. აფთექრათაც უკნებელი იყო, რადგან მის აფთიაქში თუ არა შაქრის ბალავი და «LE ROY»*) სხვა არც კი არა მოიძებნებოდა-რა. ტყნარი და ალერსიანი მოხუცი ექიმი ხშირად ეტყოდა ხოლმე თავის ავადმყოფებს: ჩემი წამლების ნუ გეშინიანთო, მეგობრებოო! ჩვეულებადა მაქესო, რომ სანამ ავადმყოფს წამალს გამოუწერდე, მე თვითონ უნდა დავლიო სწორედ იმდენი, რამდენის გამოწერასაც ვაპირებ ავადმყოფისა-თვისონ და თუ კი მე არ მაწყენს, არც თქვენ გავნებსთო.... განა მართალს არ ვამბობო?

— დიალაც რომ მართალს ბრძანებოთ, ეპოწ-მება ავადმყოფი, რომელსაც იქნება ფიქრათაც არ მოსვლოდეს თავის დღეში, რომ წამლის თავი-და-

*) ჩემლის სახელია.

თავი სარგებლობა არის და არა მხოლოდ უცნებლობა...

დაზონვილს (ეს სახელი ერქვა ჩვენს ექიმს) სწამდა განსაკუთრებით სასწაულ-მოქმედებითი ძალა მარტო ერთად-ერთის «LE ROY»-ისა. პდგილობრივს კრებებზედ არა ერთჯერ და ორჯერ მოუხდია ხოლმე ქუდი და მიუმართავს საზოგადოებისადმი შემდეგის სიტყვებით: «მოწყალეო ბატონებო და ქალბატონებო! სცადეთ ჩემი წამალი, მე ხომ ავერ სამოცის წლისა ვარ; ორმოცი წელი გასულა, რაც მე «LE ROY»-ს ვლებულობ შეუცვლელად ყოველ ცისმარად დღეს და აპა შეხედეთ, თუ რა არის ერთი ღერი თეთრი თმა მაინც მაქვს თავზედ.»

მოწყალე ბატონებია და ქალბატონებს სულ ადვილად შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ ექიმს მართლაც რომ ერთი ღერი თეთრი თმაც არ ჰქონდა თავზედ, მაგრამ მაგიერად არც სხვა ფერი თმა ჰქონდა. მქიმის თავი ისე მოსულეპილი იყო, როგორც ხელის გული. სხვებრ, ამ გვარი მწარე კრიტიკული შენიშვნები ხომ აქ არავის არასოდეს არ გაუვლიდა თავში. ამიტომაც რა გასაკეირველია, რომ ახალი ქალაქის წარმატებასა და აყვავებასაც არაუშლიდა-რა. ისე, ამ გვარად სტრუკ-ჭილის ქალაქისული იზრდებოდა და იზრდებოდა! ზაიარა კიდევ იარმა წელმა და რკინის გზამაც გაუწოდა ქალაქს თავისი ტოტი. ამ ქალაქს უკვე ჰყავდა თავისი აღმოჩეული მთავრობა. მსაჯულად იყო აღმოჩეული ყვე-

ଲାବାଗାନ ସାହାରାର୍ଜେଲୋ ଗ୍ରେମିର, ରାମାର୍କର୍ପ ଗାନାଟଲ୍ଲେବ୍ୟୁ-
ଲାସ ନାର୍ଥିଲାସ ଫାରମରମାର୍ଗେନ୍଱େଲୋ; କାରାଚିର, କେଲିଶ୍ରେ-
ଲୋ ଉରିର, ଡେଵିଶି, ଶେରିର୍ରିଆର୍ଡ, ଏ. ଓ. କେଲିପ୍ରିଂଚିଲିସ ଉତ୍ତରାଖଣ୍ଡାର୍ଜେଲୋଟ, ରାମ ମତେଲୋ କେ-
ଲାଇପ୍ରିଂଚି ମେନଲାଇଙ୍ଗ ଏଥି ଏରତିଲେ କାରାଗାନ ଶେଇଲ୍ଗେବ୍ରାନ୍ଡା.)
ନାର୍ଥିର୍ରେ ଶ୍ରୀରାମା, ରାମମଳିଲେ ମରିନ୍ଦିବ୍ୟେଲ୍ଲାର୍ଡାର୍ଜେ ମାନିଲା
ଶ୍ରୀରାମମାନମା, ଏରତମା ମାନିଶ୍ରେଷ୍ଠମା ଶ୍ରୀଲିଶ୍ରେଷ୍ଠମା,
ମୁଦାମ ଲାମ୍ବା-ଗାରିବ୍ୟେବ୍ୟୁଲମା; ଧାରାଲେ ଗାନିଶ୍ବନ୍ଦା କିନ-
ର୍ଯ୍ୟେଲୋ ଶାଶ୍ରୀରାମର୍କୁ, ଏରତାର୍ଜେ-ଏରତି ଶାଶ୍ରୀରାମର୍କୁ.

ଏହାରେବାହି ମହିରମର୍ଗେବ୍ୟୁଲ୍ଲାର୍ଡାର୍ଜେ ଶ୍ରୀଲ ଉତ୍ତରାଖଣ୍ଡ ଦା
ଉତ୍ତରାଖଣ୍ଡ ଏରିପ୍ରେଲ୍ଲେବ୍ୟେବ୍ୟୁଲ୍ଲାର୍ଜେ. ନାର୍ଥିଲେ ମାନିଶ୍ରେଷ୍ଠା ଲାଇଙ୍ଗ ଶାରି-
ଗ୍ରେବ୍ୟୁଲ୍ଲାର୍ଡାର୍ଜେ ନାର୍ଥିଲେ. କାରାଚିରା ଗାମରାର୍ଯ୍ୟିକ କାରିଦ୍ରେପ ଝାନ-
ଜାରାହି ତାଙ୍କିଲେ ନାର୍ଥିଲେ-ଶାଖନାରି ବ. ଉରାନ ପ୍ରିସ୍କୁମ୍ବ କାରା-
ଚେବିଲେ ହିନ୍ଦୁପ୍ରିଲ୍ଲେବ୍ୟେବ୍ୟୁଲ୍ଲାର୍ଜେବର. ଏହିଲେ ଗାମରା ଡେଵିଶିଲେ ତାନାମରିକା-
ଲାର୍କ୍ଯେବ୍ୟେବତା କାରିଦ୍ରେପ ଗାରିଦ୍ରାର୍ଯ୍ୟିକିତ୍ତେ ଏରତ୍ତେ କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍, ରାମ
ମାନିଶ୍ରେଷ୍ଠିଲେ ଶାଶ୍ରୀରାମର୍ଗେବ୍ୟୁଲ୍ଲାର୍ଡାର୍ଜେ ଗାମରାର୍ଯ୍ୟିକିତ୍ତେ ଏରତ୍ତେ କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍,
ମାନିଶ୍ରେଷ୍ଠିଲେ କାରାଚିରା କ୍ରେଟିଲ୍ଲେ-ଗାମରାର୍ଯ୍ୟିକିତ୍ତେ ଏରତ୍ତେ କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍, ଏହି-
କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍ ଏହିଲେ ଶାଶ୍ରୀରାମର୍ଗେବ୍ୟୁଲ୍ଲାର୍ଜେ କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍, ଏହି-
କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍ ଏହିଲେ ଶାଶ୍ରୀରାମର୍ଗେବ୍ୟୁଲ୍ଲାର୍ଜେ କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍, ଏହି-
କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍ ଏହିଲେ ଶାଶ୍ରୀରାମର୍ଗେବ୍ୟୁଲ୍ଲାର୍ଜେ କାରିଦ୍ରେବାର୍ଯ୍ୟେଲ୍,

ଶାରୀରିକ ମୂଳ୍ୟାବଳୀ ଦା ଶେରିର୍ରିଆର୍ଡ (କେଲାଇପ୍ରିଂଚିଲେ ଉତ୍ତରାଖଣ୍ଡାର୍ଜେ)
ଗାନିଶ୍ବନ୍ଦାର୍ଜେବିନ, ଏହି ଉତ୍ତରାଖଣ୍ଡାର୍ଜେ ଶାରିକର୍ମାବ୍ୟେବିଲ୍ ଉତ୍ତରାଖଣ୍ଡା
ଗାନିଶ୍ବନ୍ଦାର୍ଜେବିନ୍ଦେସ. ଶାରିକର୍ମାବ୍ୟେବିଲ୍ କାରାଚିରାର୍ଯ୍ୟେଲ୍ କାରାଚିରାର୍ଯ୍ୟେଲ୍
ଦା ମେଲିନ୍ଦୀଲେ ଶାରାଜି ମାନିଶ୍ରେଷ୍ଠିକ୍ଷେତ୍ର, ଦା ଆ, ଏମିକ୍ରିମାବ୍ୟେବିଲ୍ «କ୍ରୀ-
ରୀବ୍ୟେବିଲ୍ କ୍ରୀହିଲେଶା» ଦା «କ୍ରୀର୍ବ୍ୟେବିଲ୍ କ୍ରୀହିଲେ» କ୍ରୀତକ୍ରୀମି ଗାମରା
ତାଙ୍କିଲେ ଝାନଜାରୀବ୍ୟେବିଲ୍ «କାରିବ୍ୟେବିନ୍ଦୀଲେ କ୍ରୀତକ୍ରୀମି ମାନାଶିନି»,
ଗାମରାଫିନ୍ଦା ଝାନଜାରୀହି ଗାନ୍ଧେବ୍ୟେବିଲ୍ ଦା କାରିବ୍ୟେବିନ୍ଦୀଲେ

კატურული სურათები. ერთს ამ კარისკატერულს სურათზე იყო გამოყვანილი პრეზიდენტი ბრანტი დედა-კაცად და სწველიდა ძროხას, რომელიც წარმოადგენს, რასაკვირველია, შეერთებულს შტატებს. შერითი ამ გვარი კარიკატურების გამოფენას არავის უშლიდა, — და ან ეს განა პოლიციის საქმეა?...

საქმე ამითი არ გათავებულია. წარმოუდგენილია, რომ ამერიკელს ქალაქს თავისი საკუთარი გაზეთი არ ჰქონდეს. ორიოდე 1 ლის შემდევ გაჩნდა გაზეთიც: «საყოველ კუირაო მიმოხილვა,» რომელიც შაბათობით გამოდიოდა და რომელსაც იმდენივე ხელის მომწერი ჰყავდა, რამდენიც ქალაქში სახლობა იყო. გაზეთის რედაქტორი იმავე დროს იყო ვამომცემელიც, ამშეკობიც, მესტამბეც და წამლებ-წამომლებიც. უკანასკნელი მოვალეობა ჩეენის რედაქტორისათვის სწორედ რ. ჯ. სახელ-და-ხელო იქნა. იქან ჰყავდა ძროხები, და ამიტომაც სულ ერთი იყო, ის უამისოდაც ხომ მაინც ვალდებული იყო, რომ ყოველ დილას ეზიდნა რაც კარ-და-კარ. მაგრამ ყველა ეს მაინც არ უშლიდა მას, რომ დაეწყო ერთხელ ერთი თავის სხარტული მოწინავე სტატია შემდეგის სიტყვებით: «როდესაც ჩეენმა შეერთებული შტატების უსინიდის პრეზიდენტმა ბოლოს, როგორც იყო, გარდასწევიტა გაუოლოდა ჩეენს თათბირს, რომელიც იყო დაბეჭდილი ჩეენის გაზეთის წინა-ნომერში — და სხვა»...



როგორც ხედავთ, რაღა უნდა ჰყლებოდა ახლა
ქალაქ სტარუპ-ზილს თავისის კეთილ-დღეობისათვის?—
თუ თქვენ იმასაც მიიღებთ მხედველობაში, რომ
მუშები ნავთის წყაროებზედ წყნარი და მშრომელი
ხალხია და სულაც არ მიემსგავსება თავიანთს მოძ-
მეებს,—ოქროს ქვიშის მაღანზედ მუშებს, მაშინ კი
უნდა მიხვდეთ, რომ ქალაქს ლეთის თვალიარ ჰყლე-
ბია...ჩხუბზედ და ცემა-ტყეპაზედ აქ ხსენებაც არ იქმ.
«ლინჩის» სამართალი *) იცოდენ მხოლოდ გაგო-
ნებით; დღეები ერთი მეორედგან არაფრით არ გა-
ნირჩეოდნენ. დალას უკელა ფულს შოულობდა;
საღამოს ქუჩაზე მოგროვებულს ნაგავს სწვავლა და
შემდეგ, თუ კი რომ საღმე სახალხო კრება არ იქ-
ნებოდა დანიშნული, მიღიოდა მშეიღობიანად თავ-
თავიანთს სახლში დასაძინებლად, გულ-დაჯერებული;
რომ ხვალაც დღეისთანა დღე გათვალისწილებაო...
შერიცს მხოლოდ ერთი რამ ზრუნვა უღრილნი-
და გულს: ვერას გზით ვერ გადააჩინა თავის՝ თანა-
მოქალაქეები ქუჩაზედ გარეულის ბატების თოვლით
ხოსკეს. «სამოქალაქო წესდებითა» ხომ აღკრძალუ-
ლია ქალაქში ყოველ ვეარი თოვის სროლა!

—ოჟო, ეს რომ რომელიმე მიყრუებული დაბა იქოს,
კიდევ ჰო, მაგრამ ამისთანა კარგს ქალაქში პიფ-პაფ!
პიფ-პაფ! ასტყდეს ერთი თოვლის ხათქა-ხუთქი, — ეს
არაფერს არა ჰგავსო, ხშირად სჩიოდა ხოლმე შერი-

*) ე. ი. სალქისავგან მუშავი-კრიზით, გინა სხვა რიგიდ გარ-
დაშეაგრძინა სამართლისა, კანონს გარეშე.

ფი დევიზი ცან-ცანით (სუსტი ბუნებისა იყო) ყოველს თოფის გავარდნაზედ.

მოქალაქეებიც უსმენდენ თავის ქავეით ნიშნად თანხმობისა. ამბობენ დიალ, მაგრამ მოაწევს თუ არა დაისი და შეიღებება თუ არა ცის კიდე ალისფრად და გარეული ბატებიც გამოიშლებიან ხოლმე ქალაქ-ზედ ზღვიდგან დამწკრიცებულნი ყომრალის ფრად, და მაშინ ერი-ჰა! თვითეული მოქალაქე წამოიგდებს გვერდზედ თოფს და შეიქმნა ქალაქში ერთი დაუწყნარებელი თოფის სროლა! აბა, მაშინ «პოლიციის გაფრთხილებისა» ვიღას სცხელა!..

„შფალს დევიზს, რასაკირვეელია, სრული ნება ჰქონდა, ყოველი თოფის მართლელი მსაჯულთან გაეგზავნა; მსაჯულსაც, რასაკირვეელია, უფლება ჰქონდა, რომ ყოველი მათგანი დაესაჯა ჯარიმის გადახდით... მაგრამ... ყველა დამნაშავენი ხომ მსაჯულის «პაციენტები» *) იყვნენ და ხარაჩისა კი «მუშტრები».. და აქედან თვითონვე მიხვდებით... ხელი-ხელს ბანს და ორივე პირსაო...“

ასე, ყოველისფერი კეთილად მიდიოდა ქალაქ სტრუკ-ზილში; იმის კერძო ცის კამარაზედ ერთი პატარა ლრუბელიც არსად სჩანდა, როცა უცემ მთელი დიდი შავი ლრუბელი წამოიშალა!.. «გრასერის» პატრონი შეურიგებელის მტერობით აღენთო მეორე გრასერის პატრონის ქალბატონი-

* პაციენტი არის აჯაღმყოფი, რომელსაც ეძიმობენ.



სადმი, რომელმაც მის პირ-და-პირ გააღო თავისი
სასტუმროს კარები...

აქ საჭიროა გავაცნო მკითხველი იმას, თუ
რას ეძახიან ამერიკაში გრასერს... გრასერი არის
სარდაფი, დუქანი, მაღაზია, მარანი, ყოველისფერი,
რაც გინდათ... აქ ისყიდება ყოველიფერი. აქ თქვენ
შეგიძლიანთ იყიდოთ ფქვილი, ქუდი, ციგარი, ცოცა-
ხი, ფოლაქები, ბრინჯი, სარდინკა, პერანგი, შაშხი,
თესლი, ბლუზი, ფეხსაცმელი, ყინული, ლამპის
შუშა, ნაჯახი, სუხარი, თევზი, ქალალდის გახამე-
ბული საყელოები, ხმელი თევზი,—ერთის ნიტყვით,
«ყველაფერი», რაც კი საჭიროა ამერიკელი კაცის
ყოველ დღიურის ცხოვრებისათვის. პირველად
სტრუქ-ზილში იყო მხოლოდ ერთი გრასერი.

Ու ցազու ցերմանոյելմա, սահելու թանը էնած-
ծեմ. Աս ոյու յուղցմարտուրո პրոյսոյելո ուր-լա-տյեշտ-
մետո Բլուսա, հռմելուսապ ովալյեծո Բամոյարդնաչյեց
Յիշոնդա, ուժնաւ հասկյելյեծուլո, մոխրա-մոխրա կայ-
մառաւ յմարջացմածա, պացցելուցու շսերույցու գա-
գուշածա և մշամ տօնես պալուանո Յիշոնդա ցամոհ-
կածուլո პոհմո. Ոնցլուսուրո օմուցենո ուրու, համ-
ցենու մուցեթեռցյեծու ցաքրոձամո, մացրամ տացուս
սայմե Յանցու յարցաւ մոչյացու և, հռցուրու Սմերտ-
յամո օթյայուն եռլոմյ, «լուրծա» կուցու համցենոմց
առաս լուրջահած. *)

*.) ღოლოარი ნეტერი ფულია, უცრის ჩვენს მარეთს, ოთხ-აშაშ ნახვას, ზოგად მეცნაც ლირს.

— მაშ ამასაც გაიგებდით, რომ სიმ პიბლის შემოაკვედა ხელში.

რალდიმ თუმცა ეს არ იცოდა, მაგრამ თავი დაიქნია, ვიციო.

— იმ ღროს მარტო სიმ პიბლისი იყო იმასთან და ეკონა, არაეის ესმოდა იმათი ლაპარაკი, მაგრამ ჩემი ქმარი ყოფილიყო იქ ახლოს და ყოველისფერი გაეგონა. მოხუცებულს უთქვამს სიმის-თვის: «წაილე ეს ჩემი ფულები, ჩემო სიმ და გთხოვ, სულ ერთიანათ ჩემს ქალს გადასცე, ჩემს შეიღსაო» და განუტევა სული. სიმს არაეისთვის უთქვამს ამ ფულების ამბავი და იმას კი იძახის, რომ ნამუშევარი მერგო ბევრი ფულიო. ამ სიტყვების შემდეგ ჯენქის ცოლი გახარებული წავიდა, რომ შივ გულში მოვახვედრე შხამიანი ისრები იმ ქალსაო, ყოველთვის მიწასთან რომ მასწორებდათ და ამა-ჟად რომ მექუეოდაო.

რალდიმ ჩალუნა თავი და აკანუახებულის მუხ-ლებით უნებურავ წინ წაიწია, მაგრამ ერთს წაშს

უკან უცებ მოტრიალდა და საჩქაროთ გაეჭანა სიძ
პიბლისისკენ. ბავშვები კარებთან თამაშობდნენ; რალ-
დი შევიდა სახლში და კარები ჩაიკეტა. ჩუმათ დაჯ-
და სიმის პარ-და-პირ და შიგ თვალებში შეხედა
თაერთი განრისხებული თვალებით. პირეელად სიძ
პიბლისმა ისე შეხედა, როგორც მოყვარულმასაქმრ-
რომ, მაგრამ მერე რალდის მრისხანე თვალები ის-
რებივით ეცა გულში; შეკრთა, გადაყვითლდა, თავი
ჩალუნა და მწარე ქვითინს მოჰყვა. ბხლა კი გაიგო
რალდიმ, რომ ჯერ კსის ცოლი ტყუილს არ ამბობდა!

— სრმ, იქნება ჩართალი იყოს? ჰკითხა ნაზა
რალდიმ. მითხარით ისე, როგორც თქვენს მოძღვარს
ან როგორც ლეთის წინაშე იტყოდით. ჯაკ ტორჩი
რომ კვდებოდა და ფულები ჩაგაბარათ თავის ქა-
ლისთვის გადასაცემათ, რა უყავით ის ფულები?
ზადაეცით იმ ქალს, თუ თქვენთვისაც აიღეთ რამე?

თუმცა რალდი სცდილობდა რბილათ ელაპა-
რაკნა, მაგრამ ისეთი ბრძანებლობის კილო გამოდი-
ოდა, რომ სიმმა ველარ შებეჭა ტყეუილი.

— რალდი, დაიწყო სიმბა... სულ არა, სულ
ერთიანად არ ამიღია... შეგიძლიათ ჰკითხოთ...

რალდიმ არ დააცალა სიტყვის გათავება და
მკაცრათ უთხრა:

— မာရ် လာမလွှေနိမ္ဒ် မာဝါဒ အကြောင်း မီ ဖွံ့ဖြိုး-
ပောင်?

— ცოტა ავიღე, უპასუხა ვედრების ხმით ჰიბლსმა, ცოტა ავიღე, მხოლოდ იმდენი, რაც შრომის ფასად

ჩაითვლებოდა. მც, რალდი, ნუ გამიშურებით ახლა, ამ ბეღნიერს დროს...

„ბედურმა თავისი სახე რალდის მკერდს მიაუყდა. მდუღარე ცრემლები გადმოსდიოდა.

მალმა ნაზათ თმაზედ ხელი წაუსვა და ტკბილათ უთხრა, მაგრამ გული კი ვეღარ მოიბრუნა.

— მე ბევრჯერ ვიყავ თქვენს ფიქრში სიმ! მაგრამ ახლა კი, ხელი ჰქონა ქალმა, ახლა კი როდესაც გავიგე, რომ უსინიღისო ყოფილხართ, მკვდრების მოტუუბაც შეგძლებიათ, ჩეენს შორის კავშირი აღარა შეიძლება რა! მკაცრათ უთხრა რალდიმ.— თქვენს შეილებს ყურის გდება უნდა, იშოვნეთ ვინმე, რომ მოუაროს! მე აქ აღარ დაერჩები, რალა მინდა! მართაც თხოვდება და მე მილუოკში წავალ; იქ ჩემის ოფლით ვირჩენ თავსა!

პარები გაალო და მანამ სიმ პიბლისი „გონს მოვიდოდა, რალდი გაეიდა იმ სახლიდამ, საღაც იმ დღეს ბეღნიერ პატარძლათ უნდა შესულიყო და პატრონათ გამხდარიყო. ის იყო და ის...

სიმ პიბლის აღარას დროს აღარ უნახავს თავისი სატრფო!

დღიური დ არ.

(ეჭვიერი)

(ნათარგმნი აღ. ნაცვალოვას ქალისაგან)

ჩემი მეგობარი ახალ-ვაზდა რომანისტი ა...
 კვდებოდა გიქების სახლში. მეყოველ დღეს ვნახულო-
 ბდი მას. პოველ დღეს დამახველებდა როლმე რამდენსა-
 მე ფურცელს, რომელთ სწერდა ჩვენის ერთმანე-
 თის ნახვიდგან ნახვამდის. შინადვე მიჩვეული წერას,--
 სივიუშიაც ვეღარ იშლიდა. ამასთანავე სიგიუეც
 ისეთი სჭირდა, რომ საწერ-კალამი არ დაეკავებოდა
 მას. მუშაობა მას არ ავნებდა, რადგანაც ის ჭლექი-
 საგან ჰკვდებოდა და არა მართლა სიგრისაგან. მარ-
 ჯვენა ფილტვი მას აღარა ჰქონდა და მარცხენა კი
 თიქმის ნახევარი წამხდარი! ღდესმე ვაკ-
 ნობებ მე შეითხველებს მის «ვიქურს» რომანის ნა-
 წყვეტებს. ნუ გვინიათ, რომ ისინი მხოლოდ წარა-
 მარა, სულელური სიტყვები იყოს. ღ, არა.

ამ რომანს მე როდისმე დავბეჭდავ, როდესაც
 ფურცლებს გავარჩევ. ახლა გაგაცნობთ მხოლოდ
 ერთ პატარა ნაწყვეტს მისის დლიურიდგან, რო-



მელიც დასწერა მან თვით სიკედილის წინათ. ჩემი
მეკობარი ნახეს მკვდარი, რომელსაც კალამი ხელში
შეჩერებულია. იგი მოჰკვდა, როდესაც დასწერა უკანას-
კნელი სიტყვა. მქიმა მარწმუნებდა, რომ ამ გვარს
გიქ-ავადმყოფებს სიკედილის წინ გამოერევათ ისეთი
წამები, როდესაც ნიჭი უნათლდებათ და, უკველია,
ამ გვარს მდგომარეობაში იყო დაწერილი მისგან ის
ქადაგება, რომელიც ნახეს მის გაცივებულ და გა-
შეშებულ ხელ-ქვეშ. ხელ-ნაწერზედ აჩნდა ცრემ-
ლების ნაკვალევი, რომლების გამო რამდენიმე
ასო და მთელი სიტყვებიც იქმ წაშლილი. მე ჩემის
მიხვედრით განვახლე ისინი და, თუ საკმაოდ კარ-
გად ვერ შევასრულე, წინადვე ვითხოვ ბოლიშს
მკითხველთან.

1879 ජූලි 17 ජාත්‍යන්තර ප්‍රජාත්‍යාමාව.

«Եռմ ան Ցցըթլարցար, հռոմ այօնից հռոմանու-
րուս ասքահցի՞՞? Թափես մը նոյնի՞? Թա՛՛ և մոնիկացազա մը ամ
ասքահցիսակցո՞ւ ցցրց ցամացցենոտ, ույ ան նոյնի դա
մոնիկացազա՞? Ահա? Իյեմոյուս ամաչեզ ցամացահլոցսո ասքահց-
իսար մռուսցեղնցա, ոմուրոմ կո առա, հռոմ ցոտումը մը միշպու-
րուցյ գուցա, սաելո, ո, սրուլուսաճապ առա! Ամ
ցամաց մը առա մոնիկա-հա! Մը, ցհոտո սուրպուտ, վարությու-
նո, վարությ հալուպ ցամուստիմել ներկարցնուս Ծալ-
լցեթո, հռուս ցերեր,—մը ցամուստիմել հիմն ցմոկցեթ-
տան ցրուած,—ուստի ցամաց մը ենցուան չցույտած, հռո-
ցորու պութլցնու; Մը մատտան ցրուած ցամուստիմել, ցե-
հութ, ցութանչցեթո, ցերերալութ ու ցամուստիմել! Ո, ցամաց
ան սպուտնու ցա սուրպուտ, ու ցերու կո ցամուստիմելս

მას. გარდა ამისა, ერთი იმის წარმოდგენა, რომ ათასი კაცის გონიერაში გაჰკრავს ის ელვარება, რომელიც ბრწყინვალდა ჩემს სულმი, როცა მე ვსწერდი, — ის ფიქრი, რომ ათასი ნორჩი, მხურვალე, მწყურვალე სიმართლისა და ჭრაში გული წაკითხავს—ჩა სტრიქონებს, რომელთაც ეჭაც მთელი ლამეები დავსცემეროდი და დავსტიროდი, უფრო ატოკიდებიან, უფრო დაისწავლიან შეკვარებას და შეძაგებას, პატიოსნად, მართლადყოფნას, შრომას, შრომას სხვისთვის... რა ნეტარებაში ხარ, როცა ჰუკიქობ, რომ უნ — ვიღაც უცნობი, ვიგინ დარა უვარხართ! რა, ეგ სრულიად არ არის უგუნური წყურეილი დიდებისა. მე არასოდეს არ მომიწერია ჩემი სახელი; ეგ არის წყურეილი სიყვარულისა, იმ ხალხთა სიყვარულისა, რომელთაც მე ვერასოდეს ვერ გავიცნობ და რომელნიც მევკრეოვევერასოდეს ვერ გამიცნობენ; მაგრამ როგორ არა, მე იმათ ვიცნობ! ისინიც სწორედ ისე წარმომიდვებაან თვალ-წინ, როგორც ჩემი რომანის გმირები. ხან-და-ხან ისევ მომეჩვენება ხოლმე, ვითომც ჩემი მკითხველები და ჩემი რომანის გმირები ერთი და იგივენი უნდა იყვნენ. დიალ! მე ჩოდ საკურია, მაგრამ აგრე კა. ჩემი მკითხველი ჯერ უეცრად ედება ჩემის რომანის ბადეს, მერმე ეკრეთვე უეცრად თავისუფლდება იქიდვან და შეიქმნება მკითხველაუ. თავის-თავს ჰკითხულიას... ეგ როგორდაც უცურურად გამოდის! თეითონ ჰკითხუ-



ଲୋକୁ ତାଙ୍କି ତାଙ୍କି? ମୁଁ ହନ୍ତରା? ପିତା ଶ୍ରୀକଷ୍ଣଙ୍କୁ
କିଛି ତାଙ୍କି ତାଙ୍କି? ଏହି ବିପରୀ—ଏହି ଶେଖିଲେଖି: କ୍ଷୁଣ୍ଣି-
ନି, ଡାଉକିର୍ଣ୍ଣବୁଲୀ, ଗୁର୍ଜେଲ୍-ତମିନି ତାଙ୍କି ଶ୍ରୀକଷ୍ଣଙ୍କୁ-
ଶା ଦୋଷରିଲୁ ଓ ହାତକ୍ଷେତ୍ରରୀ କ୍ଷେତ୍ରରୀ କ୍ଷେତ୍ରରୀ
ଏହି ଲାଭିଦ ଶ୍ରୀକଷ୍ଣି, ଶାରୀର ଦଳିଗୁ ଅନୁତ୍ତକି ରା-
ଣୀର ଲାଭିଦ ମୁଖ୍ୟମାତ୍ର; ମେ ଦଳିଗୁ ପ୍ରଥମାତ୍ର କ୍ଷେତ୍ରର ଅଧି-
ଶ୍ରୀକଷ୍ଣି, ଏହି ଲାଭିଦ ଶ୍ରୀକଷ୍ଣି, ହନ୍ତରା ଶ୍ରୀକଷ୍ଣି
ଦୋଷରିଲୁ ଏହି କ୍ଷେତ୍ରରୀ କ୍ଷେତ୍ରରୀ, ତୁମରୁ ଦୋଷରିଲୁ,
ତାଙ୍କିରୁ କାଳାଲିଦି ଗାଢିବୁଲା, ତୁମରୁ ମାତ୍ରର ଦୋଷ-
କ୍ଷେତ୍ରରୀ ମୁଖ୍ୟମାତ୍ରିଦିତ କା କ୍ଷେତ୍ରରୀ ଶ୍ରୀକଷ୍ଣିକ୍ଷେତ୍ରରୀ
ଦୋଷରିଲୁ ତାଙ୍କିରେ. ମେ କ୍ଷେତ୍ରର ଏହି ହୃଦୟରୁ କ୍ଷେତ୍ରରୀ ମିଳିବିନ୍ଦୁ-
କ୍ଷେତ୍ରରୀ କ୍ଷେତ୍ରରୀ, ତାଙ୍କିରେ ଗାୟତ୍ରିକାରୁ ଦୋଷରିଲୁ ଶ୍ରୀକଷ୍ଣିର
ଦୋଷରିଲୁ, ଫ୍ରେଣ୍ଟ-ଫାସିରୁ ଶାରୀର ଶା-
ଦିନିତ, ହନ୍ତରା କ୍ଷେତ୍ରରୀ କ୍ଷେତ୍ରରୀ ମାତ୍ରର ଏହି କ୍ଷେତ୍ରରୀ
କିମି ଏହି କିମି, ତୁ କିମି ମିଳିବିନ୍ଦୁ?
ଏହି କ୍ଷେତ୍ରରୀ!

«Ի՞ո քուզը յիշուց... աչ զաթը հայտ ի կալո. Հռա
ուղարկեց, և նա նարագ մովաճիս մե յց!.. Եռցա մե մա-
գաս ցեղազ, իյէն ցուլո ցանսակցուրդընտ ծոնցըձա-
մե առաջու ահ ցպարհեծովար, հռացունը հուզու; Հա ու-
ցումից ցպարհեծովար, օսուր... ուս, և սամացըլո համ
պոյզունա ցև ևոպարունու! Աթոցէնքա պոյզըլուտցին
ասամացլութեն, ուզու սմալլուս ցհճնութցինսւ! Մաւր
տացու մանլութցին ուզու ահցուց, ահցուց հա ծոլուս
ու լուտայթինու նաշյրիկալուսաւ ցըլան Ցեղացս մասնու,
հռմյցլուսաւ წինատ ռհուց ուզու ահցուց Ցեղացըլա. Ամուստանա-
ցին մերու մարժաց ահան ի կալութի և մահունաւ կահ-

გი ქალები. ისინი რომ ჰედვიდნენ ამ ნაპერჯელს, ამისათვის საჭიროა მუდამ მოშორებით იყო მათგან და მათზედ მაღლა იდგე. ჩამოხვალთ თუ არა ამ სიმაღლი-დგან, მიუახლოვდებით თუ არა ქალს, ისიც შეიჭურ-ვება ყოველის თავისო ინტენსიური თქვენდა სატანჯველად; წინეთ თქვენ ევონეთ ლმერთიდა ახლა კი უბრალო კაცის მეტს ველარავის გხელავსთ. და ის დაუზოგველად ჩაგფლავსთ ტალახში, საზარელს ჭუჭყში. — ჩემი მკითხველი ქალი ესეთი არ გახლავსთ! მე იმას გა-წერილად, ბინძურად კი არ წარმოეუდგები, როგორც მართლაც და ვარ; არც ლმერთად, არამედ კაცად, როგორიც ვარ ნამდვილად: იმის წინ როდი არის ჩემი გაუთლელი, უშნო, ტანჯული გარეგანობა. მის წინ არის მხოლოდ ჩემი ოცნებანი, ჩემი იღები, თავ-დაუდებარი და თვალ-დაუხუჭელი ლამეები, უსა-ზღვრო ტანჯვა ჩემი გაშმაგებული სიყვარულისა და კაეშანისა. მე ცხადად ვხედავ, რა რიგად შეიპყრეს ამაებმა ჩემი მკითხველი, მე ვხედავ, რა რიგად მატულობს მისი ნორჩი გულის ძე-რა, რა რიგ ბრწყინავენ მისს მშეენიერს თვალებ-ში ალმასის მსგავსი წვევები ცრემლისა, რა რიგ ჩურჩულობენ მისი მწველი ტუჩები:

«ოჟ, რა კარგი უნდა იყვეს ესო!»

«დიალ, ქალბატონო, ჩემო თვალის ჩინო, შენ არ სცდები: მე მართლაც ძლიერ კარგი ვარ, მაგრამ ამასთანავე ძლიერ უბედურიც! ზევედრები, გიყვარდე, გიყვარდე· იმდენად მაინც, რომ, როცა



შენ შეიქმნები ბედნიერი, როცა შენს გულსა და
შენს სიცოცხლეს მთლიად მისცემ მას, ვისაც ამო-
ირჩევ მთელი ქვეყნიერობიდგან, — მცც გამიხსენე,
გაიხსენე, რომ არის ერთი ვინძე ძლიერ უბედური,
მეტის მეტად უბედური, რომელსაც არასოდეს არ
უნახავს სრული ბედნიერება და ნამდვილი ცხოვრე-
ბა, და ამ უბედურს, რომელიც ვერც კი გიცნობს,
გაგიჟებით, გაშმაგებით უყვარხსა და შენ კი ვერა-
სოდეს ვერ გნახავს თვალ-და-თვალ, ვერასოდეს
ვერ გაიგონებს შენგან იმას, რის გაგონებაც
ადვილად შეუძლია ყოველს კარგს კაცს, რომელ-
საც შენ ამოირჩევ...

«ო, რა რიგად მიყვარხარ, ჩემო ძვირ-
ფასო, უცნობო თვალის ჩინო, ასულო ჩემის
ოცნებისათ, ჩემის ავადმყოფის, ტანჯულას გუ-
ლისათ! სად ხარ, სად ხარ შენ? მე არ ვიცი! ხან-
და-ხან მე შენ მომეჩვენები სადღაც შორს, შორს...
ყრუ-უდაბურს სოფელში, ვინშე დიდ-კაცის მოწყე-
ნილს სახლში. შენ ხარ გარემოცული სიმდიდრით
და სიზარმაცით, შენ დაქანცულხარ, ეშურები
სადღაც შორისაკენ, მაგრამ ჯერ კიდევ
თვითონაც ვერ გაგიგია სად, თვით ვერ გაგიგია, რა
გაწუხებს, გიწყვეტს ილაჯს და რა გწვავს,
გული გიკვდება და თვალებში ცრემლები გერევა...
რა მიზეზია, რომ თვალის წამწამებზე უმიზეზო ცრემ-
ლები გადგია, როდესაც შესცერი უნაკიდო თოვ-
ლიანს ველს, რომელსაც გუნდ-გუნდად დასტრია-
ლებენ მაღლა ფრინველები, ანუ გაზაფხულზედ,

როდესაც ნაკალულები დაიწყებენ დენას, მდინარეები
გაიწმინდებიან ყინულისაგან, პირველი კოკრები
გაიშლებიან და ადრიანი მიმინო დაცქრიალებს საღ-
ლაც მაღლა, მაღლა ლურჯს მოელვარე ცაზედ და
როდესაც მზისგან გამობარი ჰაერი თაეის-თავად ვა-
იფლის გულში?

«ხან-და-ხან შენ სულ სხვაფრივ მეჩეენები.
როდესაც მივდივარ ციცს, მივარდნილს პეტერბურ-
ლის ქუჩებზედ ბურუსიანს დღეში, ანუ შემოგვია-
ნებულ ლამეში და მეენთავს წვიმა და სქელი ნისლი
მეპარება ფილტვებში ჰაერის მაგივრათ, გხედავ სახ-
ლების ზევით სართულებში, სადაც ძლივსლა
სხანან თითო ბეწო ფანჯარაები, განათე-
ბული შენის პაწაწა ლამპით. იქ, იმ უცნობ ოთახ-
ში სცხოვრებ შენ წმინდა, პატიოსანი, ნორჩ-
ნორჩი ოცნებებით, ახალ-გაზდის წყურვილით დი-
დის, პატიოსანის საქმისადმი, უზომო წყურვილით
საზოგადოების ფართო სიყვარულისადმი, ათა-
სი კითხვებით, რომელნიც მწკრივ-მწკრივად
ტრიალებენ შენს ნორჩის თავში... უ, რა
რიგ მიყვარხარ! მართლაც და ხარ შენ
იქ, სადღაც, თუ სრულიადაც არ იპოვები არსად,
გარდა ჩემის ძილ-გაკრთომილის ბოდეისა? მა, მე
შრწამს, რომ შენ მართლაც არსებობ! თორემ ცხოვ-
რება დედა-შიწაზედ, ტანჯვა, რამდენადაც მე ვი-
ტანჯები, სრულიად არ ეღირებოდა!

«შველა ეგ კიდევ დამოკიდებულია მისგან: გმირი



ქალი ხარ შენ ჩემი, თუ მკითხველი ქალი? რა ხარ შენ? რა? გმირი? პო? შენ ნამდვილად არ არსებობ? მომე პასუხი, მიპასუხე: რა ხარ შენ?...

«აი კიდევ ჩემი მკითხველი, ან გმირი... არ ვიცი... შორს, მიერდნილს ადგილს, ახალ-გაზდა, პატიოსანი მშრომელი მიდგება თვალ-წინ. იგი სრულიად მარტოდ-მარტოა, ყველასაგან მიტოვებული, მოძულებული, ტალახში ჩაფლულია. მისი მოწინააღმდეგე არის ხალხის უზრდელობაც, რომელთან ბრძოლა მას ძლიერ სწყურია, მაგრამ არა აქვს საკმაოდ შეუპოვარი მოთხინება, რომელიც არ გვაქვს თვისებად ჩვენ, რუსებს. თვითოვეული მოტყუება, თვითოვეული უზრდელი საქციელი ხალხისა კი არ გაამხნევებენ და განაღვიძებენ ვაჟში ენერგიას, არამედ სპობენ მას და აღუნთებენ გულში მოტყუებას. მისი მოწინააღმდეგენი არიან ყველანი, იგი კედლად უხვდება საჯოგა-დოების სარჩოსა. ღმეობა მშვიდობა მისცეს! უფრო მართალი იქნებოდა, რომ ხან-და-ხან შეცდომად ჩავთლიდეთ. იგი ამაებს ყველაფერს მოითმენდა. მეტის-მეტი მწუხარება, ტკივილი მისი წარმოსდგება იმ მათრახებისაგან, რომლებსაც იგი გრძნობს იმათის მხრით, რომლებიც გრძნობით მას ჰგვანან, მაგრამ სხვა გზას დასდგომიან. ის იმათ სხვებს არ ატოლებს, თუმცა მათ შეხედულობით არ ეთანხმება. მათი საყვედური მას პირ-და-პირ გულში ხვდება, რადგანაც ქარგად იცის, რომ ამ საყვედურებს

უძლენიან არა ანგარება, არა წყურვილი გამდიდრებასა და არც ინტინკტები მტაცებლობისა. ისინი ეუბნებიან მას: «რას წვალობ? რასთვის იტანჯები, როგორც თევზი, რომელიც ემტვრევა ყინვას და ითმენს ყველაფერს: ხალხის სიბნელეს, ამხანავების დასმენას, ყოველს უზრდელობას ურიადნიკისას? რას მოვიჟანს შენი მეცადინეობა?

• • • მქენი სამოქალაქო ექიმები აქიმობენ მხოლოდ ვაჭრებს და დიდ-კაცებს, იმიტომ რომ გლეხის აქიმობა არც კი შეიძლება მის ვაჭვარტლულ და სენით მოწამლულს ქოხში. შენ მუდამ უნდა თრთოდე შენის და შენის ოჯახის გულისათვის, იმიტომ რომ შენ მუშაობ და არა ქალალდს თამაშობ; პლიკრობ ქვეყნის საქმეზედ, ხალხის საჭიროებაზედ, უგუნურ-უსარგებლო შკოლებზედ!.. დაანებე უველაფერს თავი! შენ მუქთი მჭამელი ხარ! შენ უსარგებლოდ აფუჭებ ხალხის პურს! შენ ფლიდი კაცი ხარ! მოდი ჩვენთან და ჩვენ გასწავლით, რა უნდა გააკეთო!»

«მე ვხედავ, რა ნორად ტრიალებს იგი თავის ქვეშაგებში, გაბერტყილი საყვედურებისაგან, როგორც მათრახით და უნებურად ჩურჩულებს: «მართლაც, ხომ ბევრი რამ არის მართალი? რაზედ, რისთვის ვიტანჯები? რის გულისთვის ვითმენ?» ზული



უსკდება ჯავრისაგან. არსაიდგან არ ელის არც ერთს სხივს სინათლისას, არც იმედს თავის ნაშრომისაგან. სუ! რალაშაც დაარახუნა! იგი შეჰქრთა და წამოიწია... მას ხომ ოჯახი აქვს, შეიღები ჰყავს! «რის გულისათვის? ბუტბუტებს თავისთვის და თვითონაც არ იცის, რისთვის; ელის და გული უფრო მაგრად უცემს, ვიდრე მაიატნიკი ბნელს, ცარიელს ოთახში,—უფრო ჩქარა, ვიდრე სტოლზედ მდგომარე საათი. შებლზედ ციცი ოფლი დაასხა. აი კიდევ ისმის რახუნი. იგი დამშეიდდა: რახუნის მიზეზი იყო ფანჯრის დარაბა, რომელიც ჩამოვარდნოდა მის ძევლს ხის სახლს და ქანაობდა შემოდევის ციცის ქარის შებერვით...»

«ბევრნი, კიდევ ბევრნი წარმომიდგებიან თეალ-წინ ჩემი მკითხველი-გმირები: აი ქალი მასწავლებელი სადღაც შორს, მიყრუებულ სოფლის შკოლაში. მხოლოდ სიცივე და სინოტივე სუფევს მის პაწაწა ქოხში. ნახშირის სუნი უბრუებს და უხეთქავს თავს. იჩველივ მიყრუებულია, არც ერთი ცხოველი სიტყვა, არც კაცობრიული თანაგრძნობა... მხოლოდ სიღარიბე, სასტიკი სიღარიბე სუფევს ყოველის მხრით, რომლის ყურება ადამიანის გულს შეუზედ აპობს. ამ სიღარიბეს მოსდევენ მოსაწყენი ლოთობა, სიბრივეე, მეტის-მეტი სიბნელე ჭკუისა, უზრდელობა, სიმხეცე... და ამ ფიზიკურს და ზნეობითს სიბნელეში, დაუბოლოვებელს ზამთრის ღამეში ანათებს ერთად ერთი მისი მბეჭდული სინათლე. ამას უნდა დასძლოს ეს სიბნელე, საუკუნოებით განმტკიცებული სიბნელე,

და ძლივს ბეჭტავს. სასტიკი ქარიშხალი კი დაუ-
რიცებლად, დაუზოგავად უბერავს გატეხილს ფან-
ჯარაში და უნდა დააქროს ეს სინათლე; მხოლოდ
ფერ-მიხდილი, სუსტი ხელები ჭალისა იფარებენ მას
ქარისაგან... ვინ დასძლევს: ეს საწყალი ხელები
პარაწყინა, დასუსტებული შიშშილით, სრულიად გამ'
ხმარი, ლურჯ-ძარღვებად გადაქცეული ხელები, თუ
ეს ბნელი ღამეები თავის ქარიშხლებით, რომელნიც
ეგრე უწყალოდ უბერავენ გატეხილს ფანჯარაში!
იგი ახველებს, გული სტკივა. ბულის და თავის
ტკივილი მთელი ღამე არ აძინებს გათენებამდის;
ის დიდი ხნით აღრე გაანებებდა უველაფერს თავს
ამ შეკალასაც, ამ საწყალ უმანკო სოფლელ ბავშვებსაც,
რომლებიც ხვალ ჯგუფ-ჯგუფად მოცვივიან მასთან
კიქინით... დიალ, ის წავიდოდა, ის გასცელიდა ამ დი-
დებულის, მაგრამ მეტად დიდის შრომისა ტანჯვას,
ამ ნამდვილ სიკედილს, ცოცხლად საფლავში ყოფ-
ნას სხვა ხვედრში... აბა რომელში? სად შეუძ-
ლია წასვლა მარტო-ხელს, ღარიბს, საწყალს?
ზაჰვეს ცოლად მაზრის ჩინოვნიკს? წავიდეს უმაღ-
ლეს სასწავლებელში? შევიდეს ტელევრაფისტკად?



მაგრამ ყველა ამასაც საშუალება უნდა. მაშ სად წავიდებ, სად! «მოვკვდე?» ჰუიკრობს ის: «ერთბაშად, უცებ.

ამ დროს მან შეხედა სტოლზედ მდებარე წიგნს. მისმა სათაურმა მიიზიდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ჰკრა ხელი და წიგნი იატაკზე დაეცა.

«ჩბედები ხართ, პეტერბურლელნო! მრთი ჩემს აღვილზედ გამკოფათ! რო, მძავხართ მე თქვენ! რად აღძარით ჩემში ლტოლვილება უფრო პატიოსანის ცხოვრებისადმი, საზოგადოების სამსახურისადმი, როცა საზოგადოებას ესეთი ცხოვრებისათვის, ე'ეთი სამსახურისათვის არავითარი საძირკველი არ გაუსკვნია, არავითარი პირობებები ა' მოუმზადებია! რ, ღმერთო, ღმერთო!.. მიხსენ მე! მე მზათა ვარ ყოველისფერზედ, . . .

ოღოღნ-კი ესე არ ესცხოვრებდე დღითი-დღე, თვეობით, წლობით... სიკვდილო, დღეს შენც სანატრელო, ძვირფასო, მოდი ჩემთან და წარმიტაცე!

მიიფარა ხელები პირზედ, დაეცა თავის ღოვანინზედ და ქვითინებს. შეცრად იმას რაღაც გაახსენდა, თითქო ნათელმა თავის სხივები მოპუინა მის გვემულს სულს. რაღაც ნაცნობმა ხმებმა, სურათებმა გაუელვეს სულში. თან-და-თან უფრო ცხა-

დიდ ახსენებდა. ტკივილს როგორც გულში,
ეგრეთვე თავში, ნაკლებად ჰერძნობს. შეი-
ლავი ხმა ეუბნება: «ცხოვრება წვალება - ტანჯვაა
მიიხედ-მოიხედე, დაკვირდო აბა, ვინ არის ბედნიერი?
რამდენი ათასჯერ კადევ უბედურები არიან შეწედ

• . მაჩვენე მე შენ ბეღნიერი კაცი ამ წვალებით
და ტანჯვერთ საფე გენერაზი და! საღ არის. თუ რა? მე,
შეტყვი, სად არის ის. იგი შენ თვითონ ხარ, შენ,
მამაკადავიდარაჯად იმ პატარა სინათლისა, რომელიც
მედგრად ებრძეის ლამის სიბნელეს. ნუ შიშობ,
რომ ეგ ცუცხლი მეტად სუსტია, ხოლო, ქარიშხა-
ლი და სიბნელე ეგრე ძლიერი. ნუ ვეშინიან, რომ

ამასთანავე გაიგე, რომ, თუ შენ მიატოვე ის, მას
მიატოვებენ ყველანი; მიტოშ ყველანი, რომ შენ
ხარ «ყველა.»

• . 8.5. შენ ესენი აქამდის არ იცოდი? იცოდი? იცოდი, მაგრამ დაგვიწყებია: შენი ტანჯუა-ცოდნაზედ უძლიერესია. სიცოცხლის წადილი უძლიერესია უზრუნველს სიყვარულზედ, . . . ცხოვ-რების აღმოსაჩენად და ასაღორძინებლად საჭიროა მისი დაპყრობა. მს გათვე კარგად და შეუტრივდი ამ აზრის



რომ კერძოთ შენთვის ცხოვრება არ არსებობს, და ეცალე, სხვისთვის მოიპოვო. მაშინ, გეფიცები, მაშინ, შენ ერთბაშად იგრძნობ, რომ სცხოვრობ, მიტომ რომ «ცხოვრება», სრული ცხოვრება ამას ნიშნავს... იცი შენ, ევ რას ნიშნავს? დაფიქრებულხარ იდესმე იმაზედ, თუ რა არის ბედნიერება? ბედნიერება იცვლება მწუხარებად, თუ მოელოდი დიდს ბედნიერებას და მიიღე მცირე. და, წინააღმდეგ, მწუხარება იცვლება ბედნიერებად, როცა მოელოდი დიდს მწუხარებას.

შევხედოთ კაცს, რომელსაც გადაუწყვიტეს ფეხის მოჭრა და ის კი ნამდვილს სიკვდილს მოელოდა. შეხედე, რამდენად ბედნიერია ის მით, რომ ფეხი მოსჭრეს. გაიგე, ის ხომ თავის უბედურობით არის ბედნიერი, ხომ თავის ტანჯვით არის ბედნიერი? მგრეთვე შენც ანაზღაურ შეიქნები ბედნიერი მით, რომ უბედურობა შეგვექმნება ხოლმე ბედნიერებად, როცა ურესს მოველოდით. ჩვენს საწყალს ლარიბს ცხოვრებაში ხოლოდ ევ ერთი ბედნიერება-ლა დარჩენილა. სხვას ნუ ელი, თუ რომ არ დაჰყარვო ისიც, რის ქონებაც შევიძლია.»

ის ისმენდა საკვირველს ხმას და კიდევ წამო-

იწია თავის ლარიბი ლოგინიდგან, მოაფარა ნათელი
ხელი, ხელი ფერ-მურთალი, ხელი აკანკალებული...
მაგრამ ხელებმა უეცრად ძაგძაგი დაიწყეს... ძლიერ
გაიჭიმნენ... დაეცენ სტოლზედ... და ნათელი ჩაქრა
საბრალო ქალმა განუტევა ტული.



ნახშირით ნახათი სურათები. *)

(რეაზონი ნაფ. ნაცალოვას ჭილისაგარ)

თავი I.

რომელშიაც ჩვენ გავიცნობთ გმირებს და იმედ-ნეულ-ეიქტნებით, რომ საინტერესო რამე უნდა მოხ-დეს.

სოფელს ცხერის-თავაში, გმინის ვოიტის**) კან-ცელარიაში საოცარი მყუდროება სუფევდა. თვითონ ვოიტი, გლეხი ჭრანცისკო ბურაკი, რომელიც აღარ იყო ახალ-გაზდა, სტოლთან იჯდა და დიდის გულ-მოდგინებით რაღასაც ხაზავდა კალმით; გმინის მწე-რალი, პანი ზოლზიკევიჩი, ახალ-გაზდა კაცი, იმე-დით აღსავსე, იდგა ფანჯარასთან და ბუზებს იგე-რებდა.

ბუზები კანცელარიაში უანგარიშო იყო. ქედლები ისე იყო მათგან აჭრერებული, რომ საკუ-

*) ამ სურათების ავტორი, სანკუჭიში ურთი უნიაზირეს თანამედროვე პოლშის მწერალთაგანია.

* *) მამულების ჰერამზედული.



თარი ფერი აღარ ეტყობოდათ. აჭრელებული იყო
აგრეთვე ხატიც, რომელიც სტოლის პირ-და-პირ
ესვენა, თვითონ სტოლზედ დაწყობილი ქაღალდე-
ბიც და სხვა საკანცელარიო წიგნებიცა და ნივთე-
ბიც.

ბუზები ეხვევოდნენ თვითონ ვოიტსაც, მაგრამ უკელაზედ უფრო ჩასცივებოდნენ პომალა - წასმულს და მიხაյის სუნით გამჭორებულს პან ზოლზიკევიჩის თავს. მას დასტრიალებდენ ბუზები გუნდ-გუნდად და თავზედაც იმდენი აჯდა, რომ თმის განაყოფი აღარ სჩნდა. პანი ზოლზიკევიჩი ხან-და-ხან ფრთხილად ასწევდა მაღლა ხელს და შემდეგ უეცრად ირტყამდა თავზედ, მწერთა გუნდი პზუილით მაღლა კერისაკენ აფრინდებოდა და პანი ზოლზიკევიჩი კი თავს მოიხრიდა და თმაში ჩაჭილეტიდას ბუზებს ჰკრეფ-ლა და რატაკზედა ჰყრიდა.

Ոյտ ճամփագլցուն մեխուղ սատր. Թոքը և կո-
չուղի մպուժնուց սլուց վազ. Ցլցեցի մոնթաց
շառացունուց ին. Թեռլու կանքը լուս կուց-
ացած առեան և մհութա և եան-լա-եան, ուց հոմ
անցուց, դանջարանի մուստ մուշունաց սեպուց-
ին և սպահեց համուկութեալու լուսին մուսին լա.
եան կը ուց մուսէն առեան մհութա ծառաց-
ալ և հյութ կուցած մուսեալուց վազ. Շան պան
ֆուլի կուցուն շառեալաւ դանջարանի և լայսպուրութեալ:
— Յա, — եօ! Շեն Շեշիամա մշուլմա!

მერმე ჩაიხედავდა იქვე ფანჯარასთან დაუიღეს ბულს სარკეში და გაისწორებდა თმას.

ბოლოს ვოიტმა შესწყვიტა მდუმარება.

— დასწერე რაპორტი, პანი ზოლზიკევიჩ, წარმოსთქვამან. ვერას ყზით ვერ მოვახერხე დაწერა, ევ მაინც შენი საქმეა, მწერლათაც იმიტომ ხარ დაყენებული.

მაგრამ პანი ზოლზიკევიჩი ცუდ გუნებაზედ იყო და ყოველთვის, როცა ის გუნებაზედ არ იქნებოდა, ყველაფერი საქმე თვითონ ვოიტს დატყვებოდა თავზედ.

— მერე რა ვუყუთ, რომ მწერლათა ვარ? მიუგო მან თაკილით.— მწერალი მისთვის არის, რომ უფროსსა და კომმისარს უწეროს, ვოიტს კი და იმისთვის, როგორიც თქვენა ხართ, თქვენ თვითონ— ე უნდა უწეროთ.

და თანვე დაუმატა დრდის შეურაცხებით:

— რა არის ჩემთვის ვოიტი? ბლეხია, მეტი არასფერი. ბლეხი, რადაც უნდა დაასენო, მაინც გლენია.

შემდეგ პან ზოლზიკევიჩმა გაისწორა თმა და ხელ-ახლავ ჩაიხედა სარკეში.

ვოიტმა, ერთ რიგად, თავის-თავი დაჩავრულად იგრძნო და მიუგო:

— დიდი საქმეა სწორედ! ჩვენც გვისუამს ჩაიკომმისართან.

— ზიკვირს განა... ჩა! შენიშნა ზიზღით ზოლ-ზიკვეიჩმა.. და უთუოდ ურომოდ მიირთმევდით.

— დიახაც არა! სწორედ რომით.

— თუ გინდ რომითაც დაგელიოს, მე მაინც რაპორტს არ დავსწერ.

ვოიტს გული მოუვიდა და უთხრა:

— ახლა ერთი გაჟინდი შენცა, მაშ რაღასათვის თხოულობდი მწერლის აღვილს?

— თქვენ ეინა გთხოვათ? მე მხოლოდ უფროს-თან ნაცნობობით...

— ნუ გეშინია, ვიცით ჩეენ ეგ ნაცნობობა; დარწ-მუნებული ვარ, ის რომ ჩამოვა, სულსაც ვერ დაპი-რავთ!...

— ბურაკ, ბურაკ! ბევრს ნუ ტიტინობთ! თქვენმა გლეხებმა თავი მომაბეზრეს, ილაჯი გამი-წყდა და მწერლობა მე აღარ შემიძლიან. ზანათლე-ბული კაცი თქვენ შორის მხოლოდ გამხეცდება. ნუ გამაჯავრებთ, თორემ უველას თქვენს სერს გა-უურებინებთ.

— შეგვაშინე რაღა! მაგრამ თქვენ თვითონ რაღას აპირებთ?

— შიმშილით მოვკვდები თუ? ზანათლებული კაცი უკველთვის გაიკვლევს გზას. თქვენ ნუ ზრუ-ნავთ განათლებულის კაცისათვის. ზუშინ კიდეც მითხრა რევიზორმა სტოლბიცკიმ: «ამფერუმ, ზოლ-ზიკვეიჩმ, ამფერუმ! შენ რომ რევიზორი ყოფილიყა-ვიო, რევიზორი კი არა, ლეთის რისხევა იქნებოდიო,

კაცი ეერაფერს გამოვაპარებდა. მაგ ნაირი სიტყვა-
პასუხი სულელთან გამოვაღვებათ და არა ჩემთან.
თქვენ ვინა ხართ? მე კი განათლებული კაცი ვარ
და....

— უმ, მოჰყენა თავისიებულს! უშენოდაც გაე-
ძლებთ!

— ზაძლებთ, განა არ ვიცი! პუპრში ამოწე-
შულის ჯაგრიანის ჩხირით დაჯლაბნით წიგნებს და
სხვა უკეთესი რა საჭირო იქნება თქვენთვის.

მოიტმა კეთა მოიტხანა.

— მოხსნა თავი კაპასობას!

— ნუ ტიკტიკობთ!

— ჰე, კარგი, კარგი.

ხელ-ახლავ დადგა მყუდროება; მხოლოდ ის-
მოდა ვოიტის კალმის ნელი ფხაჭანი.

ბოლოს ისიც გაიმართა წელში, გაიწმინდა
კალთაზე კალამი და წამოიძახა:

— უმ, როგორც იქნა, დეთის მადლით, გავათავე!

— წაიკითხეთ, რაც დაჯლაბნეთ!

— რაო, დაჯლაბნეთო! შველაფერი, როგორც
წესაა, ისე მიესწერე.

— აბა წაიკითხეთ!

მოიტმა ქალალდი ორივეს ხელით აიღო და
წაიკითხა:

«ვუეცენდზის გმინის ვოატს. სახელითა მამი-
სათა და ძისათა და წმიდისა სულიათა!»

«შფრო! მა ვეიბრძანა, რომ რეკრუტის ჩი მჩად



იყვეს საღვთისმშობლოდ, და თქვენს სამრევლო ში
მეტრიკები გაქვსთ, და აქური ბიჭები თქვენკენ ქი-
რაჯად არიან და ხომ იცით, რომ უნდა იქმნენ ამო-
წერილნი და ჩვენი მუშებიც გამოგზავნეთ, როგორც
კი ცხრამეტია წლია შეიქმნებიან და თუ არ გამოგ-
ზავნით, იმ შემთხვევაში, ცხვირ-პირს დაგამტრევენ,
რაც ვისურვებ თქვენთვის და თავისთვისაც, ამინ. •

პატივცემულს ვორტს ყოველს კვირას ესმო-
და ეპლქიაში, რომ ქ' ენდზი სწორედ ამ სიტყვებით
ათავებდა ქაღაგებას და ამისათვის მას ეკონა, მიუ-
ცილებლად საჭირო არის და ზრდილობაც მოით-
ხოვსო, რომ წერილიც ამ გვარად დაბოლოვდესო.
და ზოლჩიკევიჩი კი ხარხარობდა გაცხარებული, რო-
ლებაც ვორტი თავის ნაწერს ჰქითხულობდა.

— განა ასე ივარევებს? ჰერთხა მან.

— ၁၃၁ တုဂန္ဂ၏ အပေါ်မြန်မာစွဲ

— რასაკვირველია, დავსწერ; თორებ მთელის
სოფლის სასახლოებო იქნება.

სოქვა თუ არა ეს, პანი ზოლზიკევიჩი დაჯდა,
აიღო კალამი, გაუსვა რამდენიმეჯერ, რომ ხელი
ვაეწაფა და დაიწყო ჩქარიად წერა.

“უცემ გამოცხადება მზად იყო. მარინ შისქმა
აკტორიმა წაისწორა თმა და წაიკითხა:

«Ծըրհու-Ծավաս զմանց՝ բռնակու Յշեցրա-Ընկան զանոն Առաջին առմուն».

«Յոնայդիան քամուսավայրեցու Տոյնի, պահանջման մտացրութիւն ծրմանցիւսամյեծի, Ցէալ պահանջման օվաճանը ամա

და ამ წლის აღამა ამ დღისთვის, ამისათვის ზურგი, სოფლის ვეეცენდზის კოიტს, გაუწყებო, რომელ ცხრის-თავა გლეხების მეტრიკები, რომელნიც სამრევლოს კანცელარიაში არიან, გამოვზავნოთ დაუკოვნებლად სოფელსა ცხრის-თავას. ზოთოვთ წარმოადგინოთ იმ დღისათვისვე სოფლის ცხრის-თავას გლეხები, რომელნიც ვეეცენდზში მუშებად არიან დამდგარნი.»

ვოიტმა კმაყოფილებით მოისმინა ეს სიტყვები
და სახეზედ გამოეხატა მას ულრმესი ლმობიერება. მას
ეგონა, ყოველი სიტყვა რიგიანი, დიდებული და
მთავრობის ბრძანების გამომხატველი არის. აი, თუ
გინდა, მაგალითად, დასაწყისი: «ვინაიდგან გამოსაწ-
ვევი სიები და სხვანი....»

Յունիտ Շեշպարճա ցց «Յօնակլցան», մացրամ զբ-
հայ ցիտ զբը ձառնիւցալա, անյ շոյետա ցտվցատ,
ուրածա մեռլուգ դարչոյեծա, Շեմլցէ կո յհուս ևուկոյա-
սաւ զբը համամիլա. Ցոլնիուցուիմա կո ամ ցբարո ևուկոյացէն
Շոյալուզուտ ուրածա! Պատքմու մաթուս յանցուլարունակու
շոյետեսագ զբը ևիցընց. Ցոլուս ցունիմա ցաքվարու-
լա ծեփեցու լա ուս լունոյրագ դաշուրա յալալուցեց,
հոմ երանու Շյուրյա. Իւնորուն մեաց ոյու.

— ၁၀ ပြုဗျာန် တာဒေဝါ၊ ရှုမ စုံဖြောင်၊ ဦးခေါင်၊
၃၁၉မီလ်တွေ့၍ ၂၈၆

— ჰა! მიუგო დარბილებულმა ზოლზიკევიჩმა
მე ხომ მწერალი ვარ, ე. ი. წიგნებსა ვსწერ.

— მაშ შენ წიგნებსაც სწერჩ



— ისე ჰყითხულობთ, თითქო არ იცოდეთ; მაშ საკანცელარიო წიგნებს ვინდა სწერს?

— ჰო, მართლა! მიუგო ვოიტმა. და შემდეგ დაუმატა:

— სიები ერთს წამს მზად იქნებიან.

— თქვენ უმთავრესად უნდა ეცადოთ, რომ ლოთები და შეუითიანები მოიშოროთ აქედგან.

— რა ნაირად მოხერხდება ეს?

— მე თქვენ გელაბარაკებით, უფროსი სჩიოდა, რომ სოფელს ცხერის-თავას მცხოვრები ერთობ ცუდი ხალხი არისო, მხოლოდ ლოთობა იციან და მეტი არაუერიო. ამბობდა, პურაკი ხალხს ყურადღებას არ აქცევსო და ამისთვის იმას პასუხს მოსთხოვენო.

— დიალ, რასაკვირველია, მიუგო ვოიტმა: — მე უველას მაგივრად პანდა სუხი უ მივსცე. როდესაც როზალკა ქოვალიხას შეილი ეყოლა, სასამართლომ ბრძანა, ოც-და-ხუთი როზგი დაჰყარითო, იცოდეს, რომ გაუთხოვარს ქალს შეილი არ უნდა ეყოლოსო ვინ ბრძანა? მე? მე კი არა, სასამართლომ. მე რა. მენაღვლება. თუ უნდა უველა გაუთხოვარმა ქალებმა ბადონ შეილები, სასამართლომ ბრძანა და დამნაშავე კი მე გამოვდივარ.

ამ დროს ძროხა ლონივრად ეძგერა კედელს, ისე რომ მთელი კანცელარია შეიძრა. ვოიტმა დაიკვირა გაჯავრებულის ხმით:

— მას, მიწა გაგისკდეს შენა!



მწერალმა, რომელიც ამ ლაპარაკის დღის სტოლზედ იჯდა, დაიწყო ხელ-ახლა სარკეში ცქერა.

— ჟევლათერი ახია თქვენზედ, უთხრა მან: — რად არა ხედავთ? ლოთობისაგანაც ეგრე მოხდება ხოლმე. მრთი ქეციანი ცხვარი მთელს ცხვრის ფარას გააფუჭებს.

— ვინ გაარჩევს მათ? შენ ამბობ: ლოთობენო; მთელს დღეს მუშაობს კაცი, რასაცირკელია, დალევაც უნდა.

— მე კი თქვენ გირჩევთ: მხოლოდ რეპა მოვიშოროთ აქედან და პეტი არათერია საჭირო.

— დავახრიო, თუ რა ვუყო?

— ამ ნუ დაახრიობთ, სარეკრუტო სიაში ჩასწერე, დევ მასაც წილი ეყაროს და ის იქნება.

— ის რომ ცოლიანია და ერთი წლის ვაჟი-ცა ჰყავს?

— მგ ვინ იცის? ის არ შემოიტანს ამაზედ საჩივარს და კიდევ რომ შემოიტანოს, ყურადღებას არავინ მიაქცევს. ჭარის გამოწვევა საჩქარო საჭმეა, არავის არა სკალიან.

— იი, შენ ჩემო ბატონო, შენ ჩემო ბატონო! რეპა რა უნდა იყოს, შენ უფრო მისი დედა-კაცის გამოისობით ამბობ. შენ მოგწონს მარია. დიალ! მერე ეს ცოდვა არ არის ლეთის წინაშე!

— თქვენ რა გენალულებათ? თქვენს ვაჟს მეოცე წელიწადი უთავდება: იმასაც შეუძლია რეკტრუტობა.



— ვაცა, ჰავაშ მე იმას ჩეკრუტად არ
მივსცემ. თუ სხვებრ არასფერი მოხერხდა, გამოვისყი-
დო.

— ჰა! თქვენ თუ ეგრეთი მდიდარი ხართ...

— მდიდარი კი არა ვარ, ცოტა მაქვს, მაგრამ
იქნება მეყოს.

— რვა-ასი მანეთი შეგხვდებათ გადასახდელად.

— თუ მითქვამს, გადვიხდი-თქო, უეჭველია,
გადვიხდი. და, მერე ღმერთია შემწე: დავრჩები ვოი-
ტად და ორი წლის განმავლობაში დანაკლისს შე-
ვისრულებ.

ნუ ჩქარობთ აგრე. მეც მეჭირვება, ყველას
ხომ თქვენ ვერ დაგითმობთ. ზანათლებულს კაცს
ისე ცოტა ხარჯი როდი ეყოფა, როგორიც გლეხსა.
და ჩემ, რომ თქვენის შვილის მაგიერად დანიშნუ-
ლიყო, მაშინ თქვენ მოგრჩებოდათ ფულები... რვა-
ასი მანეთი ადვილი საშოვი როდი არის...

ვოიტი ჩაფიქრდა, მას გაუელეა საკიამოვნოდ იმ
იმედმა, რომ ამდენი ფული ასე ადვილად შეენახე-
ბოდა და სთქვა?

— მს კი, მაგრამ პასუხის მგებელი ვინ იქნება
ამ საქმეში?

— თქვენ არავითარს პასუხს არ აგებთ..

— მე მეშინიან, რომ შენგან დაწყებულს უხე-
ირო საქმეში ტყუილა უბრალოდ მე არ გავეხვიო.

— აბა თქვენი ნება იყოს, გადიხადეთ ჩვა-ა-ი
მანეთი.

— რაღა სალაპარაკოა, ვერ ვიმეტებ...

— თუ კი გვინიათ, დავიბრუნებო, იმ შემთხვევ-
ებში რაღას სწუხარო; მაგრამ ნურც ნამეტნავად
იმედობთ, ჯერ კიდევ შენი ამბავი კარგად არ იციან
და თუ გაიგეს, რაც მე ვიცი...

— შენ ჩემზედ უმეტესი მოაწევდება...

— არა, მაგ საგანზედ კი არ გეუბნები, უფრო
შორეულს საქმეზედა ვლაპარაკობ.

— მე რის უნდა მეშინოდეს! მიბრძანეს და მე
აღვასრულე.

— ძაი დავემართოს. თავის გამართლება სხვაგან
დაგჭირდებათ. სთქვა თუ არა ეს, პან ზოლზიკევიჩმა
დაიხურა მწვანე კუბოკრული მატერიის ქუდი და გა-
ვიდა კანცელარიიდგან. მხეხასვლას ეპირებულა,
გლეხებს მუშაობაზედ ხელი აეშვათ და შინისაკენ მი-
დიოდნენ. პან ზოლზიკევიჩს შემოხვდნენ მთიბ-
ველები, რომელთაც მხარზედ გადებულის ცელებით
გვერდი ჩაუარეს, დაუკრეს თავი და უთხრეს: «კორ-
თხეულ არს!» მან მხოლოდ დაუქნია პომალა-წას-
მული თავი და არ უპასუხებია კი: «უკუნითი უკუ-
ნისამდეო», რადგანაც ეგონა, განათლებულმა კაცმა
ამის თქმა არ უნდა იკადროსო. პანი ზოლზიკე-
ვიჩი რომ განათლებული კაცი იყო, ეგ უველამ
იცოდა; ამის ეჭვში შესვლა შეეძლოთ მხოლოდ
მოშურნე კაცებს, რომელთაც ყოველივე სხვაზედ უმა-
ლესად ბდგომარე პირები თვალში ეკლად ესობათ
და მოსეენებას არ აძლევენ.

შველა პოლშის წარჩინებული მოლვა-

წევბის „ცხოვრება რომ შეკრებული იყოს, ჩვენ შევიტყობდით ამ საკირველის კაცის ცხოვრებიდან, რომ თავ-და-პირველი განათლება მას მიეღო მსლოვიცი, იმ მაზრის უმთავრესს ქალაქში, რომელშიაც სოფელი ცხერის-თავა იყო. ჩვიდმეტის წლის ახალ-გაზდა ზოლზიკევიჩი კიდევ შევიდა მეორე კლასში და, უთუოდ, შემდეგს კლასებსაც გაივლიდა, რომ უცრად მას სისხლი არ აღელვებოდა და ამ გარე-მოებას სამუდამოდ არ შეეწყიტა მისი სამეცნიერო კარიერა... გატაცებული სიფიცხით, რომელიც ახალ-გაზდა ყმაწვილებს ერთობ ხშირად ჰქინისთ, პან ზოლზიკევიჩი, მასწავლებლებისაგან უსამართლოდ დევნილი, დადგა თავის ამხანაგების მეთაურად, რომელთაც ეგრეთვე აღმფოთებდა უსამართლოება. შემდეგ მან გაუმართა თავის მდევნელებს კატის კონცერტი, დახია რეეულები, დაამტკრია სახაზავები და კალმები, გამოეთხოვა მინერალის და შეუდგა ახალ გზას. ამ ახალ გზაზედ დამდგარმა, როგორც იქმნა, იშოვნა თანამდებობა და, როგორც ვიცით, იმედი ჰქონდა კიდეცა, რევიზორის თანაშემწის ადვილს მივიღებო.

მაგრამ არც მწერლობის დროს ცოფილა ის ცუდს ცხოვრებაში. საფუძვლიანი ცოდნა რისამე ყოველთვის ლირსეულად ფასდება და რადგანაც ჩვენშა გმირმა იცოდა ცოტაოდენი რამე მსლოვიცის მაზრის თვითონეულს მცხოვრებზედ, ამისათვის ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ამას ყველანი ერთობით

პატივს-სცემდენ და ფრთხილადაც იყვნენ, რომ ამის-
თანა საუცხოვო კაცს რაიმე უკმაყოფილება არ ჰე-
გამოხვიოთო. თავს უკრავდენ მას ნასწავლი კაცები,
თავს უკრავდენ აგრეთვე ყველა გლეხები, შორიდ-
განვე მიესალმებოდნენ ქუდ-მოხდილნი და ეტყოდ-
ნენ «კურთხეულ არსო!» მაგრამ აქ მე მკონია საჭი-
რო იყოს ნამდვილად განემარტო, თუ რა მიზეზი
იყო, რომ პან ზოლზიკევიჩი პასუხს არ აძლევდა
ამ მისალმებაზედ ჩვეულებრივის ღუკუნითი უკუნისამ-
დეთი». საქმე ის არია, რომ პან ზოლზიკევიჩის
როგორლაც წაეკითხა რომანი «ისპანიის დედოფალი
ისაბულა, ანუ მადრიდის სამეფო კარის საიდუმლო-
ება.» მს კოველის მხრით შესანიშნავი რო-
მანი ისე მოსწონდა, ისე გატაცებული იყო
ის ამ რომანით, რომ ერთს დროს კიდეც
ჰეთიქრობდა დაეტოვებინა ყველაფერი და წასულიყო
ისპანიაში: «ხომ გაიმარჯვა მართორიამ, ჰეთიქრობდა
იგი, მეც რატომ ვერ გავიმარჯვო?» შეკველად
კიდეც წავიდოდა, რადგანაც თავის სამშობლოზედ იმ
აზრისა იყო, «რომ ამ სულელებით აღსავსე ქვეყა-
ნაში ადამიანი მხოლოდ უსარგებლოდ ჰქარგავს თა-
ვის ღონესაო»; მაგრამ, საბედნიეროდ, იგი შეაჩერა
ზოგიერთმა გარემო ებამ, რომლის ამბავს ცოტა
ქვემოთ მოვახსენებთ.

პი ამ ზემოხსენებულის «დედოფლის იზაბელას»
წაკითხვის შემდეგ, რომელიც პოლშის ლიტერატუ-
რის სასიქადულოდ დააბეჭდინა ვარშავის წიგნების
გამყიდველმა, ბრეხლაუერმა, პან ზოლზიკევიჩი



იჭვნეულის თვალით უკერდა სამღვდელოებას და აგრძელებელის, რასაც კი შორეული, ან მახლობელი კავშირი ჰქონდა მასთან. მმისათვის არ გასცა მან ხმა მთიბავებს და ჩვეულებრივი «უკუნითი უკუნისამდე» არ უთხრა და ისე ჩუმად გაჰყა თავის გზას. იარა მან, იარა, სანამ არ შემოხვდნენ მინდერიდვან გამობრუნებული პატარძლები, რომელთაც ცელები ეჭირათ ხელში, ამათ უნდა გაეცლოთ დიდ გუბენსთან და ამიტომ ისინი წეროებავით გაპმული მიღიოდნენ, ამოეწიათ მათ, კაბები, უეხები გამოეჩინათ. პან ზოლზიკევიჩმა ჰკითხა მათ: «როგორ სცხოვრობთ, ფრინველებო?» მერმეთ შეჩერდა შეუ გზაში და, ოვგორუც კი გაიცლიდა რომელიმე პატარძალი. გადაეხვევეოდა, აკოცებდა და შემდეგ გადააყენებდა წუმპეში, თუმცა ეს მისი საქციელი ხუმრიბა იყო და სხვა არათერი. პატარ-ძლებმა შექმნეს კავილ-ჩივილი და თანვე ხარხარბდნენ. შეძლევ, როდესაც ისინი დაშორდნენ იმ აღვილს რამოდენიმე ედ, პან ზოლზიკევიჩს შემოესმა სასიმოქმო სიტყვები: «აი ვაჟიც ეგრეთი უნდა, როგორიც ჩვენი მწერალია! წითელია ვაშლსავით!» სთქვა ერთმა. და თავშედ რა კარგი სუნი უდის! როგორც კი გადა-გეხვევა, მაშინვე გაბრუვდები სუნნელებით, დაუმატა მეორემ. პან ზოლზიკევიჩი გულ-ქნიარულად განა-გრძობდა თავის გზას. მაგრამ უცებ შეჩერდა ერთს ღობესთან, რადგანაც მას მოესმა თითქო მაჩედ ლაპარაკობდნენ. ღობეს გადაღმა იყო ქვიშნით სავ-სე ბალი, რომელშიც იდკა რამდენიმე სკა და

მის მახლობლად ლაპარაკობდენ ორი დედა-კაცი, ერთი მათგანი სწმენდდა კართოფილს დანით, და მეორე ეუბნებოდა:

— ჩემო სტანოვა, ძალან მეშინიან, რომ ჭრა-ნეკი არ წაიკანონ საღლდათად; როდესაც მომა-გონდება, ტანში ქრისტელი გამივლის.

სტანოვამ მიუგო:

— მწერალთან მიიქეცით, სჯობია, მწერალთან! ის თუ რასმე შემწეობას მოგცემს, თორემ სხვა ვერავინ გაშველის.

— და რა უნდა მიეუტანო, ჩემო სტანოვა, ხელ-ცალიერი როგორ უნდა მიეცდე მე მასთან. ხელ-ცალიერი სტუმარი მას არ უყვარს. ვინტი უფრო შეისმენს კაცის თხოვნას. რასაც კი მიუტან, კიბო იქმნება, თუ ერბო, ან ხელის მარც-ვალი, ან ქათამი—ყველას ფერს მიიღებს, არც ერთს არ დაიწუნებს. მწერალი არც კი შემოგრედავს, ისე-თი ამაყი რამ არის! იმას მანეთები უნდა მიართვა სხვას არაფერს იყალრებს.

— იქვენს დღეში ვერ მოესწრებითო, სოქვა მან თავისთვის: — რომ კვერცხი და ქათამი მიეიღო ოქვენგან! მექრთამე ვინმე ვარო, თუ ვინა? ზასწით ქათმირანად ეოიტთან.

სოქვა თუ არა ესა, მან ვასწი-კამოსწია ქვეშ-ნის შტოები და უნდოდა ხმა-მაღლა-დაეძახა დედა-კაცებისათვის, მაგრამ ამ დროს მოფერა მას ხმაურობა სამგზავრო ურმის, რომელიც მას უახლოვდებოდა.



პან ზოლშიკვევიჩმა უეცრად მოიხედა. ბრიჩენაში იჯდა სტუდენტი, რომელსაც გვერდზედ კოხტურად ქული დაეხურა და პაპიროსს ეწეოდა. ცხენებს მართავდა თვითონ ივაზე ჭრანეკა, რომელზედაც ის-ის იყო დედა-კაცები ლაპარაკობდნენ. სტუდენტმა დაინახა პან ზოლშიკვევიჩი და მავსალმა:

— Ա, հոգուն թվուուծուու եարտ, Յա5 Գողլիու-
կը ա՞ի? — Իս օմաս անուլու? Տես ութիոն լցուցի օպեցեծ
Յամարաս?

-- პატივი მაქვეს მოგიკითხოთ, მიუღო პან
ზოლზიკევიჩია და მდაბლად თავი დაუკრა, მაგრამ,
როდესაც ბრიჩკა წავიდა, მან ჩემად უკან მიაძინა:

— ପିଲାରିସ ମନ୍ତ୍ରୀଙ୍କା ଥାଇବା!

პან ზოლშიკევიჩს ძალიან ეჯავრებოდა ეს
სტუდენტი. ის იყო ძმის წელი მებატონის სკოლო-
ბევსკისა, რომელთანაც ყოველს წელიწადს მოდიო-
და საზაფხულოდ. ზოლშიკევიჩს არა თუ სძულდა
იგი, კიდეც ეშინოდა მისი, როგორც ჭირის. სტუ-
დენტი დიდი მასხარა იყო და პან ზოლშიკევიჩს
მუდამ დასცინოდა. მთელს მაზრაში მხოლოდ მას
ჰყავდა ავდებული ზოლშიკევიჩი. მრთხელ ის პირ-
და-პირ შევიდა სათემო სასამართლოში და პან
ზოლშიკევიჩს პირში მიაძახა: «სულელი ხარო!» შემ-
დევ მოუბრუნდა გლეხებს და უთხრა: «ამ მწერალს
ნურაფერს გაუგონებოთ.» პან ზოლშიკევიჩი სინარუ-
ლით გარდუბლიდა სტუდენტს... მავრამ გრძნობდა
თავის უძლურობას და ვერასფერს უბეჭავდა მას.

სხვებზედ მან ცოტა რამეები იცოდა, ამაზედ კი
სრულებით არასფერი.

ამ სტუდენტის მოსელა სასიამოვნოდ არ დარჩენია მას. ამისათვის იგი მიღიოდა სახე შეჭმულნილი, მხოლოდ ერთი ქოხის წინ, რომელიც გჩის პირადი იდგა, სახე ხელახლავ გაუბრწყინდა. მს ქოხი შეხედულობით სხვა ქოხებზედ უფრო ღარიბის კაცისად სჩნდა, მაგრამ ფრიად სასიამოვნო შესახედავი იყო. ჭინკარი და ეზო რიგიანად დაგვილი იყო. ღობესთან ლამაზად დაწყობილი იყო შეშა. მოშორებით სჩნდა ძნის გასახმობი. მახლობლად იდგა ბოსელი; კიდევ იქით იყო შემოლობილი ადგილი, საღაც ცხენი სძოვდა ბალახს. ბოსლის წინ ეყარა ზვინად ნაკელი, ზედ იწვაო ორი ღორი. მის მახლობლად დაპარტულნობდენ იხვები. შეშის ხორასთან, ნაფორებში მამალი ქექდა მიწას და, როვორც კი ნახავდა მარცვალს, ანუ ჭიას, დაიძახებდა: «კა, კა, კა, კა!» ამ ხმაზედ ქათმები ჯგუფად მიცვივდებოდნენ და დაიწუებდნენ კენკას და ნაპოვნის საჭმლის ერთი-ერთმანერთის ტაცებას.

მარებთან ქალი როდინში კანაფის მარცვლებს ნაყავდა და თან იმღეროდა რაღაც ლექსს. მის გვერდით იწვა ძალლი და ხან-და-ხან აქნევდა ხოლმე თავს ბუზების მოსაგერებლად, მოჭრილ ყურჩედ რომ აჯდებოდნენ. მალი ახალ-გაზდა, ოცის წლისა თუ იქნებოდა და შესანიშნავად ლამაზიც ი. თავზედ ეხურა ჩვეულებრივი დედა-კაცების თავ-სახლრა-



ვი. ზულს უფარავდა მას თეთრი პერანგი, წითელის ზონარით შებნეული. ძალა იყო ჯან-მროველი, ლო-კები ნიუგს მიუგავდა, მხარ-ბეჭი განიერი ჰქონდა და მშვენიერი ტანადი იყო. პირის სახე ზომიერი და დაწყობილი ჰქონდა და პატარა თავი; მქრალს პირის სახეზე მხისაგან მოყვითან ფერი გადაჰკროდა. თვალები შავი და დიდი, წარბები თითქო გან-გებ დახატულები, ცხვირი პატარა და თხელი, ტუ-ჩები კი წითელი, თითქოს ქვეშნის წვენით შეღები-ლი ყოფილიყოს. თავის სახურავს ქვეშ მშვენიერი შავი თმა მოჩნდა.

როდესაც პან ზოლზიკევიჩი მიუახლოვდა მას, ძალლი, იქვე აკვის მახლობლად მწო-ლარე, ადგა, მოიკეცა კუდი და დაიწყო ლრინვა და თანვე კბილების ლრწენა, თითქო ელიმებოდა.

— არაპა! შეუყვირა ქალმა.— დაწევი მან დ, აი შენ..!

— ზამარჯვება, მარია! დაუწყო მწერალმა ლა-პარაკი.

— ქეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მეგო-ბარო, მიუგო ქალმა და თანვე კანაფის მარცელებს ნაყვიდა.

— თქვენი ქმარი შინ არის?

— ტყეშია, მუშაობს.

— სწორედ მეწყინა! მე მასთან საქმე მქონდა გმინიდგან.

გმინიდგან საქმე მდაბიო ხალხისათვის ყო-ველთვის ცუდს რასმე მოასწავებს. მარიამ დაანება თავი ნაყვას და აკშოთებულმა ჰკითხა:

— რა ამბავია?

ამასობაში პან ზოლზიკევიჩი შევიდა ჭიშკარი-ში და დადგა მის მახლობლად.

— მუ მაკოცნინებ, გეტუვი.

— არა, ისე მითხარით, უპასუხა ქალმა. მაგრამ პან ზოლზიკევიჩმა უცებ ხელი მოხვია მას და გულ-ზედ მიიკრა.

— ზამიშვით! ზეუბნები, გამიშვით, თორებ ვიუვირებ! მმეორებდა მარია და სცდილობდა მისის ხვევნისაგან განთავისუფლებას.

— მშეენიერო ჩემო, სულო მარიკო!

— ზამიშვით! ნუ თუ ცოდვა არ არის? ზამიშ-ვით!

ამ ლაპარაკში ის უფრო დაუფრო სცდილობდა თა-ვის დახწევას, მაგრამ პან ზოლზიკევიჩიც კარგა ლო-ნიერი იყო და არ უშვებდა მას.

აქ არაპყა მიეშველა მარიას. ძალლი აიბუძგა ტანზედ დაგამწარებულის ყეფით მივარდა პან ზოლ-ზიკევიჩს და, რადგანაც მას მოკლე პიღჯაკი ეცვა, ძალლმა სტაცა პირი მაუდს, რომელიც პიღჯაკით დაფარული არ იყო, გასჭრა მაუდი და ჩაასო კბილე-ბი ხორციში და, როცა იგრძნო, კბილები კარგად მო-დებული მაქვსო, დაიწყო გარეხარებით თავის გაქნევ-გამოქნევა.

— ლმერთო ჩემი! დაიყვირა პან ზოლზიკევიჩმა- მაგრამ არაპყა მას არ სცილდებოდა. ამ დროს პან ზოლზიკევიჩმა წავლო ხელი შეშის ნაპობს და და-

იწყო იმით მოგერება; ჭაჭაში რომ მოხვდა, მაშინ
კი არაპყა გადახტა და დაიწყო წკმუილი შესაბრა-
ლებელის ხმით, მაგრამ იმ წამსვე მოტრიალლა და
ხელ-ახლავ ეძგერა მწერალს.

— ზააგდე ეგ ძალლი, მომაშორე ეგ ოხერი!
ჰყეიროდა პან ზოლზიკევიჩი და უიმედოდ აქნედ
შეშის ნაპობს. მალმა დაუძახა ძალლს და გააგდო.

შევდეგ ქალი და მწერალი შეაჩერდნენ ერთმა-
ნერთს ხმა ამოულებლად.

— ვაი, ჩემი ბრალი! რით მოგეწონეთ მე უბე-
დური, წამოიძახა მარიამ, შევინებულმა სტუმრის
დაკბენით.

— ზარდაგიხდი! ჭაიბუტბუტა პან ზოლზიკევიჩ-
მა.— მე გარდაგიხდი! მოიცადე! ჭაბრძანდება შენი
რეპა სალდათად. მინდოდა გადამერჩინა!... მაგრამ
აწი კი... მოხვალ კიდევ ჩემთან... მე გაჩერებ შენს
სეირს!... დედა-კაცს ნაცრის ფერი გადაეკრა, გა-
ცვითლდა... თითქო ვისმეს მძიმეთ შემოეკრას მის-
თვის, გადაშალა ხელები, გაალო პირი, უნდოდა
რალაც ეთქვა, მაგრამ პან ზოლზიკევიჩმა აიღო თა-
ვისი მწვანე ქუდი, რომელიც ძირს ეგდო და მსწრაფ-
ლად გაშორდა, ცალი ხელით ძალლს იგერებდა
და ცალით ეჭირა ჩამოხეული მაუდი.

თავი გეორგ.

სხვა მოქმედნი პირი და უსიამოვნო სანახაურბი.

Ար զայցլու յետ սառեւ, հեքաւ գամինդա
Ծպուղան ծարոնիս շրմուտ. հեքա ոյշ զլեթո լռնոյ-
րո գա մալալո ալցու եցացուտ. Ակլա ու յոցըլու
ձլեյ լառարեծունդա Ծպուղի. մու ծարոնիս հաւ տացուսա
շուալո Ծպուղ էլեմնդա, մռախիրո լաւ մոցունդա շրմոյ-
ծուսատցուս գա հեքաս կարցու կորո յմլոյունդա գա, հար-
տալո շնդա սոյցաս կապմա, կարցադաւ մոյ մառնդա.
Ծաների Ծպուղ ծլունդա ու արա եցլու ցուլու, წացունց ծլու-
նց եցլու նաջակու, մռախիրոյունդա գա օցուս լռնուտ Շը-
մռախիրացու, հռմ ցոյքցու եց Շըմըլոյունդա գա նայո-
ւոցի մուսո պյետ-ոյիտ նաեցահու սայցեն նըր սպունդա.
Շեմնեց Շըմու լոյցունդա մլոյը ու ժրակունդա ու ու-
դա. Շրոյցի յիշուտ սանոմի եցլու, ուսուրի յեց ցոյ-
քոյքցու եցեցու վայրունց, ու ու պյացու ծոյցունց
յմլոյը նըր, լառարեծունց Ծպուղի գա ու յունունդա հեքաս
լռնոյրեց. մռունդա Մալուզունց զայտու, Ծարուս-
լու, յուրա եռալմբ:

— მი, შენ, რეპა! შენ სწორედ ეშმაკი ხარ
და არა კაცი. პი შენ სამი კაბერეკი არაყის ფასი...
არა, მოიცავე! პი, შენ ორი კაბერეკი არაყის ფასი.

მაკრამ რეპა ყურადღებასაც არ აქცევდა. მან
იცოდა თავისი საქმე. ხან-და-ხან შეჭის მკრე-
ლები რომ სიმღერას დაიწყებდენ, რეპა მათ
შორის პირველი მომღერალი იყო. უნ-
და გეყურებინათ, როვორ შემოსძახებდა ხოლმე
რეპა მისგანვე შეთხხულს სასიმღერო ლექსებს:

რამ იგრიათა, რისი სმა ისმის?

၂-၁၃-၁၃-၁၃!



ამ მსხერევა-ტეხით რა დაეცა ძირს?

უ-უ-უ-უ!

მუხიდგან კოლო ჩამოვარდაო,

უ-უ-უ-უ!

ცივად კისერი კიდეც მოტყდაო.

უ-უ-უ-უ!

შეშინდა ბუზი, სულ გაპრუდაო,

უ-უ-უ-უ!

უთხრა ქოლუას, ხომ არ გინდაო,

უ-უ-უ-უ!

ექიმა მოგიუვან, ის მოგარჩენსო.

უ-უ-უ-უ!

არა, არ მინდა, მოვკვდები დღესო,

უ-უ-უ-უ!

შენ კი ეცადე, მიწა გასთხარო,

უ-უ-უ-უ!

მას მიმაბარო, ცრემლი მაყარო!

უ-უ-უ-უ!

რეპა დუქანშიაც ყველას სჯობნიდა. მს კი სამწუხარო იყო, რომ მას ძლიერ უყვარდა არაყი და როდესაც დათერებოდა, ხელებს ნამეტანს ნებას აძლევდა. მრთხელ რეპამ, ბატონის მუშას, დემიანს, თავი გაუტეხა. მასიპოვნა, სახლის პატრონის მცენჭენავე ქალი, ფილულობდა, რომ საწყალს მუშას ტვინიც კი მოუჩანდაო. მეორეთ—მაშინ მხოლოდ მეთვრამეტე წელიწადში იდგა,—ის დაეჭიდა დუქანში დათხოვნილს სალდათებს. პან სკორობოესკიმ, რომელიც მაშინ ეოიტად იყო, მოიხმო რეპა კანცელა-

რიაში, ერთი-ორი სილა გაარტყა უფრო შესარცხვენად და მერჩე შებრალებით ჰკითხა:

— რეპა, მითხარი, ლვის გულისათვის! რა რიგად მოერიე შენ იმათ, ისინი ხომ შვილნი იყვნენ?

რეპამ უპასუხა:

— მა, ბატონო! ისინი ძლივს მაგრდებოდნენ ფეხებზედ; როგორც კი ხელს შევახებდი, მაშინვე წაიქცეოდნენ.

პან სკორობებსკი ეგ საქმე გადააფუჩება. ის უწინ ძალიან სწყალობდა რეპას. ლედა-კაცები ეჩურჩულებოდნენ ერთმანერთს, რეპა მისი შვილიაო: «მაშინვე შეეტყობა», დაუმატებდენ ისინი: — «იმას, იმ ეშმაკს, სულ აზნაურული ფიქრები უტრიალებს თავში.»

მაგრამ ეგ არათერი გასაცვირველი იყო, თუმც რეპას დედას უცელანი იცნობდნენ და მამას კი არავი. ის თვითონ ქირაობდა ქოჩს და ორ დესიატინა მიწას, რომელიც საკუთრებად მოეცა მას კიდეც გლეხების განთავისუფლების დროს. შემდეგ ის შეუდგა ოჯახის მართვას, თავის საკუთარს მამულში, და რადგან კარგი მეოჯახე გლეხი იყო, გვარიან კარგად დაესახლა, ითხოვა ერთი გოგო, რომლის უმშვენიერესი ძნელად თუ საღმე იპოვებოდა და უეჭველად კარგი ცხოვრება ექნებოდა, წყეულს არავს რომ არ წაემწარებია მისი სიცოცხლე. ამ უბედურობისაგან მისი დახსნა ერთობ ძნელი იყო. როდესაც



მას დარიგებას და რასმეს, შევონებას - დაუწეუბდენ,
ის გადაჭრით მიუვებდა:

— ჩემი ხარჯოთა ფსვამ, თქვენ რა გენალულებათ?

შვეიცარიაშველ არავისი არ ეშინოდა, შხოლოდ
მწერლის ხათრი კი ჰქონდა... როგორც კი დაინა-
ხავდა შორიდვან მის მწეანე ქუდს, აწეულს ცხვირს
და თხის წვერებს, იმ წამსვე ქუდზედ ხელს იტაცებ-
და. ამის მიზეზი ის იყო, რომ მწერალმა რეპას ცხოვ-
რების ამბავები იცოდა. არეულობის ღრუს რეპას უბრძა-
ნეს ეტარებინა რალაც ქალალდები და მას და ჰქონდა, რა
ენალვლებოდა? ის მაშინ თხუთმეტი წლის იყო და
ბატებსა და ღორებს მწყესავდა. შემდევ ის მიხვდა,
რომ ქალალდების მიტან-მოტანისათვის იმას დასჯი-
ლენ და ამის გამო ეშინოდა მას მწერლის.

Այ հռացունո ոկո հզէա.

როდესაც ის თავის ქოხს მიუახლოვდა, ცხარის
ცრემლით მტირალი დედა-კაცი გამოვარდა შესაგე-
ბებლად და მიაძახა:

— მალე იქნება, რომ ჩემი თვალები ვეღარ
დაგინახვენ შენ, საწყალობელო, ვეღარ დაგირეც
ტანისსამოსს, ვეღარ დაგიმზადეს ჩემი ხელები დღი-
ურს საზრდოს, უნდა წახვიდე შენ, უბედურო, შორს,
შორს აქედგან.

რეპა გაჰკუირდა. მარტო სტრიც აქვთ ასეთი

— ლენტოფა ხომ არ გიჭამია, დედა-კაცო, თუ
ბზიკმა გიკბინა?

— არა, არა, მე არც ლენცოფა მიჭამია და
არც არაფერს უკბენია ჩემთვის. მხოლოდ აქ იყო
მწერალი და მითხრა, რომ შენს რეპას სალდათად
გამოყენა არ ასცილდებათ. ვაი მე, რა ექმნა მაშინ მე
უბედურმა! მალმა უამბო უველაფერი რეპას, მხო-
ლოდ მწერლის გამარტივების გამხელა ვერ; გაბედა:
ეშინოდა რეპას ახირებული რამე არ ეთქვა მწერ-
ლისათვის, ანა და-- ღმერთი გამწყრალიყო და— არ შეე-
ზილა მისთვის გვერდები და ამით უფრო წახდენ-
და საქმეს.

— შე სულელო! შოთა ბოლოს რეპამ:—
მერე რა გაღრიალებს? მე ვერავინ ვერ წამიყვანს:
სალდათად — ხნოვანობას გარდავცილდი; მე ქოხი
მაქვს, მიწა მაქვა!, შე სულელო, და აი კიდევ
ბლარი.

ამ ლაპარაკში მან მიათითა აკვანზედ, რომელ-
შიაც ერთი წლის ბავშვი ფეხებს აბარტყულნებდა და
საცოდავად სტიროდა. დედა-კაცმა ამოიხოცა თვა-
ლები ფერტამალით და სოჭვა:

— მს მიზეზები შენ ვერაფერს გიშველის.
იცია თუ არა მან რამე ქალალდების თაობაზედ,
რომელიც ტყეში და გქონდა?

რეპარ კეთა მოიფენა.

— ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଲୀଳା, ୧୫୦୯.

වරුත්, ගාමි සුදුමලුග ලාභමාරා මාන:

— მავალ მასთან და მოველაპარაკები, ვინ

იცის, იქნება ასე საშიშიც არ იყვეს, როგორც ჩვენ
ვფიქრობთ.

— ჭადი, ჭადი! შოხრა დედა-კაცმა და თან
ერთიმანეთიც წაალე, უმისოდ მასთან მისელა არ გარება.

რეპარ ამოილო უუთიდგან მანეთი და
გასწია პან ზოლზიკევიჩთან.

მწერალი უცოლო კაცი იყო და ამის გამო
ცალკე სახლ-კარი არ ჰქონია! ის იდგა ერთის ტბის
პირად ჭის სახლში, საცა ეჭირა მას ორი ოთახი,
რომელსც ჰქონდა ცალკე აიგანი.

პირველი ოთახი იყო სრულებით ცალიერი; მხოლოდ იატაკზედ ეყარა წალები და ერთი რწყვილი
ლილებთანი საწვივეები: მეორე ოთახი იყო სასტუმრო
და საწოლი. იქ იდგა ლოგინი, ზედ ეწყო ორი ბა-
ლიში უპიროთ; ლოგინთან სტოლზედ ეწყო საწე-
რელი, კალმები, საკანცელარიო წიგნები, ათიოდე
რვეული მოთხრობისა «იზაბელა, ისპანის დედოფა-
ლი, ბრეხლაუერის დაბეჭდილი, ერთი რწყვილი ჭუ-
ჭყიანი ინგლისური საყელო, ერთი ბანკაპომადა, გილ-
ზებიდა ბოლოს ჭინის სანთელი თანაქის შანდლებით.
ვანჯარასთან ეკიდა პატარა ლამაზი სარკე, პირ-და-
პირ იდგა კამიდი, რომელშიაც იყო ჩაწყობილი
ზოლზიკევიჩის საისალო ტანისსამოსი: შალვარები
სხვა-და-სხვა მოდის, საკეირველად აჭრელებული
ეილე ტკები, ყელსახოვები, ხელთაომანები, გალაქუ-
ლი სამოგვის მოკლე ყელიანი ჩექმები და აგრეთვე

ცილინდრიც, რომელსაც ზოლზიკევიჩი მხოლოდ. მაშინ დაიხურავდა ხოლმე, როცა მაზრის ქალაქს მულოვიცუში წაბრძანდებოდა.

ამას გარდა ახლა სკამზედ, ლოგინთან ეწყო მისი მაუდის შალვარი და ჭრელი პერანგის ამხანავი. თვითონ კი იწვა ლოგინზედ და ჰკითხულობდა რომანის «იზაბელა, ისპანიის დედოფლის» ერთს რვეულთაგანს.

